ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

№16 (179) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 20 სექტემბერი
ფასი 80 თეთრი

1134
2001

# #16 2001

მახსენდება კოლოქვიუმი სამყაროს დასასრულის შესახებ, რომელიც დაახლოებით ათი წლის წინ გაიმართა ნიუ-იორკში, მე-5 ავენიუზე. ჩემი პირველი რეაქცია ასეთი იყო: რა შესანიშნავი იდეაა კოლოქვიუმისათვის ნიუ-იორკის არჩევა, იგი ხომ სამყაროს დასასრულის იდეალური ეპიცენტრია. მეორე რეაქცია: აბსურდულია, რომ თემას აქ, ნიუიორკში ვარჩევთ. მსოფლიო მეტროპოლია ხომ სწორედ სამყაროს დასასრულის რეალურ განხორციელებას წარმოადგენს. ეს პროცესი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, რა აზრი აქვს განსჯებს მის შესახებ...?! მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ ინტელექტუალთა ეს შეკრება, სამყაროს დასასრულის ბანალური რეალობის მიუხედავად, მიზნად ისახავდა, სწორედ სამყაროს დასასრულის "იდეა" ეხსნა, სამყაროს დასასრულის უტოპია ეხსნა. დღესაც ამას ვაკეთებთ აქ, ახლა, საუკუნის დასასრულს.

*ჟან ბოდრიარი, 1996 წ.*



# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

---

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

---

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

**სარედაქციო საბჭო**
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - მიხეილ ჩიტაძე
*კომერციული დირექტორი* -
გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№16 ხუთშაბათი, 20 სექტემბერი, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## ლიტერატურა


ჟან ბოდრიარი
ქალაქი და სიძულვილი ........ 1
ვუდი ალენი
სიკვდილი აკაკუნებს ........ 5
ალეკო შუღლაძე
სამსარა ........ 9
ლია სტურუა
ლექსები ........ 13
ნოდარ ებრალიძე
სიკვდილი ბაშტეში ........ 16
ლელა სამნიაშვილი
ლექსები ........ 18
თორნიკე მოდებაძე
საუბრები უბის წიგნებზე ........ 19
მიგელ დე უნამუნო
ჩემი რელიგია ........ 21
ვოლფგანგ ბაუერი
მშვენიერი შორეული სამყარო ........ 24


## პერსონა


იორგოს სეფერისი
ახალბერძნული ტრადიციის სამანები ........ 25
იორგოს სეფერისი
ლექსები ........ 30


## პოლიტიკა


ვასილ მაღლაფერიძე
ცნობიერებაგახლეჩილი ხელისუფლება ანუ რა ცუდია,
როცა უფროსებს ზღაპრების არ სჯერათ ........ 32
ზურაბ ჭიაბერაშვილი
შევარდნაძის საქართველო: ბალანსირების პოლიტიკიდან
უძრაობის ხანამდე ........ 37
თამარ სუხიშვილი
იდეა: 27 სექტემბერი - საქართველოს რუკის დღე ........ 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟან ბოდრიარი

# ქალაქი და სიძულვილი



21952

ალბათ იცით, როგორ ასახელა სულ ახლახან ფრანგული კინემატოგრაფი ფილმმა სახელწოდებით "სიძულვილი". ფილმში საშინელი ვნებები მძვინვარებს, ნაჩვენებია მოვლენები, რომლებიც ქალაქის განაპირა რაიონებში ვითარდება და მსახიობებადაც (შესაძლოა სტატისტებად?!) იქ ახალგაზრდა ადამიანთა ჯგუფები გვევლინებიან. ისინი "ზიზღით არიან აღვსილნი". გამოთქმა "ზიზღით ვარ აღვსილი" თითქმის უპიროვნოა, იგი არაიმდენად სუბიექტურ ემოციას გამოხატავს, რამდენადაც ქალაქურ უდაბნოში, უპირველეს ყოვლისა კი ნაგავსაყრელად ქცეულ გარეუბნებში შობილ ობიექტურ და უმიზეზო რისხვას გვიჩვენებს. ის ფაქტი, რომ გარეუბნულმა "დამნაშავეობამ" არნახული მასშტაბი შეიძინა, მეტყველებს, რომ ჩვენს წინაშეა ერთიანი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელშიც საკუთარ გამოხატულებას პოულობს გარკვეული უნივერსალური პროცესი - მოსახლეობის კონცენტრაციისა და ნარჩენთა წარმოების ზრდის პროცესი. საუბარია ნარჩენების, ნაგვის მსოფლიო პრობლემაზე, რადგანაც, თუკი ძალადობას ჩაგვრა შობს, ზიზღი მაშინ იჩენს თავს, როცა ადამიანს ნაგავსაყრელისთვის იმეტებენ. ნაგვის ცნება უნდა მოდიფიცირდეს და გაფართოვდეს. მატერიალური, რაოდენობრივი ნარჩენები, რომლებიც დიდ ქალაქებში წარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციის შედეგად წარმოიქმნება, მხოლოდ ხარისხობრივი, ადამიანური, სტრუქტურული ნაგვის, ნარჩენების სიმპტომია; და ეს ნაგავი გლობალური მასშტაბის იდეალური პროგრამირებისას, სამყაროს ხელოვნური მოდელირებისას რჩება. სწორედ ფუნქციათა სპეციალიზაცია, ცენტრალიზაცია (თანამედროვე მეტროპოლია ამ პროცესის აშკარა სიმბოლოდ გამოდგება) და მთელ სამყაროში ამ ხელოვნური სისტემების გავრცელება ტოვებს აუარება ნარჩენს.

ყველაზე უარესი ის კი არ არის, რომ ჩვენს ირგვლივ სულ ნაგავია, არამედ ის, რომ თავად ჩვენც ამ ნაგავად ვიქცევით. მთელი ბუნებრივი გარემო ნარჩენებად იქცა, ანუ გამოუსადეგარ, უსარგებლო სუბსტანციად, რომელსაც, როგორც გვამს, ვერ ვიშორებთ. ამასთან შედარებით ორგანული საწარმოო ნარჩენების უსასრულო მთები არაფერია. მთელი ბიოსფერო შესაძლოა მალე რაღაც არქაულ ნარჩენად იქცეს, რომლის ადგილიც ისტორიის სანაგვეზეა. თუმცა, თავად ისტორია აღმოჩნდა საკუთარ სანაგვეზე გადაგდებული, სადაც თავს იყრიან არა მხოლოდ ჩვენს მიერ განვლილი, არამედ მიმდინარე მოვლენებიც; ისინი დამთავრებას ვერ ასწრებენ, ისე კარგავენ საზრისს და ეს ყველაფერი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დემპინგის შედეგად, რომლებიც ამ მოვლენებს ჯერ უშუალო მოხმარებისთვის მზა სუბსტანციად აქცევენ, შემდეგ კი ნარჩენად. ისტორიის სანაგვე საინფორმაციო სანაგვე გახდა.

როცა სანიმუშო ქალაქებს აშენებენ, ქმნიან სანიმუშო ფუნქციებს ან სანიმუშო ხელოვნურ ანსამბლებს, ყველაფერი დანარჩენი ნაგავად, წარსულის უსარგებლო მემკვიდრეობად იქცევა. ავტოსტრადის გაყვანისას, სუპერმარკეტის ან სუპერქალაქის შენებისას თქვენ ავტომატურად გარემოს (ყველაფერს, რაც ამ ნაგებობებს გარს აკრავს) უდაბნოდ გარდაქმნით. ზეჩქარული, პროგრამირებადი გადაადგილების ავტონომიური ქსელის შექმნით თქვენ ჩვეულებრივი, ტრადიციული ურთიერთობის სივრცეს უდაბურ ზონად აქცევთ. სატრანსპორტო არტერიების გასწვრივ გაუდაბურებული ტერიტორიები წარმოიქმნება და მომავალშიც, საინფორმაციო არტერიებთან ერთად საინფორმაციო უდაბნოებიც გაჩნდება, ერთგვარი საინფორმაციო მეოთხე სამყარო - თავშესაფარი ყველა დევნილისთვის, ვინც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უარყო. ამას დაემატება უმუშევრად დარჩენილი ტვინებით დასახლებული ინტელექტუალური უდაბნოები და უნდა აღინიშნოს, რომ ის ტვინებიც უკიდურესად გართულებული საინფორმაციო ქსელების "წყალობით" დარჩნენ უმუშევარნი. ამ სივრცეში დასახლდებიან, აქ ბინას დაიდებს იმ მილიონი უმუშევრის შთამომავალი, რომელიც დღეს გამოდევნილია შრომის სამყაროდან.

სივრცეები, ისევე როგორც ადამიანები, უმუშევრები რჩებიან. აშენებენ საცხოვრებელი სახლებისა და ოფისების მთელ კვარტლებს, მაგრამ ისინი სამუდამო სიცარიელისთვის იქნებიან განწირულნი, რომლის მიზეზიც ეკონომიკური კრიზისი ან სპეკულაცია იქნება. ისინი ნაგავია, მხოლოდ ნარჩენი და ასეთად დარჩებიან მუდამ. ეს არაა წარსულის კვალი ან ნამუსრევი, ძველი სიდიადის ნანგრევები. ეს სახლები მეწარმე ადამიანის უსულგულობის ძეგლებს წარმოადგენენ. და ჩნდება კითხვა, როგორ უნდა ძულდეს და ეზიზღებოდეს ცივილიზაციას საკუთარი თავი, რომ დასაწყისშივე (თანაც განგებ) ნაგავს ქმნის საკუთარი თავისგან, შრომობს საკუთარ უსარგებლო ნაგებობაზე, ქმნის ქალაქებს და მეტროპოლიებს, უზარმაზარ უვარგის მექანიზმებს, რომლებიც უსასრულოდ გაიმეორებენ საკუთარ თავს; ესენი ფანტომები არიან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

- Ghost-towns, ghost-people (ქალაქი-აჩრდილები, ადამიანი-აჩრდილები). თავად ადამიანებიც განუწყვეტლივ ქმნიან საკუთარი თავისგან ნარჩენს, ან უბრალო სტატისტებს და მათი ხვედრიც ამ უვარგისი მექანიზმის მომსახურებაა, მექანიზმის, რომელიც წარმოების მანკიერი წრის სიმბოლოს წარმოადგენს მაშინ, როცა ისტორიის მოთხოვნების მიუხედავად, უკვე შრომა კი არ ქმნის კაპიტალს, არამედ პირიქით. მძიმეა ამ მზარდი პერსონალის ხვედრი, ისინი განწირულნი არიან ნაგვად იქცნენ.



მაშ ასე, ჩვენი კულტურა ნაგვის წარმოებად იქცა. სხვა კულტურები - უბრალო გაცვლითი ციკლის შედეგად - ჭარბ პროდუქციას ქმნიდნენ და სიჭარბის კულტურას დაუდეს სათავე, ჩვენი კი აუარება ნაგავს აწარმოებს, რომელსაც ნამდვილი საცვლელი ღირებულება ადევს. ადამიანები საკუთარ ნარჩენთა ნარჩენები ხდებიან - აი, ასეთია საზოგადოება, რომელიც გულგრილია თავის ღირებულებებისადმი, საზოგადოება, რომელიც თავისივე თავს უბიძგებს გულგრილობისა და სიძულვილისკენ.

ჩვენი მეგაპოლისები, ჩვენი კოსმოპოლიტური ქალაქები ერთგვარი აბსცესებია, რომლებიც აჭიანურებენ უფრო დიდი ჩირქოვანების გაჩენას. არქიტექტურა და ქალაქთმშენებლობა ყველგან აფათურებს თავის ამბიციურ საცეცებს, მხოლოდ მონსტრებს შობს, არა ესთეტიკური თვალსაზრისით (თუმცა ასეთიც ხშირია ხოლმე), არამედ იმ გაგებით, რომ ეს მონსტრები დანაწევრებულ და არაორგანულ, დეზინტეგრირებულ და დეზორგანიზებულ ქალაქზე მეტყველებენ. ისინი აღარ ემორჩილებიან ქალაქის რიტმს, მის ურთიერთკავშირებს, არამედ გარკვეულ უცხო ორგანიზმს წარმოადგენენ. სიმბოლური მნიშვნელობით აღჭურვილი ქალაქური ანსამბლებიც (ბობური, ფორუმი, ლა დეფანსი, ლა ვილიეტი), მხოლოდ ფსევდოცენტრებია, რომელთა გარშემოც ცრუ, ყალბი ფუსფუსი წარმოიშობა. სინამდვილეში ისინი ქალაქური ყოფიერების სატელიზაციაზე მოწმობენ. მათი გარეგნული მომხიბლაობა თითქოს იმისთვის შეიქმნა, რომ ტურისტი გააოგნოს, მათი ფუნქცია კი საყოველთაო კომუნიკაციის ცენტრისას წააგავს (აეროპორტი, მეტრო, დიდი სუპერმარკეტი), ანუ ესაა ადგილი, სადაც ადამიანები თავიანთ მოქალაქეობას, თავიანთ ტერიტორიებს კარგავენ. თუმცა, სწორედ აქ გადმოინაცვლებენ სხვადასხვა ტიპის მარგინალები და სუბკულტურის წარმომადგენლები, რომლებიც გამაცამტვერებელი ექსტაზის საძიებლად დახეტიალობენ და ამ ექსტაზს სწორედ ამ პარაზიტარულ წარმონაქმნში პოულობენ. როცა ასეთი ანსამბლები კულტურული მიზნებით იქმნება, ისინი რადიაციის ცენტრებად კი არა, შთანთქმისა და გამოყოფის ცენტრებად იქცევიან; ისინი მხოლოდ ნაკადთა გარდამქმნელები არიან. შესასვლელითა და გასასვლელით აღჭურვილი მექანიზმები. რჩება შთაბეჭდილება, რომ ესენი მსოფლიო გამოფენიდან გამოპარული ექსპონატები კი არა, ქალაქის ახალი ნაწილია; ისინი ჩვენი საზოგადოების განვითარების კოსმოპოლიტურ და დეზორგანიზებულ ხასიათზე მეტყველებენ.

ურბანისტულ პრობლემატიკას, კონცენტრაციისა და გაუდაბურების ცნებების გავლით, სხვა ცნებამდე მივყავართ, რომელსაც, ჩემი აზრით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს - ესაა კრიტიკული მასის ცნება.

ეს ცნება მატერიიდან და მისი შემსწავლელი მეცნიერებებიდან, ფიზიკიდან და ქიმიიდან მოდის, ანუ კოსმოლოგიიდანაც, რომელიც ნებისმიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებასთან შეიძლება გამოიყენო. ჩნდება კითხვა, მართლაც არის თუ არა ადამიანი სოციალური არსება. ამას დარწმუნებით ვერ იტყვი; ყოველ შემთხვევაში, ადამიანის სოციალურ არსებას თავისი საზღვრები გააჩნია. მოსახლეობის შემჭიდროვებას, მილიონობით ადამიანის თავმოყრას ქალაქის ტერიტორიებზე, მათ თანაცხოვრებას აუცილებლად მივყავართ ძალადობის ექსპონენციალურ ზრდამდე და ეს იმითაა განპირობებული, რომ იძულებითი პრომისკუიტეტის პირობებში ადამიანები თითქოს ურთიერთანულირდებიან. ეს კი უკვე რაღაც საწინააღმდეგოა სოციალური ყოფიერებისა ან პირიქით, სოციალურობის პიკია, მისი უკიდურესი გამოვლინება. თანამედროვე ისტორიის ჰორიზონტზე მასების გამოჩენა სოციალურობის ხანის დადგომასა და ამავე დროს მისი კატასტროფული ნგრევის შესახებ გვაუწყებს. ამაში მდგომარეობს კრიტიკული მასის პრობლემა. ცნობილია მისი კოსმოლოგიური გადაწყვეტა: თუკი სამყაროს მასა რაღაც ზღვარზე დაბალია, სამყარო აგრძელებს გაფართოებას და big bang (დიდი აფეთქება) უსასრულოდ გრძელდება. თუკი ზღვარი გადალახულია, იწყება იმპლოზია და სამყარო იკუმშება. ეს უკვე big crunch-ია (დიდი შეკუმშვა). ჩვენი საინფორმაციო არტერიები, ინტერნეტი და ახლო მომავალში მოსალოდნელი მსოფლიო კავშირგაბმულობა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ სწორედ ახლა ვლახავთ ინფორმაციის გლობალობის ზღვარს, როცა ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერ ადგილას იქნება შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება. ამას კი მოჰყვება ავტომატური შეკუმშვის, მკვეთრი რევერსიის საშიშროება, საინფორმაციო big crunch-ი. შესაძლოა უკვე გადავაბიჯეთ ამ ზღვარს, შესაძლოა კატასტროფა უკვე მოხდა, თუკი ინფორმაციის სიუხვე (მასობრივი საშუალებების მიერ მოწოდებული) თავისთავად ანულირდება და თუკი ობიექტური ინფორმაციის ტერმინებში გამოხატული ბალანსი გარკვეული თვალსაზრისით უარყოფითი აღმოჩნდება (ინფორმაციით გადატვირთვის დამახინჯებული ეფექტი). ყოველ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად გადავლახეთ ეს ზღვარი სოციალურის სფეროში, თუკი გავითვალისწინებთ მოსახლეობის არნახულ ზრდას, კონტროლის ქსელის, უშიშროების ორგანოების, კომუნიკაციებისა და ურთიერთკავშირის სისტემების გაფართოებას.

მეგაპოლისში სოციალურობის ყველა ელემენტია წარმოდგენილი, ისინი იდეალურ კომპლექსში არიან თავმოყრილნი: სივრცითი სიახლოვე, ურთიერთქმედებისა და ურთიერთგაცვლის სიადვილე, ნებისმიერ დროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაგრამ აი, რა ხდება: ყველა ამ პროცესის დაჩქარება და ინტენსიფიკაცია ინდივიდებში გულგრილობასა და დაბნეულობას შობს. ამ მეორადი მდგომარეობის მოდელად (როცა საყოველთაო გულგრილობის ატმოსფეროში ყველა თავის ორბიტაზე მოძრაობს, როგორც თანამგზავრი) ტრანსპორტის მაგალითი გამოდგება. სამოძრაო გზები აქ არასდროს კვეთენ ერთმანეთს, თქვენ აღარავის ხვდებით, რადგანაც ყველას მოძრაობას ერთიდაიგივე მიმართულება აქვს; ასე, მანქანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქარე მინიდან მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრავი მანქანები ჩანს. შესაძლოა სწორედ ამაში მდგომარეობს კომუნიკაციის არსი? - ესაა ცალმხრივი თანაცხოვრება. მისი ფასადის მიღმა სულ უფრო მზარდი გულგრილობა და ნებისმიერი სახის სოციალური კავშირის უარყოფაა დაფარული.

ხარისხობრივი ცვლილებების შედეგად, რომელიც კრიტიკული მასის გადაჭარბების წყალობით ჩნდება, ყველა ეს ინფორმაციითა და ტექნიკით გადატვირთული და ზედმეტად დაცული საზოგადოება ერთგვარ უკუენერგიას შობს, ინერციას, რომელიც მომავალში გრავიტაციულ კოლაფსს გვიქადის. რადგანაც ხდება ყველანაირი სწრაფვის სრული ინვერსია.

ყველა დადებითი სწრაფვა, მათ შორის სოციალურობისკენ ლტოლვა, ინვერტირდება და უარყოფით "ლტოლვად", ანუ გულგრილობად იქცევა. ლტოლვა ზიზღით იცვლება. საყოველთაო კომუნიკაციის ატმოსფეროში, ინფორმაციული სიჭარბის, ყოფიერების გამჭვირვალობისა და გამჭოლობის, პრომისკუიტეტის პირობებში, ადამიანის დამცავ ძალებს საშიშროება ემუქრებათ. სიმბოლური სივრცე უკვე აღარაფრითაა დაცული. როცა ტექნიკისთვის ხელმისაწვდომი ხდება აბსოლუტურად ყველაფერი. მე უკვე ველარ ვარჩევ, რა არის სასარგებლო და რა არა; არადიფერენცირებულ სამყაროში მე ვერ გადავწყვეტ, სადაა მშვენიერება და სად სიმახინჯე, ცუდი და კარგი, ორიგინალური და მოძველებული. ჩემი ორგანიზმიც კი ვერ არკვევს, რაა მისთვის კარგი და ცუდი. რაღაც გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა ნებისმიერ საგანს უვარგისს ხდის და დაცვის ერთადერთ ფორმად უკურეაქცია რჩება (ორიგინალში ბოდრიარი იყენებს ფსიქოანალიტიკურ ტერმინს abreaction, "რეაგირება" (ფრ.) - მთარგმნ.შენ.), სიძულვილი და ზიზღი. ეს ორგანიზმის იმუნური რეაქციაა, რომლის დახმარებითაც იგი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი სიმბოლური ერთიანობა, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც. აი, ამიტომ მგონია, რომ სიძულვილი, როგორც გულგრილობისა და ამ არადიფერენცირებული სამყაროს უარყოფის უკიდურესი ფორმა, ორგანიზმის ცხოვრებისეული რეაქციის უკიდურესი გამოვლინებაა.

გაქრნენ ძლიერი მისწრაფებები და დადებითი, არჩევითი, ატრაქტიული ხასიათის აღტყინება. რაღაც იდუმალი ფაქტორის მოქმედების შედეგად გაქრა გემოვნება, სურვილები, ისევე როგორც ნება. პირიქით, ბოროტი ნება კრისტალიზდა, უარყოფისა და ზიზღის გრძნობა კი საგრძნობლად გაიზარდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ეს ვითარება წარმოადგენს უარყოფითი ენერგიის წყაროს, იგი იწვევს ჩვენში ალერგიულ რეაქციას, რომელიც სურვილის ადგილს იკავებს; აქედან მოდის ჩვენი ცხოვრებით განპირობებული უკურეაქცია ყველაფერზე, რაც გარშემოა; ადამიანს აღარა აქვს რაიმეს შეცვლის სურვილი. ესაა სუფთა, წმინდა წყლის უარყოფა. ჩვენს დროში სიმპათიებმა დაკარგა თავისი კონკრეტულობა, გარკვეული და ცხადი მხოლოდ ზიზღის გრძნობაა. აღარ ვიცით, თუ რა გვსურს, სამაგიეროდ, შესანიშნავად ვუწყით, რა აღარ გვინდა. ადამიანის საქციელი (და ავადმყოფობაც) სულ უფრო კარგავს "ობიექტურ" მოტივაციას; ყველაზე ხშირად ისინი უარყოფის ამა თუ იმ ფორმიდან მომდინარეობენ, რომელიც გვაიძულებს უარი ვთქვათ საკუთარ თავსა და ენერგიაზე ნებისმიერი საშუალებით. შესაბამისად, მათ საფუძველში ერთგვარი ეკზორციზმი დევს და არა მოღვაწეობის ესა თუ ის პრინციპი. ეკზორციზმის ამგვარი ახალი ფორმა (რომელსაც მაგიური კონოტაცია ახლავს) საკუთარ თავზეა მიმართული და ამავე დროს სხვებზეც, ანუ "სხვაზე". იგი შელოცვის ახალინაირსახეობაა და შესაძლოა ბოროტების პრინციპის სრულიად ახალ ფორმასაც წარმოადგენს?!

მოდით ისევ მასებს დავუბრუნდეთ. იგი ერთგვარ სოციალურ შავ ყუთს წარმოადგენს, რომელშიც ყველა მიზანი და ამოცანა, ყველა მისწრაფება ინვერტირებულია; იგი უარყოფითი სტატიკური ელექტრობის თავისებური წყაროა. სწორედ მასებში უნდა ეძიო სოციალური სიძულვილის, უარყოფის და პოლიტიკური გულგრილობის ფესვები. რადგანაც, როგორც ზიმელი ამბობს, "არაფერია უფრო ადვილი, ვიდრე უარყოფა... და ფართო მასები - რომელთაც არ ყოფნით ძალა, რათა საკუთარ თავს საერთო მიზანი დაუსახონ - უარყოფაში აცნობიერებენ თავიანთ არსებას". აზრი არა აქვს შეკითხვას, რას ფიქრობენ ისინი, ან როგორია მათი ნება. მათ ნება უბრალოდ არ გააჩნიათ. ისინი უარყოფის უკუნში ცხოვრობენ და თავიანთ მიზანს ნეგატიურობაში ხედავენ. ისინი გაურკვეველი პოტენციით ხასიათდებიან, მხოლოდ ზიზღი და უარყოფაა მათი ძალა, უპირველეს ყოვლისა კი კულტურისა და ორგანიზაციის ყველა იმ ფორმის უარყოფა, რომელიც მათ არ ესმით. მათ ეზიზღებათ პოლიტიკური რეჟიმი (რაც კონფორმიზმსაც არ გამორიცხავს), პოლიტიკური ამბიციები და ძალაუფლების ტრანსცენდენტულობა. თუკი პოლიტიკურ არჩევანსა და პოლიტიკურ განსჯებს ვნება ახასიათებს, პოლიტიკისადმი ზიზღი ძალადობას შობს. სწორედ ამაში მდგომარეობს ზიზღის საფუძველი, რომელიც თავის გამოხატულებას არა მხოლოდ დანაშაულსა და რასიზმში პოულობს, არამედ ჩვეულებრივ გულგრილობაშიც, რადგანაც ზემოთქმული ეხება არამხოლოდ მასას, არამედ ყოველ ინდივიდსაც იმდენად, რამდენადაც იგი, საკუთარ ნიჟარაში გამოკეტილი, თავის თავზე ორიენტირდება და დესოციალიზირდება და ამიტომ იქცევა მასად. ტრადიციული ძალადობის მიზეზი ჩაგვრა და კონფლიქტი იყო, ზიზღი კი მჭიდრო ურთიერთობასა და კონსენსუსის ატმოსფეროში იშვება. ჩვენი ეკლექტური კულტურა - ესაა დაპირისპირებულ საწყისთა პრომისკუიტეტის კულტურა, კულტურულ melting - pot (ტიგელი)-ში არსებული ყველა შესაძლო განსხვავების თანაარსებობა. მაგრამ მოდით თავს ნუ მოვიტყუებთ: სწორედ ასეთი კულტურული მრავალფეროვნება, შემწყნარებლობა და სინერგია ახდენს გლობალური უკურეაქციის პროვოცირებას. სინერგია ალერგიას იწვევს. ზედმეტ ზრუნვას დამცავი საშუალებების დასუსტებასა და იმუნიტეტის გაქრობამდე მივყავართ; უსაქმოდ დარჩენილი ანტისხეულები თავად ორგანიზმს უჯანყდებიან. ასევეა ზიზღის ბუნებაც: როგორც სხვა თანამედროვე ავადმყოფობა, იგი თვითაგრესიისგან და ავტოიმუნური პათოლოგიიდან მოდის. ჩვენ უკვე გვიჭირს მეტროპოლიებში გამეფებული ხელოვნური იმუნიტეტის ატმოსფეროში ცხოვრება. რაღაც ცხოველს დავემსგავსეთ, რომელსაც ბუნებრივი მტერი აღარ ჰყავს და ამიტომ იგი გაქრობისთვის, ან თვითგანადგურებისთვის არის განწირული. იმისათვის, რათა როგორმე ავიცილოთ თავიდან "სხვის", მტრის, არასახარბიელო ვითარების გაქრობა, ჩვენ სიძულვილს მივმართავთ, რომელიც გარკვეული სახის ხელოვნური, უსაგნო, უშინაარსო გასაჭირის გაჩენას უწყობს ხელს. ამგვარად, სიძულვილი თავისებური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფატალური სტრატეგიაა, რომელიც მშვიდი არსებობის წინააღმდეგაა მიმართული. იგი მთელი თავისი ორაზროვნების მიუხედავად, ჩვენი სამყაროს გულგრილობის წინააღმდეგ მიმართულ თავგანწირულ პროტესტს წარმოადგენს. და თავისი ამ თვისებით, ცხადია, მეტად აკავშირებს ადამიანებს, ვიდრე კონსენსუსი ან მჭიდრო ურთიერთობა.

სიძულვილსა და ძალადობას შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს. ისტორიულ ძალადობას ან ვნებებითა და გარკვეული მისწრაფებებით გამოწვეულ ძალადობას თავისი საგანი ანუ მიზანი აქვს, ერთი სიტყვით მას მტერი ჰყავს. სიძულვილს კი არაფერი ამდაგვარი არ გააჩნია, იგი სავსებით სხვა მოვლენაა. გადასვლა ძალადობიდან ზიზღისკენ მოასწავებს კონკრეტული ვნებებიდან უსაგნო, უშინაარსო ვნებებზე გადასვლას.

კოლექტიური მისწრაფებების, კოლექტიური ძალადობის ძირითადი ფორმები შეიძლება შემდეგნაირად დალაგდეს: საკრალური, სამსხვერპლო რისხვა - ისტორიული ძალადობა - სიძულვილი როგორც ძალადობის წმინდა და არადიფერენცირებული, ვირტუალური ფორმა. უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, მესამე ტიპის ძალადობას წარმოადგენს, რომელიც ამჟამად მეორე სახის ძალადობასთან, ტერორიზმთან თანაარსებობს, ისევე როგორც ყველა სახის ვირუსულ ინფექციებსა და ეპიდემიურ ფორმებთან თუ ჯაჭვურ რეაქციებთან ერთად. სიძულვილი უფრო ირეალურია, უფრო მოუხელთებელია თავის გამოვლინებებში, ვიდრე უბრალო ძალადობა; ეს კარგად ჩანს რასიზმისა და დამნაშავეობის მაგალითზე. აი რატომაა ძნელი მასთან ბრძოლა როგორც პროფილაქტიკური, ისევე რეპრესიული ხერხებით. შეუძლებელია ზიზღის მიზეზის მოსპობა, რადგანაც შეუძლებელია მასში რაიმე ექსპლიციტური მოტივაცია იპოვო. მას ვერ უძრავჰყოფ, რადგანაც არაფერია სიძულვილის მამოძრავებელი ძალა. ვერ დასჯი, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში მას საკუთარი თავისთვის გამოაქვს განაჩენი.

რამდენადაც ჩვენს საზოგადოებაში აღარაა რეალური ძალადობა - გარკვეულ ობიექტზე მიმართული ისტორიული, კლასობრივი ძალადობა - მასში ვირტუალური, რეაქტიული ძალადობა იქმნება. პარადოქსულია, მაგრამ სიძულვილი, რომელიც არქაული, პირველადი მისწრაფება შეიძლება მოგვეჩვენოს, სინამდვილეში მოწყვეტილია თავის საგანსა და მიზანს (დღეს მიღებულია კულტურის "ქსეროქსულ" დონეებზე საუბარი, იგივე შეიძლება ითქვას "ქსეროქსულ" ძალადობაზეც). ამიტომაა სიძულვილი დიდი მეტროპოლების თანადროული მოვლენა. თუმცა, იგი თავისებური სიცივით გამოირჩევა. ეს გულგრილობის პირმშო (გულგრილობის, რომელსაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ) ასევე განურჩევლად შეიძლება ნებისმიერს გადაედოს. მასში არაა დამაჯერებლობა, აღტყინება, acting out (გათამაშება)-ით ამოწურავს თავს და ხშირად საკუთარი ხატის შექმნით კმაყოფილდება, ძალადობის ხანმოკლე აფეთქებით; თანამედროვე გარეუბნული დამნაშავეობა ამის მაგალითად გამოდგება.

სიძულვილი, როგორც დამცავი უკურეაქცია, თავად სისტემიდან წამოსული ძალადობის ახალი ფორმის საპასუხოა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება გამოიყოს ძალადობის პირველადი ფორმა: ესაა აგრესიასთან, დათრგუნვასთან, თვითნებობასთან, ძალის დემონსტრირებასთან, დამცირებასთან და ძარცვასთან დაკავშირებული ძალადობა - ერთი სიტყვით, ცალმხრივი ძალადობა, რომელსაც ძლიერი ახორციელებს სუსტზე. ამგვარ ძალადობაზე პასუხი შესაძლებელია საპირისპირო ძალადობა იყოს: ისტორიული, კრიტიკული ძალადობა, ნეგატიურობის ძალადობა. იქნება სისტემასთან ურთიერთობის გაწყვეტა, ტრანსგრესია (ანუ ანალიზის, ინტერპრეტაციის, საზრისის ძალადობა). ყველაფერი ეს გარკვეული მიმართულების ძალადობაა, მისი ნაირსახეობები და მათ თავისი დასაწყისი და დასასრული , მიზნები და შედეგები აქვს და გარკვეულ შეფარდებაში იმყოფება ძალაუფლების, ისტორიის, საზრისის ტრანსცენდენტურობასთან. ყველაფერ ამას უპირისპირდება ძალადობის ამჟამინდელი ფორმა. იგი უფრო დახვეწილია, ვიდრე აგრესიის ძალადობა; ესაა გადარწმუნების, დაშოშმინების, ნეიტრალიზაციის, კონტროლის ძალადობა - მას უმტკივნეულო განადგურებისკენ მივყავართ. ესაა თერაპიული, გენეტიკური, კომუნიკატიური ძალადობა - ძალადობა, რომელიც კონსენსუსიდან და იძულებითი თანაცხოვრებიდან იშვება, ესაა გარკვეულწილად სოციალურობის კოსმეტიკური ქირურგია. ესაა გამჭვირვალე და უვნებელი ძალადობა; სხვადასხვა საშუალებით, პროფილაქტიკური ზომების მიღებით (ფსიქიკური რეგულაცია იქნება ეს თუ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ განხორციელებული რეგულაცია) იგი ცდილობს ამოძირკვოს ბოროტების ფესვები და ამით ნებისმიერი სახის რადიკალიზმიც აღმოფხვრას. ესაა სისტემის ძალადობა, რომელიც ნეგატიურობის გამოვლინებას ახშობს (მათ შორის, ნეგატიურობის უკიდურეს ფორმას, სიკვდილს). ესაა საზოგადოების ძალადობა, სადაც ნეგატიურობას, კონფლიქტურობას, სიკვდილს უარი ეთქვა. ესაა ძალადობა, რომელიც გარკვეულწილად თავად ძალადობასაც კლავს, ამიტომაც ამგვარ ძალადობაზე ვერ უპასუხებ იგივეთი, იძულებული ხარ სიძულვილით უპასუხო.

თუმცა ყველაზე უფრო მკაცრი აკრძალვა, განსხვავებულობის აკრძალვაა. "სხვის" ფუნდამენტური პრობლემისათვის ერთგვარი "საბოლოო გადაწყვეტილება" (განადგურება იგულისხმება) მოიძებნა: კომუნიკაციის უნივერსალურ ქსელში ჩართვა. ამ ტრანსპოლიტიკურ ახალ წესრიგში გვემუქრება არაიმდენად საკუთარი თავის დაკარგვის (Verfremdung "გასხვისება"), არამედ ყველაფერ დანარჩენის, ნებისმიერი სახის განსხვავების (Entremdung "განდგომა") გაქრობის საშიშროება. ჩვენ უკვე აღარ განვიცდით გასხვისების პროცესს, არ ვიქცევით სხვად, უკვე აღარ გვართმევენ ჩვენს თავს "სხვის" სასარგებლოდ, არამედ "სხვას" გვართმევენ "იგივესთვის"; სხვა სიტყვებით, ჩვენ გვართმევენ ნებისმიერ განსხვავებულობას, უჩვეულობას და გაიგივების უსასრულო პროცესში "ერთსა და იმავეს" გამეორებისათვის გვწირავენ; ესაა უკვე იგივეობის უნივერსალური კულტურა.

აქედან ჩნდება გაბოროტების საშინელი გრძნობა, საკუთარი თავის სიძულვილი. ეს არაა "სხვის" მიმართ სიძულვილი (რასიზმის სტერეოტიპიდან და მისი ზედაპირული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე), არამედ სხვაობის გაქრობის გამო გაჩენილი ზიზღი.

სიძულვილი (რასიზმი და ა.შ.) უფრო განსხვავებულობის ფანატიზმია, ვიდრე "სხვის" უგულვებელყოფა. იგი ცდილობს დაკარგული "სხვის" კომპენსირებას, მიმართავს ეკზორციზმს და ქმნის ხელოვნურ "სხვას". ლობოტომირებულ სამყაროში, სადაც კონფლიქტები მყისვე ლოკალიზდებიან, სიძულვილი ცდილობს აალორძინოს განსხვავებულობა თუნდაც იმიტომ, რათა იგი გაანადგუროს, ცდილობს თავიდან აიცილოს ფატალური იგივეობა, აუტისტური თავკერძობა, არადა, ჩვენ იძულებულნი ვართ ამ სიტუაციაში ვიცხოვროთ. სხვა გამოსავალი არც არსებობს (მსოფლიო კულტურის განვითარების თანამედროვე ეტაპიდან გამომდინარე). რა თქმა უნდა, ესაა გაბოროტების კულტურა, მაგრამ "სხვაზე" გაბოროტების მიღმა, უნდა დავინახოთ საკუთარ თავზე, თვითების დიქტატურაზე და იგივეობაზე გაბოროტებაც და ეს გაბოროტება შესაძლოა დამანგრეველიც აღმოჩნდეს.

სიძულვილი ანორმალური გრძნობაა (იგი უნდა გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასხვავოთ ძალადობისგან, როგორც საპირისპირო აქტისგან, რადგანაც ძალადობა სოციალურობისა და ისტორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს). სიძულვილს არა აქვს ისტორია. იგი სოციალურობისა და ისტორიის დასასრულისთვისაა დამახასიათებელი. როცა სისტემა აღვსების სტადიას, უნივერსალობას მიაღწევს (ანუ მიაღწევს თავისი ყველა შესაძლებლობის ამოწურვის ვირტუალურ სტადიას), იგი ავტომატურად გადაიქცევა ანორმალურ სისტემად და ჩნდება მძაფრი რევერსიის საშიშროება. როცა თავად სისტემა აღმოჩნდება განდგომილ-განკერძოებული, უმტროდ დარჩენილი, მას უკვე გრავიტაციული კოლაფსი ემუქრება. სწორედ ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით ახლა ჩვენ და სიძულვილი ერთდროულად წარმოადგენს ამ კრახის სიმპტომსაც და აგენტსაც; იგია სოციალურობის, განსხვავებულობისა და თავად სისტემის დასასრულის ოპერატორი, რადგანაც, ფაქტობრივად, სისტემის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სისტემის წინააღმდეგვე შემობრუნდება.

ამგვარად, სიძულვილი, მთელი თავისი ორაზროვნებით უნდა განვიხილოთ, როგორც თანამედროვე სამყაროსა და ზოგადად კონფლიქტურობის დასასრულისთვის დამახასიათებელი ბუნდოვანი გრძნობა. ეს თითქოს ისტორიის დასასრულიცაა; თუმცა პარადოქსია, მაგრამ ისტორია არასდროს დასრულებულა, რადგანაც მის მიერ დასმული პრობლემები საბოლოოდ არასდროს გადამწყდარა. უფრო ისტორიის დასასრულს იცილებენ თავიდან, როცა არცერთ პრობლემას არ წყვეტენ. თანამედროვე სიძულვილშიც სწორედ ამის გამო იგრძნობა ნუხილი.

ჩვენ ყველას გვძულს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენზე არაფერი არაა დამოკიდებული. გვინდა, ეს სამყარო, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სასრული გავხადოთ, მიზანი დავუსახოთ მას. სიძულვილს ემატება სისტემის დანგრევის სურვილიც, ამით თითქოს გზას გავუკაფავთ რაღაცას, რაც გარედან მოდის; ეს რაღაცა კი "სხვაა". ეს გულცივი ფანატიზმი გამონევისა და იმედის მილენარულ ფორმას მოიცავს. მახსენდება კოლოქვიუმი სამყაროს დასასრულის შესახებ, რომელიც დაახლოებით ათი წლის წინ გაიმართა ნიუ-იორკში, მე-5 ავენიუზე. ჩემი პირველი რეაქცია ასეთი იყო: რა შესანიშნავი იდეაა კოლოქვიუმისათვის ნიუ-იორკის არჩევა, იგი ხომ სამყაროს დასასრულის იდეალური ეპიცენტრია. მეორე რეაქცია: აბსურდულია, რომ თემას აქ, ნიუ-იორკში ვარჩევთ. მსოფლიო მეტროპოლია ხომ სწორედ სამყაროს დასასრულის რეალურ განხორციელებას წარმოადგენს. ეს პროცესი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, რა აზრი აქვს განსჯებს მის შესახებ...?! მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ ინტელექტუალთა ეს შეკრება, სამყაროს დასასრულის ბანალური რეალობის მიუხედავად, მიზნად ისახავდა სწორედ სამყაროს დასასრულის "იდეა" ეხსნა, სამყაროს დასასრულის უტოპია ეხსნა. დღესაც ამას ვაკეთებთ აქ, ახლა, საუკუნის დასასრულს.

აპოკალიფსის ავტორები მეთოდური ადამიანები იყვნენ. ისინი ეპისტოლეებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, იმის ნაცვლად, რომ თავად ანტიქრისტეს აზრი გაერკვიათ.

*1996 წ.*

თარგმნა **მალხაზ ხარბედია**



### ვუდი ალენი

# სიკვდილი აკაკუნებს



მოქმედება ხდება სადღაც კიუ გარდენსის მიდამოში, ეკერმანების ორსართულიანი სახლის საძინებელში. კედლებს ხალიჩები ფარავს. იქვე დიდი, ორკაციანი საწოლი და ფართო კომოდი დგას, ოთახი ავეჯითა და ფარდებით საგულდაგულოდაა გაწყობილი. კედლებზე რამდენიმე სურათი და ერთი უჩეირო ბარომეტრი კიდია. ფარდის აწევისთანავე ისმის ნაზი კლასიკური მუსიკის ხმა. ლოგინზე წევს ორმოცდაჩვიდმეტ წელს მიღწეული ტანსაცმლის მწარმოებელი, მელოტი და ღიპიანი ნეტ ეკერმანი და გაზეთ "დეილი ნიუსის" ხვალინდელი ახალი ამბების ქრონიკის კითხვას ამთავრებს. აბანოს ხალათი აცვია, ფეხზე კი - ქოშები და საწოლის თეთრ თავფიცარზე მიმაგრებული ლამფის შუქზე გაზეთს ჩაჰყურებს. შუაღამე ახლოვდება. მოულოდნელად რაღაც ხმაური გვესმის, ნეტი წამოჯდება და ფანჯრისკენ იხედება.

**ნეტი**: ეს რა ჯანდაბა იყო?

(ფანჯრიდან ტლანქად მოცოცავს პირქუში, ლაბადაში გახვეული სხეული. დაუპატიჟებელ სტუმარს შავი კაპიუშონი წამოუცვამს, ტანზეც შავი სამოსი შემოტმასნია. კაპიუშონი თავს უფარავს, მაგრამ შუა ხნისა და მიტკლისფრად გადაფითრებულ სახეს კი არა. რაღაცით ნეტს ჩამოჰგავს. უცნობი ხმამაღლა ბურტყუნებს და იმუქრება, მერე ფანჯრის რაფაზე გადაკოტრიალდება და იატაკზე ეცემა).

**სიკვდილი** (დიახ, სწორედ რომ იგი): უფალო იესო! ლამის კისერი არ მოვიმტვრიე!

**ნეტი** (შეცბუნებული შეჰყურებს): ვინ ბრძანდებით?

**სიკვდილი**: სიკვდილი ვარ.

**ნეტი**: ვინ?

**სიკვდილი**: სიკვდილი. მომისმინე, შეიძლება დავჯდე? კინაღამ კისერი მომტყდა. ფოთოლივით ვცახცახებ.

**ნეტი**: ვინ ბრძანდებით?

**სიკვდილი**: სიკვდილი. ერთ ჭიქა წყალს ვერ დამალევინებ?

**ნეტი**: სიკვდილი? მაგით რისი თქმა გსურთ?

**სიკვდილი**: რა გემართება? შავ კოსტიუმსა და გაფითრებულ სახეს ხომ ხედავ?

**ნეტი**: ჰოო.

**სიკვდილი**: როგორ ფიქრობ, დღეს ჰელოუინს ვზეიმობთ?

**ნეტი**: არა.

**სიკვდილი**: მაშ, სიკვდილი ვყოფილვარ. აბა, ახლა მაინც თუ დამალევინებ წყალს? გინდაც "ფრესკა" იყოს.

**ნეტი**: ვითომ ხუმრობაა...

**სიკვდილი**: რა ხუმრობა? ორმოცდაჩვიდმეტის არა ხარ? ნეტ ეკერმანი, პესიფიკის ქუჩა ერთი, წილადი თვრამეტი, არა? თუ არაფერი მეშლება... მოიცა, ერთი გამოძახების ფურცელი გადავამოწმო (ჯიბეში იქექება, მერე კი წარმოადგენს ბარათს, რომელსაც მისამართი აწერია. ბარათი დამაჯერებლობას მატებს მის სიტყვებს).

**ნეტი**: რა გნებავთ ჩემგან?

**სიკვდილი**: რა მნებავს? როგორ გგონია, მაინც რა უნდა მნებავდეს?

**ნეტი**: ეტყობა მეხუმრებით. ჯანმრთელობას მე არ ვუჩივი.

**სიკვდილი** (აუღელვებლად): ოჰო! (აქეთ-იქით მიმოიხედავს). საამური ადგილია, ღმერთმანი. სულ შენი ნახელავია?

**ნეტი**: დეკორატორი დავიქირავეთ, მაგრამ არც ჩვენ დაგვიკლია ხელი.

**სიკვდილი** (შეჰყურებს სურათს კედელზე): მიყვარს ასეთი დიდთვალება ბავშვები.

**ნეტი**: ჯერ არ მინდა წასვლა.

**სიკვდილი**: წასვლა არ გინდა? შენი ჭირიმე, არ დამიწყო ახლა ეგეთები. ამდენი ცოცვისაგან ისედაც ლამისაა გული ამერიოს.

**ნეტი**: რომელ ცოცვაზე მელაპარკებით?

**სიკვდილი**: საწვიმარ მილს ამოვყევი. რა არ ვილონე, რომ ჩემი გამოცხადება დრამატული ყოფილიყო. შევყურებ ფართო ფანჯრებს, შენ გღვიძავს და კითხულობ. ეგრევე ვიფიქრე, ღირსმეთქი. ავძვრები, შევალ, ცოტას... ხო აზრზე ხარ... (თითებს გაატკაცუნებს). ამასობაში ვაზის წნელში ქუსლი მეხლართება, მილი ტყდება, მე კი რაღაც ძაფზელა ვკიდივარ. მერე ეს ჩემი ლაბადაც ფხრეწას იწყებს. მოდი რა, უბრალოდ ავდგეთ და წავიდეთ. ძალიან მძიმე ღამე მქონდა.

**ნეტი**: ჩემი საწვიმარი მილი გატეხეთ?

**სიკვდილი**: გატეხეთ! არ გამტყდარა. ოდნავ გაილუნა. არაფერი გაგიგონია? ძირს ჩამოვაგდე.

**ნეტი**: ვკითხულობდი.



**სიკვდილი**: ეტყობა მაგრა გაგიტაცა ხო იცი! (ხელში იღებს გაზეთს, რომელსაც ნეტი კითხულობდა). "ადგილზე დააკავეს მარიხუანას ორგიაში მონაწილე სტუდენტი გოგონები". არ მათხოვებ?

**ნეტი**: ჯერ არ დამიმთავრებია.

**სიკვდილი**: ეეჰ, არც კი ვიცი, ეს ყველაფერი როგორ გითხრა, მეგობარო...

**ნეტი**: ქვემოთ, ზარი რატომ არ დარეკეთ?

**სიკვდილი**: გეუბნები, შემეძლო ასეც მოვქცეულიყავი, მაგრამ აბა როგორ გამოვიდოდა? ასე კი ცოტა დრამატული ელფერი აქვს. ჰო, რაღაც ამდაგვარი. "ფაუსტი" წაგიკითხავს?

**ნეტი**: რა?

**სიკვდილი**: ვთქვათ და მარტო არ ყოფილიყავი. ზიხარ ვილაც მნიშვნელოვან ხალხთან ერთად. მე, სიკვდილმა, ზარი დავრეკო და წინ ისე ჩაგიაროთ, ვითომც აქ არაფერიაო. აბა, რაებსა ჩმახავ, ტვინი სადა გაქვს?

**ნეტი**: მომისმინეთ, მისტერ. უკვე ძალიან გვიანაა.

**სიკვდილი**: ჰოო. აბა, მოდიხარ?

**ნეტი**: სად მოვდივარ?

**სიკვდილი**: სიკვდილში, ძმაო. იქ, იმ ყველაზე მთავართან! სამოთხე, ბედნიერი და უზრუნველი იმქვეყნიური ყოფა (მერე საკუთარ მუხლს დახედავს). გეუბნები, ძალიან სერიოზული ჭრილობაა-მეთქი. მგონი, პირველ საქმეზევე განგრენა ავიკიდე.

**ნეტი**: ერთი წუთი მაცადე. დრო მჭირდება. წამოსასვლელად ჯერ არა ვარ მზად.

**სიკვდილი**: ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები. დიდი სიამოვნებით, მაგრამ - რა გიყო, დრო მოგივიდა.

**ნეტი**: დრო რანაირად მომივიდა, როცა სულ ეს-ესაა "მოდისტ ორიჯინალში" დავიზღვიე თავი.

**სიკვდილი**: რა ბედენაა, ერთი-ორი დოლარით მეტი გექნება, თუ ნაკლები.

**ნეტი**: აბა, შენ რა გენაღვლება? ალბათ მთელ ხარჯებს გინაზღაურებენ.

**სიკვდილი**: აბა, მოდიხარ თუ არა?

**ნეტი** (ახედ-დახედავს): მაპატიეთ, მაგრამ ვერაფრით დამიჯერებია, რომ სიკვდილი ხართ.

**სიკვდილი**: რატომ? აბა, ვის ელოდი, როკ ჰადსონი გამოგეცხადებოდა?

**ნეტი**: არა, ეგ რა შუაშია.

**სიკვდილი**: ვწუხვარ-მეთქი, იმედი თუ ვერ გაგიმართლე.

**ნეტი**: კარგი, არ გეწყინოთ. არც კი ვიცი... ყოველთვის მეგონა, რომ თქვენ უფრო... როგორ გითხრათ... უფრო მაღალი იქნებოდით.

**სიკვდილი**: ხუთი ფუტი და შვიდი დიუმი. წონას თუ გავითვალისწინებთ, საშუალო სიმაღლისა მქვია.

**ნეტი**: იცით, რაღაცით მეც მგავხართ.

**სიკვდილი**: აბა, ვის უნდა ვგავდე? მე ხომ შენი სიკვდილი ვარ.

**ნეტი**: იქნებ, ცოტა მადროვოთ. ერთი დღე.

**სიკვდილი**: არ შემიძლია. სხვანაირად როგორღა გითხრა?

**ნეტი**: მხოლოდ ერთი დღე. ოცდაოთხი საათი.

**სიკვდილი**: რაში გჭირდება? რადიოთი გადმოსცეს, ხვალ წვიმა იქნებაო.

**ნეტი**: იქნებ რაიმე ილონოთ?

**სიკვდილი**: მაინც, რა?

**ნეტი**: ჭადრაკს თამაშობთ?

**სიკვდილი**: არა, არ ვთამაშობ.

**ნეტი**: ერთხელ თქვენი სურათი ვნახე, ჭადრაკს თამაშობდით.

**სიკვდილი**: ეგ მე არ ვიქნებოდი, რადგან ჭადრაკს საერთოდ არ ვეკარები. კუნკენი კიდე შეიძლება.

**ნეტი**: კუნკენს თამაშობთ?

**სიკვდილი**: კუნკენს თუ ვთამაშობ? პარიზი ქალაქია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნეტი**: კარგად გამოგდით, სხვათა შორის.

**სიკვდილი**: ძალიან კარგად.

**ნეტი**: იცით, ახლა რას ვიზამ?

**სიკვდილი**: მოდი რა, გარიგებები არ გვინდა.

**ნეტი**: კუნკენს გეთამაშებით. თუ მოიგებთ, უსიტყვოდ მოგყვებით, მე თუ მოვიგე, კიდევ ცოტა უნდა მადროვოთ. სულ ერთი დღე, მეტი არა.

**სიკვდილი**: რა დროს კუნკენის თამაშია?

**ნეტი**: რას ბრძანებთ, თუკი ეს თამაში კარგად გეხერხებათ...

**სიკვდილი**: ისე, თამაშის განწყობაზე კი ვარ.

**ნეტი**: მოდი რა, თუ ძმა ხარ, ნახევარი საათი წავითამაშოთ.

**სიკვდილი**: არა, უფლება არა მაქვს.

**ნეტი**: აი, კარტი და აღარ გვინდა რა, ზედმეტი ლაპარაკი.

**სიკვდილი**: კარგი, კარგი, თანახმა ვარ. თამაში ხასიათზე მომიყვანს.

**ნეტი** (იღებს კარტს, ბლოკნოტსა და ფანქარს): ნამდვილად არ ინანებთ.

**სიკვდილი**: თუ ღმერთი გწამს, ნუ მევაჭრები. აიღე კარტი, "ფრესკა" მომეცი და საჭმელიც მოაყოლე რამე. სტუმარი შემოგესწრო, კარტოფილის ჩიპსები მაინც არა გაქვს, ან მარილიანი ჩხირები?

**ნეტი**: ქვემოთ შოკოლადი "M&M" მაქვს.

**სიკვდილი**: M&M! პრეზიდენტი რომ გსტუმრებოდა? ვითომ M&M-ს დასჯერდებოდა?

**ნეტი**: თქვენ ხომ პრეზიდენტი არა ხართ.

**სიკვდილი**: კარგი, კარგი. დაარიგე.

(ნეტი კარტს არიგებს, ამოდის ხუთიანი)

**ნეტი**: მოდით, მეტი ინტერესისთვის თითო ქულაზე ცენტის მეათედს ჩამოვიდეთ.

**სიკვდილი**: უამისოდ საინტერესოდ არ გეჩვენება?

**ნეტი**: ფული რომ მეგულება, უკეთესად ვთამაშობ ხოლმე.

**სიკვდილი**: როგორც გენებოს, ნევტ.

**ნეტი**: ნეტი. ნეტ ეკერმანი. დაგავიწყდათ ჩემი სახელი?

**სიკვდილი**: ნევტი, ნეტი - თავი ამტკივდა, რა...

**ნეტი**: ეგ ხუთიანი გაწყობთ?

**სიკვდილი**: არა.

**ნეტი**: მაშინ ამოიღეთ.

**სიკვდილი** (კარტს ამოიღებს და ხელზე დაიხედავს): უფალო იესო, აქ არაფერიც არ არის.

**ნეტი**: მაინც როგორია, ჰა?

**სიკვდილი**: რაზე მეკითხები?

(მერე ისევ აიმატებენ კარტს და ჩამოვლენ, აიმატებენ და ჩამოვლენ)

**ნეტი**: სიკვდილზე.

**სიკვდილი**: როგორ უნდა იყოს? განისვენებ და ეგ არის.

**ნეტი**: მერე აღარაფერი იქნება?

**სიკვდილი**: აჰა, ორიანებს ზოგავ, არა?

**ნეტი**: გეკითხებით, მერე აღარაფერია?

**სიკვდილი** (გაბნეულად): ნახავ.

**ნეტი**: მაშ, რაღაცას მაინც ვნახავ, არა?

**სიკვდილი**: ალბათ სხვაგვარად უნდა მეთქვა. ჩამოდი.

**ნეტი**: შენგან ხეირიან პასუხს ვერ ეღირსება კაცი.

**სიკვდილი**: მე კარტს ვთამაშობ.

**ნეტი**: ითამაშე, ითამაშე.

**სიკვდილი**: თანაც კარტს კარტზე გაღებინებ.

**ნეტი**: ჩამოსულებს ნულარ ამოწმებ.

**სიკვდილი**: არ ვამოწმებ. ვასწორებ მხოლოდ. რომელი კარტი ჭრის?

**ნეტი**: ოთხიანი. უკვე გაჭრაზე გაქვს საქმე?

**სიკვდილი**: ვინა თქვა, რომ მაქვს? უბრალოდ გკითხე, რომელია-მეთქი, რა, არ შეიძლება?

**ნეტი**: განა მეც ეგრე უბრალოდ არა გკითხე, რაიმეს იმედი თუ შემიძლია მქონდეს-მეთქი?

**სიკვდილი**: მიდი, მიდი, ითამაშე.

**ნეტი**: რა მოხდა, რომ მითხრა რამე? სად მივდივართ?

**სიკვდილი**: მივდივართო? "ჩვენ" რა შუაშია? სიმართლე თუ გინდა, ეს შენ მოადენ ზღართანს იატაკზე, დაჭმუჭნულ-დასრესილი ნივთების გროვაში.

**ნეტი**: მართლა? ერთი სული მაქვს! მეტკინება?

**სიკვდილი**: ერთ-ორ წუთში გაგივლის.

**ნეტი**: მაგარია, ხურავს. აი, ამის მოსმენა კი ნამდვილად მჭირდებოდა. კაცმა "მოდისტ ორიჯინალში" დავიზღვიე თავი, ეს კი...

**სიკვდილი**: ოთხ ქულაზე რაღას იტყვი?

**ნეტი**: ჭრი?

**სიკვდილი**: ოთხი ქულა წავა?

**ნეტი**: არა, მე ორიანი მაქვს.

**სიკვდილი**: მეხუმრები ალბათ.

**ნეტი**: არა, წააგე.

**სიკვდილი**: წმინდაო ღმერთო, მე კი მეგონა, ექვსიანებს უფრთხილდებოდი.

**ნეტი**: არა. შენი ჩამოსვლაა. ოცი ქულა და ორიც ჩარჩო. ითამაშე. (სიკვდილი კარტს არიგებს). მაშ, იატაკზე უნდა გავგორდე არა? იქნებ დივანთან დავმდგარიყავი, ჰა?

**სიკვდილი**: არა. ითამაშე.

**ნეტი**: რატომ არა?

**სიკვდილი**: იმიტომ, რომ იატაკზე უნდა დაეცე. თავი დამანებე რა! ვცდილობ გონება მოვიკრიბო.

**ნეტი**: რაღა მაინცდამაინც იატაკზე? აი, რისი გაგება მინდა. რატომ არ შეიძლება, დივანთან ვიდგე და ზედ დავეცე რბილად?

**სიკვდილი**: ყველანაირად შევეცდები. ახლა შეგვიძლია თამაში გავაგრძელოთ?

**ნეტი**: მეც მაგას არ ვღაღადებ! მო ლეფკოვიცს მაგონებ. ისიც შენნაირი ჯიუტია.

**სიკვდილი**: თურმე მო ლეფკოვიცს ვაგონებ. ჩემზე საშინელ არსებას ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი, ამას კი თურმე მო ლეფკოვიცს ვაგონებ. მაინც ვინაა ეგ ტიპი, ბეწვეულით ვაჭრობს?

**ნეტი**: ნეტა შენ იყო ეგეთი ბეწვეულით მოვაჭრე. წელიწადში ოთხმოც ათასს აკეთებს. ყაითანით გაწყობა და იმის ჯანი. საკუთარი ფაბრიკა აქვს. ორი ქულა.

**სიკვდილი**: რა?

**ნეტი**: ორი ქულა-მეთქი. ვჭრი. შენ რა გაქვს?

**სიკვდილი**: გეგონება, კალათბურთის ანგარიში დამაწერესო ხელზე.

**ნეტი**: თანაც სულ ყვავებია.

**სიკვდილი**: ნეტა მაგდენი არ გელაპარაკა.

(ისინი ხელახლა არიგებენ კარტს და თამაშს აგრძელებენ).

**ნეტი**: წეღან რისი თქმა გინდოდა, ჩემი პირველი საქმეაო, რომ მითხარი?



ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიკვდილი**: რაც გაიგონე.

**ნეტი**: რა, ადრე არავინ ყოფილა?

**სიკვდილი**: როგორ არ ყოფილან, მაგრამ მე არავინ წამიყვანია.

**ნეტი**: აბა, ვინ წაიყვანა?

**სიკვდილი**: სხვებმა.

**ნეტი**: სხვებიც არიან?

**სიკვდილი**: აბა, შენ რა გეგონა! ყველას თავისი გზა აქვს.

**ნეტი**: ეგ არ ვიცოდი.

**სიკვდილი**: საიდან უნდა გცოდნოდა? ისეთს რას წარმოადგენ, მაინც ვინა გგონია თავი?

**ნეტი**: როგორ თუ ვინა მგონია? რა, არავინა ვარ?

**სიკვდილი**: არა, როგორ არა ხარ, ტანსაცმელს არ აწარმოებ? მაგრამ საუკუნო მისტერიათა შესახებ რა უნდა იცოდე, რანაირად უნდა მიგიწვდებოდეს ხელი?

**ნეტი**: რაებს ამბობ? კარგა ბლომად ფულსა ვხვეტავ. ორი შვილი უმაღლესში გავგზავნე. ერთი სარეკლამო საქმეს ეწევა, მეორე დაოჯახდა. მეც ჩემი საკუთარი სახლი მაქვს. "კრაისლერს" დავაქროლებ. ჩემს ცოლს არაფერი აკლია; მოახლეები, წაულას ქურქი, კარგი დასვენება. ამჟამად "იდენ როკში" იმყოფება. დღეში ორმოცდაათ დოლარს იხდის, საკუთარი დის გვერდით რომ იყოს. იმ კვირაში მეც ჩავაკითხავ. ასე რომ, არაფერი შეგეშალოს - ვიღაც გამვლელი კი არა ვარ.

**სიკვდილი**: კარგი რა, ზედმეტი მგრძნობიარობა რა საჭიროა?

**ნეტი**: ვინაა მგრძნობიარე?

**სიკვდილი**: აბა, როგორ მოგეწონებოდა, მეც ეგრე ადვილად რომ გავნაწყენებულიყავი შენზე.

**ნეტი**: რამე გაწყენინე?

**სიკვდილი**: შენ არ მითხარი, იმედი გამიცრუეო?

**ნეტი**: აბა, რას ელოდი? ზარზეიმით უნდა დაგხვედროდი?

**სიკვდილი**: ვერ გამიგე. პირადად მე შემეხე. ძალიან დაბალი ხარო, ესა ხარო, ისა ხარო.

**ნეტი**: მე მგავხარ-მეთქი, ის გითხარი. თითქოს ჩემი ანარეკლი იყო.

**სიკვდილი**: კარგი, კარგი, კარტი დაარიგე.

(ისინი თამაშს აგრძელებენ. მუსიკა ნელ-ნელა მატულობს, სინათლეს სიბნელე ენაცვლება, სანამ ბოლოს ყველაფერს უკუნი არ დანთქავს. მერე ისევ ნელ-ნელა ნათდება, უკვე გვიანია - თამაში დასრულებულია. ნეტი ითვლის)

**ნეტი**: სამოცდარვა... ერთი - ორმოცდაათი. ეჰ, ძმაო, აგებ.

**სიკვდილი** (შეწუხებული დაჰყურებს კარტის დასტას): ვიცოდი, ამ ცხრიანს არ უნდა ჩამოსულიყავი. ჯანდაბა!

**ნეტი**: ასე რომ, ხვალ შევხვდებით.

**სიკვდილი**: როგორ თუ ხვალ შევხვდებით?

**ნეტი**: ერთი დღე მოვიგე. რას იზამ, უნდა მომეშვა.

**სიკვდილი**: შენ რა, სერიოზულად მეუბნებოდი?

**ნეტი**: პირობა პირობაა.

**სიკვდილი**: ჰო, მაგრამ...

**ნეტი**: არავითარი მაგრამ. ოცდაოთხი საათი მოვიგე. ხვალ დაბრუნდი.

**სიკვდილი**: არ ვიცოდი, დროზე თუ ვთამაშობდით.

**ნეტი**: მით უარესი შენთვის. ყურადღებით უნდა იყო-ხოლმე.

**სიკვდილი**: ოცდაოთხი საათი რა უნდა ვაკეთო, სად წავიდე?

**ნეტი**: მე რა მენაღვლება? მთავარია, რომ ერთი დღე მოვიგე.

**სიკვდილი**: რას მთავაზობ, ქუჩებში ვიხეტიალო?

**ნეტი**: სასტუმროში დაბინავდი. მოგვიანებით კინოში შეხვალ. კიდევ ორთქლის აბაზანა შეგიძლია მიიღო. საერთო სახელმწიფოებრივ პრობლემად არ მიქციო ახლა ეს პატარა საქმე, თუ ძმა ხარ.

**სიკვდილი**: ერთი ანგარიში კიდევ დაამატე.

**ნეტი**: ამას გარდა, ოცდარვა დოლარი გმართებს ჩემი.

**სიკვდილი**: რა?

**ნეტი**: ჰო, ნაბიჭვარო, აი, აიღე, წაიკითხე.

**სიკვდილი** (ჯიბეებში იქექება): რამდენიმე ერთდოლარიანი მაქვს. ოცდარვა ვერ შეგროვდება.

**ნეტი**: არც ჩეკზე ვიტყვი უარს.

**სიკვდილი**: რომელი ანგარიშიდან ინებებ?

**ნეტი**: უყურე ერთი, ვისთან მქონია საქმე.

**სიკვდილი**: შეგიძლია მიჩივლო. სად მაქვს საბანკო ანგარიში?

**ნეტი**: კარგი, კარგი. რაცა გაქვს, მომეცი და ჩავთვალოთ, რომ გავსწორდით.

**სიკვდილი**: მომისმინე, ეგ ფული მჭირდება.

**ნეტი**: რაში უნდა გჭირდებოდეს?

**სიკვდილი**: აბა დაფიქრდი, რას ამბობ. შენ ხომ იმქვეყნად ხარ წასაყვანი.

**ნეტი**: მერე?

**სიკვდილი**: რა, მერე... იცი, ეგ რა შორსაა?

**ნეტი**: მერე?

**სიკვდილი**: მერე საწვავი? გზის ფული?

**ნეტი**: ჩვენ იქ მანქანით მივდივართ?

**სიკვდილი**: მაგასაც გაიგებ. (შეშფოთებული) მისმინე, ხვალ დავბრუნდები და შენ შანსს მომცემ, ფული უკან დავიბრუნო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდადაა ჩემი საქმე.

**ნეტი**: რასაც მოისურვებ. რამდენსაც გინდა, იმდენს ვითამაშებთ. არ გამიკვირდება, კიდევ ერთი კვირა, ან სულაც თვე მოვიგო. გააჩნია, როგორ ითამაშებ. იქნებ რამდენიმე წელსაც კი გამოვკრა ხელი.

**სიკვდილი**: ვაჰ, რა შავ დღეში ვარ.

**ნეტი**: აბა, ხვალამდე.

**სიკვდილი** (დაიხია კარის ზღურბლამდე): კარგ სასტუმროს ვერ მიმასწავლი? თუმცა რომელ სასტუმროზეა ლაპარაკი, კაპიკი აღარა მაქვს. წავალ "ბიკფორდსში" დავჯდები (ხელში აიღებს გაზეთს).

**ნეტი**: აბა ჰე, დაახვიე აქედან. ეს ჩემი გაზეთია (ხელიდანართმევს).

**სიკვდილი** (გასვლისას): არა, უბრალოდ ვერ მოვკიდე ხელი და ვერ წავიყვანე? მაინცდამაინც ამ აბდა-უბდაში უნდა გამეყო თავი!

**ნეტი** (ეძახის): ფრთხილად ჩადი. ერთ-ერთ საფეხურზე ნოხი არაა კარგად დამაგრებული (უცებ გვესმის საშინელი ზლართანის ხმა. ნეტი ამოიოხრებს, ლოგინთან მდგარ მაგიდასთან მიდის და რეკავს).

**ნეტი**: ალო, მო ხარ? მე ვარ. მომისმინე. არ ვიცი, ვიღაცა მეკაიფება თუ რა არის, მაგრამ ეს-ესაა სიკვდილი იყო ჩემთან. ცოტა კუნკენი ვითამაშეთ... არა, სიკვდილი. თვითონ მოვიდა, ჰო, ის იყო, ან ვისაც შესაბამისი პრეტენზია აქვს. მაგრამ მო, ვერ წარმოიდგენ, რა მოსაწყენი ტიპია.

*1968*

ინგლისურიდან თარგმნა ეკა ჭიალაშვილმა

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკო შუღლაძე

# სამსარა

## ნაწყვეტი რომანიდან



ვერ ვიტყვი, რომ მანუელთან შეხვედრამ რაიმე უჩვეულო დაბადა მეთქი. უცნაური და ზერეალური რომ თითქმის არაფერი იყო, ეს მხოლოდ იმის შემდეგ შემეძლო მეთქვა, როცა ყოველივე გავაცნობიერე. მანამდე თითქოს იმ მდინარის დინებას მივყვებოდი, რომელიც არასოდეს შრებოდა, მაგრამ არც ნაპირებიდან გადმოდიოდა. თუ მე ვასწრებდი და რამენაირად ვახერხებდი გაფიქრებას, მაშინათვე რაღაც ზებუნებრივის მოლოდინში ვიძირებოდი და ბოლოს და ბოლოს, იგივე ზებუნებრივის, დიადისა და მაღალის ვერმიღების, ვერგაწვდომის, ვერმორგების გამო, შიშის გამო, რომელსაც შეუცნობელი . ბადებდა და რომელიც ღამის სივრცეში ყურების მსგავსი იყო, მე კვლავ ვმიწდებოდი, ვაგრძელებდი ცურვას, ხელისა და ნიჩბების მოსმის გარეშე და თავს იმით ვიწყნარებდი, რომ სუსტი ვიყავი. ყოველდღიურმა ელემენტარულმა საგნებმა და არსებებმა ჩემში შემოაღწიეს, იქცნენ ჩემს გულ-ღვიძლად, კანად, თმად, ჩემს აზრად ტრანსფორმირდნენ და ამდენად რაღაცის მოძებნა და დანგრევა საკუთარი თავის დანგრევას და დაშლას ნიშნავდა. ამაზე არავინ მიდიოდა. ამაზე წავიდოდა მხოლოდ ის, ვინც დაიჯერებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში სრული ნგრევა დიდი და ნამდვილი განთავისუფლების საწინდარი იყო. იბრძოლებდა ის, ვინც დაიჯერებდა, რომ მიზნის მიღწევა მაშინაც არის შესაძლებელი, როცა ამ მიზნის შესახებ არაფერი იცი. ვინც საკუთარ თავს კიდევ უფრო გაუფრთხილდებოდა, ის გამოქვაბულში დარჩებოდა. ზიხარ გამოქვაბულში და ელოდები მზის ამოსვლას. გარეთ არ გადიხარ, იმიტომ, რომ ჯერ უნდა დარწმუნდე მზის ამოსვლაში. მზის ამოსვლაში რომ დარწმუნდე, უნდა გახვიდე გამოქვაბულიდან, ისე ვერ მიხვდები, ამოვიდა თუ არა. მაგრამ შენ არ გადიხარ, იძახი, ჯერ დამიმტკიცეთ, რომ ამოვიდა და მერე გავალო. გამოქვაბულში ბნელა, ხოლო ადამიანის მხედველობა შეზღუდულია. სიბნელეში ყოფნის გამო შენ ნელ-ნელა კატად ტრანსფორმირდები, ანუ დგება პერიოდი, როცა ვეღარ ახერხებ საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერებას. გარეთ გასვლაზე საერთოდ აღარ ფიქრობ, იმიტომ, რომ სიბნელეშიც მშვენივრად ხედავ.

მანუელთან შეხვედრის დღიდან მოყოლებული, ვერ ვიპოვე ვერც ერთი ადამიანი, სურვილი რომ არ ჰქონოდა. იმ დღის შემდეგ მე დავიწყე ფიქრი სამგვარ ტანჯვაზეც. არასოდეს მომიხდენია მისი კლასიფიკაცია და საერთოდ, ტანჯვას და ტანჯვის გამომწვევ მიზეზებს ისე აღვიქვამდი, როგორც ცხოველს შეუძლია აღიქვას. ადამიანის მუდმივი ბედნიერებისათვის საჭირო წინაპირობა ტანჯვის არარსებობა იყო. მაგრამ დედამიწაზე ტანჯვის არარსებობა - ნამდვილი აბსურდია. ორმაგად აბსურდულად და უფრო მეტიც, აბსოლუტურად უაზროდ მეჩვენებოდა ამდაგვარ პირობებში მოხვედრილი არსებების დაუოკებელი სწრაფვა ახალ-ახალი გართობებისკენ. სულ პატარა სიამოვნებასაც ხომ ყოველთვის დიდი ძალისხმევა ახლავს თან?.. გამოდის, სულ მუდამ უნდა იბრძოლო, ვიღაც-ვიღაცეები ამარცხო, იტანჯო... მაგრამ ცხადია, რომ ყველას ჩვენ ვერ მოვერევით, ყველაფერს ვერ დავამარცხებთ და ვერ დავიმორჩილებთ. მაგალითად, შეუძლებელია მიწისძვრის მოკვლა. ვერც ქარბუქს ვერ დაახრჩობ. ვერ დაახრჩობ და ვერ დაჭრი ოკეანის ვერც ერთ ტალღას.

ზოგიერთი ადამიანის სურვილის ასრულების პროცესი იმდენად დაქუცმაცებული იყო, რომ ერთი დანახვით და გაფიქრებით ვერც კი მიხვდებოდი, თუ რაში იყო იგი ჩართული. ზის ადამიანი მაგიდასთან და ერთმანეთს მიწებებულ სურსათ-სანოვაგის ცელოფნის ტოპრაკებს აშორიშორებს. დაცილებულ ცელოფნებს ქვიშას, ანდა მშრალ მიწას უსვამს, ხელახლა რომ არ მიეწებონ ერთმანეთს. ასეთი ტოპრაკების მთელი შეკვრები უდევს წინ და ათი დღეც რომ უყურო, ვერ გამოიცნობ, თუ რა აკეთებინებს ამას. რა სურვილია ასეთი, რომლის განსახორციელებლად ამდაგვარი სამუშაოთი ნაშოვნი ფულია საჭირო. და თუ მისი სურვილი საჭმელ-სასმელის მოპოვებაა, ოჯახის გამოკვებაა, მაშინ აბსოლუტური უმრავლესობის თვალში მისი ქმედება გამართლებულად ჩაითვლება. ვაკვირდებოდი რა ადამიანებს, ვხვდებოდი, რომ ყველა მათგანი აუსრულებელი სურვილების ზეგავლენას განიცდიდა. მე იმას არ ვამბობ, რომ ისინი საერთოდ ვერ ისრულებდნენ სურვილებს. უბრალოდ, ყოველ ასრულებულ სურვილს ისინი იმწამსვე, ასრულებისთანავე ახალი სურვილით ცვლიდნენ და რადგანაც ამ უახლესი სურვილის ასრულებას დრო და შესაბამისი გარემო სჭირდებოდა, ყველა მათგანი ვერასრულებული სურვილის პროცესში იმყოფებოდა. ხშირ შემთხვევებში ადამიანები ვერ აცნობიერებდნენ თავიანთი სურვილების ცვლილებას და ამის მიზეზი იყო სისწრაფე. ახალი სურვილი ავტომატურად ცვლიდა ძველს და ჩანაცვლებას გაუაზრებელი ხასიათი ჰქონდა. მე და მანუელი ძალიან ვგავდით სხვებს. ერთადერთი განსხვავება ჩვენსა და მათ შორის ალბათ ის იყო , რომ ჩვენ იძულებულნი ვიყავით გამოვსულიყავით გამოქვაბულიდან. ჩვენ დავსახეთ გეგმა, გამოქვაბულიდან გასვლის გეგმა, შიშის გარეშე. გასულნი, ჩვენ არ უნდა გავჩერებულიყავით და უნდა გვევლო მანამდე, სანამ არ ვიპოვიდით. თუ ვერაფერს ვიპოვიდით, უნდა დავშორებოდით გამოქვაბულს ისეთ მანძილზე, რომ აღარავითარი შესაძლებლობა აღარ გვქონოდა უკან დაბრუნების. მანუელის იმედი მქონდა. მე ვიცოდი, რომ ის ლაბირინთის ოთახებში ბევრჯერ ჩაკარგული, გამომძვრალი და ისევ ჩაკარგული ადამიანი იყო. უპირატესობა, რაც მას სხვებთან შედარებით ჰქონდა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ის არ ტყდებოდა. მან ისწავლა, როგორ არ უნდა გამტყდარიყო, როგორ არ უნდა დაცემულიყო. და თუ მაინც წაიქცეოდა, ისე წაიქცეოდა, რომ წამოდგომა შეძლებოდა. ის ისე უცბად გაჩნდა ჩემთან, რომ მივხვდი, უმალ გაჩნდებოდა ყველასთან, ვინც ოდნავ მაინც გამოავლენდა ლაბირინთის დაძლევის სურვილს. მანუელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემთვის გაცილებით უფრო საჭირო იყო, ვიდრე მე - მისთვის. როცა ვისაუბრეთ (იქ, ჩემთან), რაც მან მითხრა, იმას იქვე ვერ მოიფიქრებდა. მან ეს ყველაფერი იცოდა. ეს იყო ძველი ცოდნა და ძველი გამოცდილება. მე ვხვდებოდი, რომ მან იცოდა ისიც, რასაც ჯერ არ მეუბნებოდა. მე მსურდა, რომ მას ბევრი სცოდნოდა, სცოდნოდა გზები და ბილიკები. მე არ უნდა ვყოფილიყავი ამპარტავანი და ამბიციური. ამის დრო აღარ იყო. ნეტა ვინმე მოსულიყო და დაგვხმარებოდა, ვინ გიჟი იტყოდა ამაზე უარს. ვინც დახმარებაზე უარს ამბობს, ის მართლაც ბრიყვია და მისი ადგილი ლაბირინთის ერთ-ერთი ოთახია, სახელად - "ბრიყვი გამოქვაბულში". ბოლოჯერ როცა მნახა, მანუელმა მთხოვა, ისეთი მაგნიტოფონი, ან ისეთი დიქტოფონი მეშოვა, ტელეფონზე რომ მიერთდებოდა და მოგვცემდა იმის საშუალებას, ნდობის ტელეფონით დაკავშირებული პაციენტების ხმები ჩაგვეწერა. ასეთი მაგნიტოფონი იმ დღესვე ვუშოვე და თანაც ვასწავლე, როგორ უნდა ეხმარა. მე ვკითხე, ხომ არ აჯობებდა გვეწარმოებინა რაიმე, დღიურის მსგავსი. მან შემომხედა და მე ვუთხარი, რომ სისტემურობას და ხელნაწერს თავისი ძალა ჰქონდა. მიპასუხა, რომ თანახმა იყო. მითხრა, რომ მე ალბათ არ ვიცოდი, თუ როდის შეიქმნა დამწერლობა. გახსენება გამიჭირდება მეთქი, ვუპასუხე. ათი ათასი წლის წინათ ადამიანებს შეეძლოთ 18 000 ლექსის ერთხელ მოსმენით დამახსოვრებაო. შემდეგ დეგრადაციამ ყველაფერთან ერთად მეხსიერების სიჩლუნგეც გამოიწვია და ზეპირსიტყვიერება დამწერლობაში ტრანსფორმირდა. დამწერლობის შესაქმნელად სხვა მიზეზი არ არსებობს. ახლა ადამიანს ერთი ლექსის დამახსოვრებაც კი აღარ შეუძლიაო. მე ვკითხე, როგორ სჯობდა მეწარმოებინა დღიური, დღეების მიხედვით თუ თვეების მიხედვით.

გამომძიებელი. ჩემი საქმე წესრიგისა და კანონის დაცვაა. ჩემი საქმე დამნაშავის გამოცნობაა, საქმის ბოლომდე მიყვანა და ჩვენებების მიცემა სასამართლოში. მე პატიოსანი ვარ, არა ვარ კორუმპირებული, არა ვარ მოღალატე და ფულის გიჟი. ჩემი პროფესია რთული და სახიფათოა. ის ლოგიკის, ინტუიციისა და გამბედაობის თითქმის იდეალურ ნაერთსა და თანაშეფარდებას მოითხოვს. გარდა ამისა საჭიროა ბევრი მოწმე. თუ მოწმე არ გყავს, მკვლელი მკვლელი არ არის. არც ნარკოტიკების გამსაღებელია დამნაშავე. მოწმის პოვნა არც ისე იოლია, რადგან მეტწილად ეს ის ადამიანი უნდა იყოს, ვინც უშუალოდ ესწრება დანაშაულის პროცესს. წესრიგი და სიმშვიდე ყველას უნდა, ჩვენებებს კი ვერავინ იძლევა. ჩვენებებს ვერ იძლევიან არა შიშის გამო, არამედ დანაშაულს შესწრებულნი, ისინი ვერ აცნობიერებენ, მოხდა თუ არა დანაშაული. მათ არა აქვთ გამიჯვნისა და შეკავშირების, აუცილებლობისა და ზედმეტობის გარჩევის უნარი და სურვილი. ამ ხნის მანძილზე ადამიანების ამოცნობა ვისწავლე და იმასაც ვხვდები, თუ ვინ არის დაზარალებული და ვინ დამნაშავე. მრავალწლიანმა პრაქტიკამ გამოცდილება შემძინა და დამნაშავის ვინაობის გაგება-გამოცნობა აღარ მიჭირს. ყველაზე მეტად იმის გაგება ჭირს, თუ სად იმალება იგი. როცა ვიგებთ სად იმალება, შემდეგ არც მისი აყვანა ჭირს. რამდენიმე ჭრილობა სხეულზე და რამდენიმე სასიკვდილო შემთხვევა ჩვენი პროფესიის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. შევეჩვიეთ და ამდენად აღარც გვეშინია. დანაშაულის ჩამდენზე უფრო მეტად სულელი არავინ მინახავს. მათ ჰგონიათ, რომ გაძვრებიან, თავს დაიძვრენენ, ვერავინ შეიტყობს და ვერ გამოიძიებს მათ ნამოქმედარს. ჰგონიათ, რომ ყველაფერი ისე ჩაივლის, დაუსჯელად. ისინი ბრიყვები არიან, რადგან არ იციან, რომ ათიდან ცხრას ვიჭერთ. ათიდან ათს ვიჭერთ უკვე, ვაპატიმრებთ და ციხეებში ვაგზავნით. ადრე თუ გვიან, მაგრამ მაინც უეჭველი ვიჭერთ და რაც მოიმოქმედეს და რაც იშოვეს, იმასაც ძმრად ვადენთ ცხვირიდან. მე ადამიანის გამოცნობა ვისწავლე. ვიცი, ვინ რისი ჩამდენია, ვის რა აქვს ჩაფიქრებული. მე საქართველოს ოგიუსტ დიუპენი ვარ, მე...

- კონცერტმა ჩაიარა - მითხრა კარშითავშემოყოფილმა ლეიტენანტმა.

ის სულ ოცისაა. შემთხვევით არის მოხვედრილი ჩვენთან. მისი საქმე პოლიცია არ არის, მისი საქმე ქსოვაა. ის შემთხვევით არის აქ და ასევე შემთხვევით მოკვდება, თავს თუ არ უშველა.

- კონცერტმა კარგად ჩაიარა... დიახ.

მეგონა. რაც ვთქვი, ყველაფერი მეგონა. ვფიქრობდი, რომ სიტუაციისა და მომხდარის შეფასება და გაშიფვრა შემეძლო. ვფიქრობდი, რომ ადამიანებს ვიცნობდი. მეგონა, რომ ოგიუსტი ვიყავი და ყველაფერი საათივით იყო აწყობილი... წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ. ვფიქრობდი, რომ დამნაშავე ვერც კი მოასწრებდა დანაშაულის ჩადენას, ისე დავაპატიმრებდი, ადგილზევე, ათი ჯანსაღი მოწმის თანდასწრებით. მსუბუქი, მაგრამ გამძლე ლითონისგან ჩამოსხმულ ბორკილებს ნაზად მოვუჭერდი ძარღვებამოყრილ მაჯებზე და განყოფილებაში გავაცუნცულებდი. ის ბრიყვი კი წინააღმდეგობის გარეშე გამომყვებოდა, თვალცრემლიანი, დანაშაულის გაასმაგებული გრძნობით და სახის დარდიანი ნაკვთებით.

ყველაფერი შეიცვალა. უკვე ერთი თვეა, რაც ეჭვი შემეპარა ჩემს თავში და სიძლიერეში. ახლა ყველაფერი უკუღმაა. ერთი თვეა, თვეზე მეტი, რომ რაღაც გამოიცვალა, რაღაც შეიცვალა ჩემში და ჩემს გარეთ. გარემო გამოიცვალა და ყველაფერი, რაც ვიცოდი, გამოუსადეგარი გახდა. უკვე ორმოცი დღეა, რაც ჩემთან მოდიან ადამიანები, რომელთა ამოცნობაც წარმოუდგენლად გართულდა. ისინი საათობით სხედან ჩემს კაბინეტში და მე ვერ ვხვდები, რა უნდათ. ვერ ვხვდები, რატომ მოდიან. რას ითხოვენ, რა სახის დახმარებას? აქამდე მსგავსი არაფერი ხდებოდა. არ ხდებოდა ანდა ვერ ვამჩნევდი. უფრო სწორად, უცნაური შემთხვევები ყოველთვის მქონდა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მე მათ მალევე ვივიწყებდი. ახლა კი მათმა სვლამ კოლექტიური ხასიათი მიიღო. რატომ მიეწყვნენ ერთიმეორეს? რა რიგი გამიჭიმეს? რატომ დაგროვდნენ და რატომ იწყეს ეს ავადმყოფური მოსვლები? რა უნდათ?

დღეს უკვე ოთხი ასეთი ნაგიჟარი გავუშვი. მათმა სევდიანმა ბლუკუნ-ბლუკუნმა თავი ამატკივა. მე ისინი გავყარე, ვურჩიე, კარგად ჩამოეყალიბებინათ, რა უნდოდათ. გაეაზრებინათ და ჩამოეყალიბებინათ, თუ ვის ადებდნენ ხელს: ძმას, მთავრობას, დედას, უცნობს თუ გადაკარგულ ნათესავებს. იქნებ ამინდი იყო დამნაშავე, ანდა ღრუბელი, რომელიც ხან ფარავდა მზეს, ხან არა. მათი სიტყვების იდიოტური ნაკრებიდან ვერაფერ აზრიანს ვერ გამოიტანდა ადამიანი და მე ისინი გავყარე.

დღის ბოლოს კიდევ ერთი მოვიდა, ხანშიშესული ფერმკრთალი მამაკაცი. ყოველ მიზეზგარეშე ის იმავე ბრიგადიდან უნდა ყოფილიყო. ტანისა და ფეხების ისეთი მოძრაობით შემოვიდა, მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე. თავადიშვილი - "ინგლისური რეზინით" ნაქსოვი სვიტერით და ბროშით მკერდზე - ჩემს წინ დაჯდა და ათი წუთი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ მე მიყურებდა. მერე ამბის მოყოლა იწყო. პირველი ხუთი წუთი ვერც რიტმში ავყევი, ვერც შინაარსში. მეორე ათი წუთის განმავლობაში აზრები თითქოს დაულაგდა, მაგრამ რიტმი და შინაარსი კვლავ უცხო და გამაღიზიანებელი იყო. ნახევარი საათის შემდეგ მისმა მონოლოგმა შედარებით მისაღები და ადვილად აღსაქმელი ფორმა მიიღო. გადაღლილი, მე ხან ვუსმენდი, ხან ვერა. ვერ ვიგებდი, ამჩნევდა თუ არა ჩემს უყურადღებობას, მაგრამ როგორც მგონია, მისთვის სულერთი უნდა ყოფილიყო, მოსმენისას გაფანტული ვიქნებოდი თუ კონცენტრირებული. თხრობა კიდევ უფრო დაულაგდა და ჩემი ყურების ბარაბნებმა უფრო ინტენსიურად იწყეს ვიბრირება.

- რადგან ვერცხლისფერი საღებავი არ მქონდა, საფლავის მესერის შეღებვა ჩვეულებრივი შავი საღებავით გადავწყვიტე. სამი საათი დავკარგე, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ჩემი და მეტსაც იმსახურებდა.

- ვისი იყო? - ვკითხე და პირველად ჩავერთე საუბარში. ბოლომდე რომ ჩუმად ვმჯდარიყავი, ალბათ ვერ გავუძლებდი.

- ჩემი დის - მიპასუხა გარდაცვლილის ძმამ - საფლავი მიტოვებული მქონდა და ყველაზე მეტად რაც მაწუხებდა ცხოვრებაში, სწორედ ეს იყო - დის მიტოვებული საფლავი.

- მე ის გავასუფთავე, შავი მიწა დავყარე, კედელი ამოვიყვანე, მესერი შევღებე და როცა საფლავი მზად იყო, იმ ღამეს ჩემი და აღარ დამსიზმრებია - თქვა გარდაცვლილის ძმამ.

- მე ყველაზე და ყველაფერზე ძალიან ჩემი და მიყვარს - თქვა ძმამ.

- დიდი ხანია, რაც აღარ არის? - ვკითხე.

- ორმოცი წელია - თქვა მამაკაცმა - ორმოცი წლის წინ გარდაიცვალა, ავადმყოფობისა და წვალების გარეშე. ისე ჩუმად და უთქმელად წავიდა, როგორც ცხოვრობდა.

- მაშინ სახსრები არ მყოფნიდა საფლავის გასაკეთებლად. მერე შვილიც წამომეწია, ახლახან კარგი სამუშაოც იშოვა და ის დამეხმარა.

მამაკაცმა ლოყაზე ხელი მოისვა.

- მახსოვს, მაშინ, ჩემი დის დასაფლავებამდე ერთი დღით ადრე, უცნაური რაღაც მოხდა. როცა მიწას თხრიდნენ, ერთ-ერთმა მესაფლავემ დამპალი ფიცრების ნარჩენები იპოვა. "აქ ვიღაც არის დამარხული - მითხრა მესაფლავემ - რა ვქნათ?"

მე ორმოში ჩავედი და ფიცრების ამოყრა დავიწყე. მალე ჩონჩხიც ვიპოვე და მუშებს ფულის დამატებას დავპირდი, თუ ამოასუფთავებდნენ. ძვლები ამოკრიფეს და ტომარაში გაახვიეს. "ამ წვალებას ჯობდა, ზევიდან დაგვემარხა - თქვა იდიოტმა მესაფლავემ - ვინ იყო ნეტა?" "ენა ჩაიგდე - ვუთხარი იდიოტს - სად გაგონილა ერთ სამარეში ორი მიცვალებული." ხეპრე მესაფლავემ კიდევ რაღაც წამოროშა და მე მას ბელტი ვესროლე. "რა ჩვენი ბრალია - თქვა მეორე მესაფლავემ - თუ აქ ვიღაც მარხია?!" "იმუშავეთ - ვუთხარი - აი იქ კარგად მოასუფთავეთ." მე მათ არ ვამტყუნებდი. მათ ხელში ბევრმა მიცვალებულმა გაიარა და ცხადია, ზომაზე მეტად უხეშნი და გულცივნი იყვნენ. ჩავიდნენ და ნარჩენები ამოკრიფეს. როცა მეგონა საფლავი მზად იყო და წასვლა დავაპირე, მესაფლავემ მითხრა, რომ კიდევ იპოვა ერთი მიცვალებული. ეს მიცვალებული, როგორც ჩანდა, იმის ქვემოთ იყო დამარხული, ვისი ძვლებიც ამოვკრიფეთ. ისევ ორმოში ჩავხტი, მესაფლავეს ხელთათმანები გამოვართვი და ძვლები მე თვითონ ამოვყარე. ფიცრები არ შემხვედრია. ალბათ ეს მიცვალებული იმდენად დიდი ხნის იყო, რომ ფიცარმა დროს ველარ გაუძლო და მიწად იქცა. "ჩადით - ვუთხარი მესაფლავეებს - ძირი მოასწორეთ." "ჰეი - დაიძახა საფლავიდან ერთ-ერთმა - აქ კიდევ არის ვიღაც!" კინაღამ გავგიჟდი. "რა ადგილია ასეთი! - შევყვირე - აქ რა ადგილია?... ამდენი ერთად." მუშები ჩემს მდგომარეობაში შევიდნენ და მესამე მიცვალებულის ნარჩენებიც თვითონ ამოიტანეს. ამდენმა თხრამ საფლავი სიღრმეში გაზარდა და როცა ამოსვლა დააპირეს, რომ არ მივხმარებოდი, ძალიან გაუჭირდებოდათ. ხელი მივეცი და ერთი ამოვიყვანე. მეორემ დაიძახა: "ტყუილად ადიხარ! აქ კიდევ არის რაღაც!" ჩავიხედე. მესაფლავე ძვალს მიჩვენებდა. "ამოიღე! - დავუყვირე ორმოში მყოფს და მეორესაც იქით მივუნიშნე - დაბრუნდი უკან!" რადგან ორმო ძირში შესამჩნევად შევიწროებული იყო, მათ დიდხანს იწვალეს და როგორც იქნა, არაქათგამოცლილებმა იქაურობა მოწმინდეს. როცა მეგონა, ყველაფერი მზად იყო, მათ შეშინებულ თვალებში ამოვიკითხე, რომ კიდევ იპოვეს ვიღაც და ველარ მეუბნებოდნენ. "კიდევ რამეა? - ვკითხე - მითხარით, კიდევ არის რამე?" თავი დამიქნიეს. "ამოდით! - დავუყვირე - ამოდი! აქ აღარ მინდა, ამოდი." მუშები ამოძვრნენ. დაბნეულები ჩანდნენ. "სად არის დირექტორი?" - ვიკითხე. არ მიპასუხეს. ანგარიშსწორებისა და მითუმეტეს ფულის უკან მოთხოვნის არც დრო იყო და არც ვითარება. "გვერდით ამოთხარეთ!" - ვუბრძანე. ზოზინითა და ფეხის თრევით ნიჩბებს დასწვდნენ. "ხვალ ამოვთხრით - მითხრეს - დღეს აღარ შეგვიძლია." "ხვალ ვასაფლავებ - ვუთხარი - დღეს ამოთხარეთ." თხრა იწყეს. ქვაზე ჩამოვჯექი. სუნი ამდიოდა. "წყალი სად არის?" - ვიკითხე. წავედი, დავიბანე და დავბრუნდი. საათნახევარი თხრიდნენ. მერე ერთ-ერთმა მესაფლავემ მითხრა, რომ იქ რაღაც იყო. "რა არის? - ვთქვი წყნარად - დამცინით?" გვერდით ვიღაც იყო დამარხული. მაშინ მე წამოვდექი...

- გეყოფა! - დავუყვირე გარდაცვლილის ძმას - გეყოფა!

მოულოდნელი იყო ჩემი შეძახილი და ამიტომ შეშინდა. მოიწყინა.

- გგონიათ ვტყუივარ? - მითხრა სევდიანად - ან რაიმეს ვიგონებ?

- საქმეზე გადადი - ვუთხარი მშვიდად - გადადი რა საქმეზე.

ჩანთიდან სქელი ფურცელი ამოიღო და გამომიწოდა. წავიკითხე იქ რაც ეწერა. მისი დის ანდერძი იყო. ჩვეულებრივი ანდერძი, არაფერი ისეთი.

- რა არის ეს? - ვკითხე - მითხარი რა.

- ანდერძია - მითხრა გულუბრყვილოდ.

წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი. უკვე იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამეგდო.

- ჩემს დას ჩემს მეტი არავინ ყვარებია - განაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძობდა ძმა - მაგრამ ანდერძში ნახსენები საერთოდ არა ვარ. არაფერი დამიტოვა.

- მისი ნება იყო - ვუთხარი - ვის უნდა უჩივლო?

- არა, თქვენ ვერ მიმიხვდით - მითხრა გარდაცვლილის ძმამ - მე არ მწყინს, პირიქით. მაშინ ამ ამბავმა დამაეჭვა, ვერ მივხვდი, რატომ არ დამიტოვა არაფერი. მისი ნივთების თვალიერებისას მე ვიპოვე კიდევ ერთი ფურცელი. ეს ერთადერთი იყო, რაც მან დამიტოვა. აი ეს ფურცელი.

ჩანთიდან ფურცელი ამოიღო, ჩვეულებრივი თაბახის ნახევარი და მაგიდაზე დადო.

- რა გინდა? - ვკითხე მამაკაცს - რა გინდა და რატომ მოხვედი?

თვალი გამისწორა, მერე მაღლა აიხედა, ჩაფიქრდა და ცოტა ხანში თვითონვე იკითხა:

- რატომ მოვედი?

- რატომ მოხვედი ჩემთან? - ვკითხე - მითხარი, ამიხსენი.

მომეჩვენა, რომ ცრემლები მოსდიოდა. არა, არ მომჩვენებია, მართლა მოსდიოდა.

- აბა სად წავიდე? - მკითხა - ვისთან მივიდე?

არ ვიცი, რა დამემართა. ალბათ დღემ გადამღალა და გამამწარა, თორემ არ ვეტყოდი იმას, რაც ვუთხარი:

- ექიმებთან წადი... - შემდეგ დავუყვირე - წადი ექიმებთან!

წამოდგა, ჩანთა აიღო და კართან მივიდა. თვალები მოიწმინდა.

- არავითარი სურვილი აღარ დამრჩა - თქვა მამაკაცმა - მხოლოდ ერთი რამ მინდა - ჩემი და იყოს ცოცხალი.

რადგან უკვე მიდიოდა, სიტუაცია აღარ დავძაბე და არაფერი ვუთხარი.

- ეს შეუძლებელია. მე ვიცი, რომ ეს შეუძლებელია - თქვა და წავიდა.

კარი მივხურე, დავბრუნდი და თავი მაგიდაზე დავდე. აღარავის მივიღებდი. პრეზიდენტიც რომ მოსულიყო, აღარ მივიღებდი, ფანჯრიდან გავიპარებოდი.

ჩემს წინ ფურცლის ის ნაგლეჯი იდო, იმან რომ დამიტოვა. კი არ დამიტოვა, არამედ დარჩა. როცა მიხვდება, როცა გაიხსენებს, აღმოაჩენს, რომ წერილი არა აქვს, მის წასაღებად დაბრუნდება. ნაღდად დაბრუნდება! წამოვხტი და გარეთ გავედი.

- არავინ შემოუშვა - ვუთხარი ლეიტენანტს - ეცადე არავინ შემოუშვა.

ლეიტენანტმა არაფერი მიპასუხა. დერეფანში ვიდექით. მე მიყურებდა. გავიწიე და მას კი მზერა ისევ იქ დარჩა, საითკენაც ჰქონდა მიმართული.

- რა მოგდის? - ვკითხე - შენ რა მოგდის?

- ცუდად ვარ - ჩაილაპარაკა.

არ არის მისი საქმე პოლიცია, ათასჯერ მითქვამს. წადი სახლში და წიგნები იკითხე, რას დაეხეტები. ვისი, ან რისი დამჭერი იყო, თვითონ ძლივს იდგა ფეხზე.

- რა მოგდის? - ვკითხე - ცუდად ხარ?

ფერი წაუვიდა. მოდი აქ დაჯ...

- მოდი აქ დაჯექი - ვუთხარი და სკამთან მივიყვანე.

წამომყვა. სანამ დავაჯენდი, მოულოდნელად გამიძალიანდა და დაიყვირა:

- ნუ აძალებ! - ხელების ქნევა დაიწყო დებილივით - გაუშვი, ნუ აძალებ!

- გაჩერდი! - დავუყვირე და მივხვდი, მშვიდად თქმა სჯობდა - გაჩერდი ბიჭო, დაწყნარდი.

დავაჯინე. წამოხტა და საპირფარეშოსაკენ გავარდა. გამოვეკიდე.

- დარჩი! - დაიძახა - გადი, კუჭი ამეშალა!

შორიახლოს დავდექი. კარის მიხურვა სცადა.

- კარი არ დაკეტო - ვუთხარი - ნუ გრცხვენია, აქა ვარ.

- სიცივეში ბევრი მაცვია - თქვა ლეიტენანტმა და ქვედა საცვალი ჩაიძრო - სიცხეში ვიხდი.

- რას ბოდიალობ? - ვუთხარი - როგორ ხარ?

- გმადლობთ □ მითხრა.

სიგიჟეები ხდება რაღაც. რაღაც... ვერ გავიგე. წამოვედი და კაბინეტში ჩავიკეტე. დავწყნარდი. საათს დავხედე. წინ ფურცლის ნაგლეჯი მედო. გარდაცვლილის წერილი, მიწერილი ძმისადმი. წერილში ეწერა:

"არა მგონია, რომ ასე უბრალოდ მთავრდებოდეს. ვფიქრობ, მუდმივობა არსებობს. ანუ გაგრძელება იქნება. უნდა იყოს. თუ არ გრძელდება, მაშინ რატომღა უნდა მთავრდებოდეს. ვიცი, რომ თან რაღაც მიმყვება. მაგრამ ვერ ვიგებ, რა მიმყვება. დანამდვილებით ვიცი, აქ რა რჩება. იმას, რაც აქ რჩება, არ გიტოვებ. რასაც არ გიტოვებ, იმას ნუ მიეჯაჭვები, მოექეცი ისე, როგორც გსურდეს. ვფიქრობ, ყველაზე მისაღები და საღ აზრთან ახლოს მყოფი - გამეორებაა. მეორდება, მუდმივია და ამდენად ნუ შეგეშინდება."

ფურცელი გავაცურე და მაგიდის ზედა უჯრაში ჩავაგდე. ფურცელი ფურცელს დაეცა. ის, რასაც გარდაცვლილის წერილი დაეცა, ასევე გარდაცვლილის წერილი იყო, უფრო სწორად, მისი ბოლო ფრაზა. გარდაცვლილი დის წერილი დანიელის ჩანაწერს დაეცა და როცა გავიხსენე, თუ რა ეწერა დანიელის დანატოვარზე, გულთან რაღაც ამეწვა. ფურცლები ამოვყარე და ერთმანეთს შევადარე. განსხვავებული ხელნაწერები იყო და მიუხედავად იმისა, რომ ქალის წერილი უფრო ვრცელი იყო, ვიდრე დანიელის, მივხვდი, რომ ისინი ერთი და იგივენი იყვნენ. ანუ, თემა, შინაარსი და სტილიც კი, ერთი და იგივე იყო.

"ამ ეპიზოდის ბოლოს იქნებ რაიმე განმეორდეს ანდა თავიდან დაიწყოს" - ეს დანიელის ფრაზა იყო.

ლუპა ამოვიღე და ასოები გავადიდე. სხვადასხვა ხელწერა იყო. ორმოცი წლის წინანდელი ხელწერა განსხვავდებოდა ერთი თვის წინ დამარხულის ხელწერისაგან. ინტუიცია არაფერს მკარნახობდა. არ მიყვარს, როცა ვიჭედები. გამოფიტულიც ვიყავი და ჩიხში შესვლის საშიშროებაც მემუქრებოდა.

ზარი დავრეკე. დერეფნიდან ლეიტენანტის მაგივრად უმცროსი ლეიტენანტის ხმა შემომესმა:

- ვერ შემოვდივარ. კარი გაქვთ დაკეტილი.

წამოვდექი და გავუღე.

- სად არის? - ვკითხე.

- ტუალეტში - მიპასუხა უმცროსმა ლეიტენანტმა ღიმილით - ისევ იქ არის.

- შენ სადა ხარ? - ვკითხე უმცროს ლეიტენანტს - დიდი ხანია, კუჭი არ აგშლია?

ხელნაწერები გავუწოდე და ვუბრძანე ექსპერტიზაზე წაეღო. გავიდა და მეც გავყევი. კიბეებით ჩავედი და შენობიდან გავედი.

- მანქანა! - დავიყვირე - მანქანა მჭირდება!

განყოფილების "ფოლკსვაგენი" რკინის ბოძებს შორის გავატარე და რადგან ტარება წესიერად არ ვიცი, ალბათ კარი გამოვდე კიდეც. გზაჯვარედინზე წითელზე გავიარე და აბა კარგი დედმამისშვილები იყვნენ, ვინმეს გავეჩერებინე. ერთ-ერთი პედალი იჭედებოდა და ვერც სიჩქარის კოლოფი იყო წესრიგში. თავი მტკიოდა, შუბლი. თვალები ალბათ ჩაწითლებული მქონდა. სარკეში ჩავიხედე... დიახ, ასე იყო. ხელი მოვისვი. სიჩქარე შევცვალე, მეოთხეთი ვიარე - სიგნალებით და ცენტრალურ მოედანზე ზევით ავჭერი. მაღლობზე ავედი. უჭირდა "ფოლკსვაგენს". ქალაქიდან გავედი და ალბათ ასე ხუთი კილომეტრი მაინც ვიარე. იქ პარკი იყო. იქ ტყე მეგულებოდა, ჩემი ტყე. ხეები ტყეში. იქ შეყვარებულები კოცნაობდნენ. ტყესთან გავჩერდი. გადმოვედი. მე მიყვარდა ეს ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ხე იდგა, მაღალი. უნდა დამესვენა...

ხის ძირში დავჯექი. ხეს ზურგით მივეყუდე. ციოდა. ხეზე ჭიანჭველები დაცოცავდნენ და სანამ რომელიმე კისერში ჩამიძვრებოდა, მათი მუშა-მოძრაობის ცქერით უნდა გამოვსულიყავი დაღლილობიდან. ქერქი თითებით ავაძრე. კიდევ ავაძრე. ბალახი, ანუ ზამთრის ბალახი მოვგლიჯე. ერთი ღერო პირში ჩავიდე. სანამ დაღამდებოდა, თვალები ღია უნდა მქონოდა. როცა დაღამდებოდა - სულერთი იქნებოდა. ღრმად ჩავისუნთქე. ღილი გავიხსენი. თავი მოხერხებულად მივდე. უნდა ვივარაუდო, რომ თვალები თავისით დამეხუჭა. მეძინა.

ხელის შეხება ვიგრძენი მხარზე. მიჭირდა გახელა. კიდევ ვიგრძენი, უფრო ენერგიულად. ვიღაც მანჯღრევდა. თვალი გავახილე. ერთი თვალი გავახილე, ასე მოხდა, თავისით. კაცი და ქალი დავინახე.

- რატომ მანჯღრევთ? - ვკითხე.

- უკვე დაბნელდა - მითხრა ქალმა - თქვენ კი წევხართ და წევხართ.

მართალია, უკვე დაბნელდა. წამოდგომა ვცადე.

- არ გაცივდეთ - მითხრა ქალმა - ადექით.

წამოდგომა ვცადე. გამიჭირდა. კაცმა ხელი მომაწოდა, წამომაყენა. თვალები აღარ მტკიოდა.

- ეს ჩემი ტყეა - ვთქვი - მიყვარს აქ ყოფნა. აქ ვისვენებ.

- ალბათ მძიმე დღე გქონდათ - თქვა ქალმა.

- დიახ - ვუპასუხე - რუსთავში ვიყავი. იქ ბეტონის კედელმა ორი ბავშვი მოიყოლა. ვერავინ ამიხსნა, რატომ ვერ გაიქცნენ. როგორც ამბობენ, კედელი ნელ-ნელა გადმოწვა და არა ერთბაშად. ერთ-ერთის მამა კედელს დაეჭიდა, მაგრამ რას ასწევდა. ვერ ასწია. მერე ფეხი ურტყა. ურტყა და ურტყა. ურტყამდა და ურტყამდა. თან ყვიროდა: "ადექით, ადექით!" ფეხი მანამდე ურტყა, სანამ არ მოიტეხა. ფეხი მოტეხილი ჰქონდა და კიდევ ურტყამდა.

მანქანისკენ წავედი.

- ბავშვები უნდა გაქცეულიყვნენ - განვაგრძობდი და თან მივდიოდი - მაგრამ ვერ გაიქცნენ.

ერთი ფეხი დაბუჟებული მქონდა და დადგმისას ვკოჭლობდი. მამაკაცი მომეხმარა და ავტომობილამდე მიმიყვანა.

- ბავშვები ვერ გაიქცნენ? - მკითხა მამაკაცმა.

- ვერა - ვუპასუხე და შევხედე.

სიბნელეში ძნელი იყო მისი სახის დანახვა, მაგრამ ვიგრძენი, რომ თვალები ანთებული ჰქონდა, გამახვილებული, ოდნავ მოჭუტული, თავი კი უკან გადაწეული.

- სად უნდა გაქცეულიყვნენ ბავშვები? - მკითხა.

ჩუმად ვიდექი. მან თავის ქალს გადახედა და შემდეგ ისევ მე შემომხედა.

- ვინ გარბის? - მკითხა.

ისევ ჩუმად ვიყავი. ქალი ახლოს მოვიდა და მცირე პაუზის შემდეგ მკითხა:

- შესაძლებელია გაქცევა?

არილი



## ლია სტურუა



### ტყეს, რომელიც მიყვარს

ჩაისუნთქე ეს ტყე,
შეისრუტე ბოლომდე,
თავისი თაფლიანი სუნით,
ქინქლებით, კოღოებით,
ფოთლებიანი ცით,
რომ როცა დაბრუნდები ქალაქში,
სარჩული ამოიბრუნო
და სიგრილის შთაბეჭდილება
შეუქმნა ტელევიზორთან
გატრუნულ დასიცხულ ადამიანებს,
რომლებსაც აღარ უნდათ ლექსი,
მაგრამ შენი ფილტვებიდან
ამოსულ ხეებს,
ქვევიდან ზევით შესცქერიან
და აზრადაც არ მოსდით
მათი მოჭრა.
ნუთუ, გადამდებია
მწვანე სადებავი სისხლში?

### ათასმეერთედ, შექსპირზე

სკოლაში,
პირდაპირ აი იას
და ყაყაჩოებით დამშვენებული
ყანების მერე,
მასწავლებლებმა მსოფლიო სევდა
მხრებზე გადამატარეს
ასე არ იყო?
მდინარეში თეთრ ყვავილებს
რომ ჩაყრი
და გამზადებული თვითმკვლელობა
შექსპირთან მიგიყვანს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შეიძლება, ქვეყანაში,
რომელიც საპყრობილეა,
სევდიანი კაცი გადავარჩინო?
მაგრამ მაშინ მოკვდება ტრაგედია
და თვითონ შექსპირიც.
და ვის მოეკითხება ცოდვა?
იმ ყასაბს, რომელსაც
ცხელ წითელ ხორცზე
ფილოსოფოსის თავი აბია,
ყელზე კი - ვერცხლის მძივებივით
სონეტები?
რეკავენ? სცენებს ანგრევენ?
სისხლის მდინარეებში კარგავენ
ანემიურ ხმელეთს?
ბაბუაწვერებივით ამჩატებულ,
ჩიტის პენსიაზე მყოფ
მასწავლებლებს უნდათ
ჩემს ლიტერატურულ ალღოს მოვარგო
საბრალო პრინცი,
და გუგულის კვერცხივით,
რაბლეს, ან ბოკაჩოს მივუგდო,
რომ ხორცის ზვინებად შეკრულ
ქალებს და კაცებს,
რომელთა მთავარი გრძნობა სიხარულია,
ყოფნა არყოფნის მონოლოგი უკითხოს!
დეკადანსი ოქროს ხანაში...
მაგრამ ხომ არის კიდევ სონეტები,
მკაცრი და ჩვილი -
რძის მუდმივი მარაგი
შხამის გასანელებლად...

## სტილი

მე უკვე აღარ, ჩემს ლანდს,
გასროლასავით, მოკლე-მოკლე
ფრაზებით ელაპარაკებიან,
თითქოს, ენის ნორმების
დამდგენი კომისია უზით პირში.
მეტაფორა მოძველდა, სტილი მოკვდა,
აბრეშუმს მარილი დააყარე,
ხავერდს - შაქარი
და ასე მიდი საიქიომდე
ვითომ, რამით განსხვავდება
პოეტის ლანდი მკვლელის ლანდისგან?
ერთს ნისლი ახურავს თავზე,
მეორეს - სისხლი
და ისე უხდებიან ერთმანეთს,
როგორც მულინეს ვარდები
თეთრ ტილოს...
ეს უკვე სტილია,
სიტყვების ბრბოდან
და რითმების წებოვანი თანაგრძნობიდან
ამოსული, თუ ვერ მოასწრებთ
და არ დახვრეტთ მორზეს ანბანით,
ცის ნაცვლად, კანონების თაღს
არ დაახურავთ თავზე,
მერე ვეღარ მიწვდებით.
მაინც, რა უბედურებაა
ეს აუხსნელი სიმაღლე
ჟირაფის და გედის ყელების,
ფიროსმანის ღვინიდან
ამოღებულ თვალს რომ მოელანდა,
სიმბოლისტების სონეტები
რომ ლარზე გაჭიმა, ვენახივით,
ეს უტიფარი, კანონგარეშედ
გამოცხადებული სტილი!
რომელიც, შეიძლება მე ვიყო,
ან ჩემი მეგობარი, ან მტერი,
მაგრამ არასდროს ერთი მრავალთაგანი...

## ლამაზი მკვლელობა

სადაფის ღილებით შეკრული
არასერიოზული კარადებიდან,
რომლებშიც საიდუმლო უნდა იდოს,
სუფთაწერის გაკვეთილებივით ლამაზი,
მე კი წიგნები და ჭურჭელი მიწყვია,
ზოგჯერ ამომაქვს ჩემი
ბავშვობის სახლი, სადაც
ადამიანებს და საგნებს
უყვარდათ ერთმანეთი:
როიალი და ბებიაჩემი
შოპენის ვერცხლისფერ
ქონებას იყოფდნენ,
წვეთები და ნამცეცები
ჩემსკენ ცვიოდა,
მათ შუქზე გავიზარდე.
დედას დაბორკილი ფეხები
მსუბუქი სტოკატოთი
ეხებოდნენ იატაკს, რომ
ღვინის ყვავილები არ გაესრისათ,
მამაჩემის ამოსუნთქული...
ჩემთან კი მოდიოდა
უთავო მხედარი,
რომელიც მიყვარდა
შიშველი ყელის
უსუსურობის გამო.
მოჭრილი თავი, ლანგარზე დადებული,
მერე გამოჩნდა,
ახალი სახლი ზრუნავდა ჩემზე,
კოშმარებს არ მაკლებდა,
სულ ბოლო ჩემი თავი იყო,
გამობმული წითელი კრეპდეშინის
ტანზე და მთვარესავით სევდიანი
ჯალათი ქათქათა ხელებს
აჩვენებდა ყველას:
- წვეთი სისხლი არ დაღვრილაო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი კათარზისი

უგემური ცივი კარტოფილი,
ერთ ღამეში ამჟავებული მაწონი...
პურის ქერქი თაგვებმა წაიღეს,
ტვინი წიგნებში ჩაანთხიე,
სისხლი - სიყვარულებში,
ზაფხულმა ოქროს ტუჩებით
გამოგწოვა მთელი თაფლი,
დარჩი ერთი ავყია ვინმე,
ენის ბორძიკით მოლაპარაკე,
მეგობრები სულეთის გზას გაუყვნენ,
ხელნაწერები - უმეცრების,
შვილები თავისთვის
ცვილის სასახლეებს იშენებენ
და შიგ ბავშვები გამოყავთ,
ფუტკრების გულმოდგინებით,
რომლებიც, შეიძლება, შენი თავიდანაც
გაჩენილიყვნენ,
მაგრამ სულ გამოიფიტე და გაილიე,
საკიდრიდან ჩამოხსნი
შენი ბავშვობის პალტოს,
ტანზე მოგერგება მხოლოდ,
კუზი ვერ ჩაეტევა,
რომელშიც საჭმლის, წყლის
და ზღაპრების მარაგი გიწყვია,
რომ გეყოს უდაბნოში,
სანამ მოსეს ლანდთან ერთად ივლი,
და თუ გააღწევ,
ცის ლურჯი ქოლგის ქვეშ
დაისვენებ...

## ნოსტალგია ბიბლიოთეკის მიმართ

მომიტანეთ ერთი პორცია გალაკტიონი,
მდუღარე გოგლა ლეონიძე
და ყავაში შაქარივით
ჩაყრილი ბესიკი!
პირველი კერძი
წყალ-წყალა პოეტებისგან შედგება
და არ მინდა.
სერვიზი ლურჯი უნდა იყოს,
ვილაპარაკოთ, მხოლოდ, ქართულად!
არა, მე გიჟი არ ვარ,
მაგრამ რესტორნის ქვაბებში
მოხარშული ამხელა ბიბლიოთეკიდან
ხომ მეკუთვნის ცოტა პოეზია!
გახსოვთ, კიდევ, ვარაზისხევში
ქარხანა იყო, სადაც
მოუხელთებელი ნისლისგან
სადაფის ღილებს აკეთებდნენ,
ზემელზე ქარბორბალა კი
არ ტრიალებდა,
აფთიაქიდან გამოსული
მსუბუქ წამლებზე გაზრდილი ქარი
ჭადრებთან ერთად დადიოდა
რუსთაველზე,
მე კი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში
ვიჯექი და ვკითხულობდი
იმ პოეტებს, ზემოთ რომ ვახსენე
და სულყველას ბულდოზერით გადაგვიარეს.

* * *

რა ვქენი?
ვენები გადავიჭერი
და სისხლის ნაცვლად
ხავსი წამომივიდა.
შეიძლება სისხლძარღვების გაპარსვა,
რომ ამ ხავსის წვნიანი მოიხარშოს
ჩემი გამხდარი შვილისთვის?
დედა, შენ უკეთესად იცი
თავგანწირვის კანონები.
მამაჩემმა რომ ფეხი მოიტეხა
და მხრებიდან ჩამოვუვარდი,
მას შემდეგ
ღვინის ჭიქაში ზის
და მღერის იმ მოლიპულ გზაზე,
სადაც ყვავილივით დამტოვა...
ახლა, მე მისთვის ქვას დავემსგავსე,
რომელსაც შეუძლია ყვავილი გასრისოს,
დედას ტვინის შიმშილი ჭირს
და, მხოლოდ, წამლებით გამოვხატავ
მის მიმართ თანაგრძნობას
მე, უფრო, ბებიაჩემის შვილი ვარ,
თვალი სილამაზეზე მაქვს
მიწებებული, რის გამოც
ისევ კლავენ.
- ბებო, მომეცი
რამდენიმე წვეთი შოპენი
პაროქსიზმული გულისთვის,
ცოტა რომ დავწყნარდები,
ფაიფურის ფინჯანს შემოვდგამ
როიალზე
და არავითარი პილპილის ვულკანები!
შოპენისგან უნდა გაიკეთო
ცისფერი ჩაი და სვა
სიცოცხლის ბოლომდე...

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ებრალიძე

# სიკვდილი ბაშტეში



Dილით, პირველივე ბაშტეში რომ შევიდა, თედოს გულმა მაშინვე ავი უგრძნო: ვეება, კუკუბოამოჩრილი დედა ფაშატი უძრავად იდგა; კვიცი ზეზე არ დახვედრია, სველ ჩაბინძურებულ საფენში ჩაწოლილიყო, კისერი გადაეგდო, დრუნჩი და ყბები ჩაეფლო ნახერხში. თედო მიხვდა, რაც სჭირდა: ძუძუთა კვიცების ავადობა დასძგერებოდა - კუჭის აშლა; მოსალოდნელიც იყო: დედას რძე არ ედგა, საერთო ბაგაში უყრიდნენ წყალში ალუფხულ შერია-ქატოს. დედა ბაგიდან თავამოუღებლად სვლეპდა და ღეჭავდა. კვიცი წეროსავით ჩაჰკრავდა დრუნჩს და გვერდზე გამდგარი სანსლავდა დათრეულ სველ ლუკმას. მერე მინდორში მწვანე ბალახზე იქცევდნენ თავს და წოპე - ასე დაარქვა თავისთვის ამ გაზაფხულზე მოგებულ პატარა თაფლა ფაშატს - ხანდახან, დღეში ერთხელ მაინც, ნაპატიები, ნასუქალი კვიცივით შეითამაშებდა ხოლმე. "რა ეკუნტრუშება ამ მაიმახს, მაგრამ ამაგს არ გვიკარგავს, ყოჩაღ, წოპე!" - გაიფიქრებდა თედო.

წოპე მართლაც უშნო, აწოწილი კვიცი იყო: მუცელი ნეკნებზე ეკიდა, საოლავები, უკანა ფეხებზე მაინც, გრძელი და დახრილი ჰქონდა, ლამის სახსრებს უწვდენდა პატარა კოლბოხებსაც კი. თედოს ეს არ ადარდებდა. იცოდა, ზრდაში შეიძლება გასწორებოდა, ჩუმპე მუცელიც აეკრიფებოდა, ფერდებიც შეევსებოდა, ორ-სამ წელიწადში გამოსაქნელ-გასახედნი ფაშატი დადგებოდა. დედის ზორბა ტანი და ძვალი თუ გამოჰყვებოდა, ვისზე ნაკლები იქნებოდა; დოღში თუ ვერ გაჰყვებოდა, ხტომასა და სატალახო მუშაობაში უწმინდესი სისხლისა და ნაფერებ ბედაურებსაც არ დაეჩაგვრინებოდა. თვალები ხომ ისედაც შერჩებოდა: წოპეს დიდი იისფერი თვალები ასხდა, ლამის შუბლიდან ყვრიმალის ძვლებამდე. მარტო სიდიდე არაფერი იყო, გამოხედვა ჰქონდა უცნაური, უფრო - დაშტერება; ჟირაფის მზერას აგონებდა. თავისი ადრეული (აუ! გერმანიის ომამდელი!) კლასელი თუ სკოლელი გოგოებიც ახსენდებოდა. ხელმოკლე ოჯახებიდან იყვნენ. ქუსლმოქცეულ ტილოს ფეხსაცმელებს მიაფრატუნებდნენ გრძელი, გამხდარი ფეხებით, დამოკლებულ, გახუნებულ პალტოებში შეკუჭულიყვნენ, გაქუცული ბერეტები ეხურათ. მამადავითის უბნის ზეითა შუკებში ცხოვრობდნენ, ალბათ, უმზეო ბინებში, სწავლაც უჭირდათ, ფრიადოსნობაზე ოცნებაც ვერ გაებედათ, თუმც მაშინდელი რვეულის ყდებიდან პენსნეიანი პროფილის სილუეტი მათაც ერთთავად მოძღვრავდა: "მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე - ეს არის სწავლა ფრიადზე!" თუმც ცუდი ფერი ედოთ, წოპესავით ამათაც ნაღვლიანი, სადღაც მიპყრობილი თვალები უნათებდათ სახეს.

უცხოთაგან კვიცის გამოხედვა პირველად ირინემ შეამჩნია, მეზობელი თავლის მოიჯარე ახალგაზრდა ქალმა, ნატანჯმა, მაგრამ მხნეობაშერჩენილმა, ცხენჯერ საქმეებში გამობრძმედილმა. თავისი თავის ყადრის მცოდნემ და არცთუ უპრეტენზიო მეჯინიბე-ბერეიტორმა. იპოდრომის მინდვრის კიდეში შეხვდნენ ერთმანეთს. ქალს ფიჭვის კორომში ახალგახედნილი ულაყი ჩამოეყვანა გასატარებლად, თედოს ავშარით შეეყავდა გარე წრეზე დედა ფაშატი ლითონის მორღვეული ღობიდან. წოპე ღელავდა, ვერ აგნებდა ვიწრო გასასვლელს. ირინე წაეხმარა. გვერდიდან გადაუდგა, კარგად დაყენებული ხმითაც შეუძახა, ათასჯერ გამეორებული შეძახილიც მიაყოლა. წოპემ ერთი დააშტერა ანთებულ-გაოცებული თვალები და დედას შესდია.

"ამას დამიხედეთ, ეს რა თვალებიანი ყოფილა!" - არაქართულად გაიოცა ირინემ, რომელსაც ამდენ ცხენ-კვიცებში გამორჩეულმა გამოხედვამ პირუტყვთან ურთიერთობის მრავალწლიანი ჩვეული სტერეოტიპი დაურღვია.

"აბა, სულ წყალწაღებული გეგონათ ჩვენი წოპე?!" - მადლიერად შეეპასუხა თედო. გაუხარდა, რომ სწორედ ირინემ იგრძნო კვიცის თვალები. თვითონ მას კი ამ თვალების შემოხედვაზე ვახტანგ VI-ის "ცხენის კარაბადინიც" აგონდებოდა; "ვახტანგისას" თვითონ უწოდებდა, თორემ ფილოლოგ-სპეციალისტებს ერთი კომპელაციურთარგმნილი დედნიდან მომდინარედ მიაჩნდათ ამ თხზულების ყველა ხელნაწერი; არც ისე ძველი, ქართული სიტყვა "ხელნაწერი" რომ გაფიქრებინებს - მხედრული ანბანით გადაწერილი XVIII-XIX საუკუნეებისა. მაგრამ ერთ-ერთი მათგანის შესავალში ვახტანგის მოხსენიება ("ქართულად გამოცხადნა და შეკრიბნა ერთად ღმრთივ დიდებულმან ძემან მეფეთამან, თვით გამგებელმან, ბატონის შვილმან ვახტანგ") და ისიც, რომ სხვა, ცოტა გვიანდელ კრებულთაგან განსხვავებით, ვახტანგისეულ რედაქციაში ალაგ-ალაგ მეტი წმინდა ცხენოსნური, მეომარი მხედარი კაცის ხელიდან გამოსული "ტექსტი" იყო ჩადებული, ვიდრე უფრო ბეითლური, სამკურნალო დარიგებათა შემცველ ნუსხებში, სწორედ მის ავტორად მეფე-მხედარს ავარაუდებინებდა. და ამ ბერძნულ-არაბულ-სპარსული უძველესი თხზულებიდან მომდინარე ქართულ წიგნში სწორედ მისი კალმის ნაკვალევებს ეძებდა ("წყლის სმევაში ლაგამს და აღვირს ნუ წაჰყრი; დაეჩვევა, ჯარში ბრალი ხარ"; "არაბისტანშიც არ იქნების საქართველოს უკეთესი ცხენი").…

აი, ამ კარაბადინში წაეკითხა თედოს, რომ კარგ ბედაურს ხარის თვალები უნდა ჰქონდესო. სხეულის სამსამი ნაკვეთი აქლემის, ჯორის და ხარის შესატყვის ნაწევრებს უნდა მიუგავდესო. ხარს - ძუა (გრძელი), გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ძვალი, ნეკნი (მსხვილი) და თვალები (დიდი). "აი, შენ კი იქნებოდი ვახტანგ VI-ისთვის, ალბათ, საჩვენებელი აჩუა", - ეტყოდა ხოლმე კვიცს მინდორში. "მართლა მოუხდებოდა ამას სახელად "ხარისთვალა", მაგრამ რა გიყო, დაუსწრიათ რაჭაში, ისევ "წოპედ" უნდა დარჩე".

აი, ამ ხარისთვალა კვიცს სძგერებოდა თითქოს ყოფითი და ჩვეულებრივი ფალარათი, მაგრამ მოწამვლით გამოწვეულს უფრო ჰგავდა. არადა იმ დღეს პირველად მოხდა, რომ უთენია მისული თავიდან წოპესა და დედამისის ბაშტეში არ შევიდა. ამხანაგი კაცის უსაქმოდ დარჩენილი ცხენი უნდა გაეტარებინა. ჯერ ამას მოვითავებ და მერე ჩამოვუვლი ბაშტეებსო. კვიცების დახედვას და წმენდას კი წოპეთი იწყებდა, რადგანაც ასე დაებედა ამ საჯინიბოში სამუშაოდ მისვლის პირველი დღიდანვე, როდესაც დერეფანში ჩაატარა ძველმა ნაცნობმა სპორტსმენმა, ზღვისპირეთიდან ლტოლვილმა უებრო მხედარმა და მწვრთნელმა. ერთმანეთის მჯობი კვიცები ჰყავდათ. კარგი დედ-მამის შვილებიც იყვნენ. მეორე ჩამოვლაზე უკვე ყოველ ბაშტეში შედიოდნენ. მწვრთნელი ყოველი ფაშატისა და კვიცის საგვარტომოს აცნობდა. უცხო კაცის დანახვაზე დედები წინ ეფარებოდნენ შვილებს; მარტო ერთი აწოწილი, გამხდარი, აბურძგვნილი კვიცი გამოერიდა ვეება ფაშატს, თვალები მიაშტერა სტუმარს და ჩაბოხებული ხმით შეეხმიანა. "ა, ბატონო!" - კეთილად გაიღიმა სიტყვაძუნწმა ზღვისპირელმა და თედოს ოდნავ შეახო ხელი მხარზე. ამით ყველაფერი თქვა: "ამაზე კარგი სამუშაო ახლა სად უნდა იშოვოთო, ცხენებმა მიგიღესო, ერთი მოგესიყვარულათო კიდეც. თანაც ასე უცებ ყველას როდი უშინაურდებიანო კვიცები"...

...თედომ უკვე კარგად უწყოდა, რაც ემუქრებოდათ. მაგრამ მაშინვე არ შემდრკალა: სამუშაო ელოდა. უმალ ნიჩაბს დაავლო ხელი; ბაშტიდან წუნწუხი გაიტანა. მერე კარგა ხნის წინ მოტანილი ნახერხის ნაყარზე წამოხვეტა ბურბუშელას და ხრილის ნარჩენები, ბაშტე მოამშრალა, წოპესაც ჩამოჰბანა ჩამოწუწული ძუა-სახიმარი, ბარკლები და კანჭები. ქმედებას მორჩა, ახლა მკურნალობა უნდა დაწყებულიყო. შაბათი დღე იყო. ჯერ ვეტექიმები არ ჩანდნენ. სხვა თავლის გამოცდილი კაცი დაეხმარა. "ჩქარა, თედო ძია, უბედური რამეა ეს". თვითონ გაიხსენა კუჭის შემკვრელი წამალი; წყალში გახსნეს, დაალევინეს. ისედაც დამჯერე წოპე თვალებში შეჰყურებდათ. მერე ბალახზე გაიყვანა დედა-შვილი. ეგებ მზეზე მომჯობინდესო. ფაშატი მადიანად ძოვდა. კვიცი იტრუნებოდა, ხანდახან კისერს მიიბრუნებდა გამობერილი მუცლისკენ. "ვერ შველის ეს წამალი", - ფიქრობდა თედო. მაგრამ თავლაში რომ დაბრუნდა, ექიმებიც მოსულიყვნენ. ატყდა ნემსების ჩხვლეტა; წოპეც დამშვიდდა. თავლიდან აღარ გამოსულან. მეორე დილით ზეზე დახვდა. "ყოჩაღ, თედო ძია, ამას სასიკვდილო აღარაფერი უნდა სჭირდეს; გუშინ კი ძაან შეგვაშინა". თედომ მინდორში წაასხა დანარჩენი მეძუძური ფაშატები და მათი კვიცები. საღამოს პირზე რომ ამორეკა და საჯინიბოში ბაშტეებში ჩამორიგებას აპირებდა, კვლავ ავად ენიშნა წოპეს ბაშტესთან შეჯგუფული ხალხი. უცებ შერეკეს სხვები. სადგომიდან უკვე გმინვაც მოისმოდა. "მაინც მოერია ანთება, არაფერმა გაჭრა, სუსტი გამოდგა, - მშვიდად უთხრა ახალგაზრდა ექიმმა, - ახლა გამაყუჩებელს მივცემ, თორემ უკვე ტკივილისგან კედლებს ახლის თავს".

ყველანი წავიდნენ. შუაღამე გადავიდა. კვიცი ვერ მშვიდდებოდა. გასხლტომას ლამობდა. თედო არ ანებებდა. წოპემ ერთიც გაიბრძოლა, მაგრამ ვერც კაცის ხელებს გაექცა და ვერც ტკივილს. "ვაი!" - გარკვევით, მკაფიოდ გაიგონა თედომ. არც ცრუმორწმუნე ეთქმოდა და აღარც სასწაულების იმედი ჰქონდა, მაგრამ ცხენი რომ გულთმისანი ცხოველი იყო, ეს ყოველთვის სჯეროდა და ბავშვობიდანვე ელოდა, რომ როდისღაც მასაც შეეხმაურებოდა ადამიანის ხმით, ზღაპრული რაში თუ არა, ერთგული საფერხე. და აი, აუხდა კიდეც. ნამდვილად ელირსა, მოესმა ეს ხმა, მაგრამ მისთვის ცხენის პირით ნათქვამი პირველივე ქართული ვაების მაცნე გამოდგა.

ბაშტიდან გამოვიდა, კარი ღია დატოვა; კვიცი გამოჰყვა, დამშვიდებულიყო; ნელა გაუყვა დერეფანს. ბაშტეებს აკვირდებოდა; იქედან კვიცები და ფაშატები გულგრილად აყოლებდნენ თვალს. ბოლოში შემობრუნდა. კვლავ რწევით წამოვიდა, ღია კარებში შევიდა და მშვიდად გაუჩერდა დედას, რომელიც მისკენ აღარც იყურებოდა.

...თედომ იცოდა, რომ ხვალიდან ამ საჯინიბოში ვეღარ იმუშავებდა ცხენებთან, უნდა წასულიყო და სხვაგან ეძებნა თავმისადრეკი, სხვა ბაშტეებში ეცადა ბედი. ისიც აფიქრებდა, მერე კი სად გამოეთამაშებოდა სულთამხუთავი ახლად დახელისავებულ კვიცს თუ ცხენს, სულაც თვითონ მას. პირუტყვის სიკვდილი ბევრი ენახა. მაგრამ თვითონ თუ შერჩენოდა ძალა, რომ კვიცივით თუ ბერი ცხენივით ისე შეებრძოლებოდა სულთამხუთავს, როგორც ხორციელ მომხდურს, იარაღასხმულ მტერს, არ დაეთმო ღვთის ნაბოძები სიცოცხლე და სიმართლე. და შემდეგ კი, როცა არაფერი გაჭრიდა, ოთხი თვის წოპესავით დანანებით შეევლო თვალი თავისი წილი კუნჭულისთვის და ჩუმად გასცლოდა იქაურობას.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლელა სამნიაშვილი

### კაბა

თითოეული სირმით, ნაქარგით,
მძივით ვცდილობ წარმოვიდგინო
თუ როგორი ლამაზი იყო
ქალი, რომელსაც ტანზე ემოსა
ეს თეთრი კაბა - მუზეუმში,
ნახევრად სარდაფში თუ მარადიულ
ბინდში - ნაზად გამოფენილი.

ნაწნავების და თვალების და
ბაგის გარეშე - თაროებს შორის
ბჟუტავს იგი. ბჟუტავენ ლალის
თვლები ხავერდის ჩიხტიკოპებში,
ბეჭდები და ხანჯლები და
ნამტვრევები - ფიალებად შეწებებული.
და ისევ კაბა - სამუდამოდ უარყოფილი,
როგორც ზედმეტად მძიმე თუ გრძელი
თუ - ზედმეტად მშვენიერი, თვალისმომჭრელი.

ვდგავარ - მისგან თავისუფალი.
სიმსუბუქისთვის - სამოსელიც,
სხეულიც დადნეს! მაგრამ ეს კაბა -
შორიდან ისე მსუბუქია, ერთი წამით
შეიძლება ვისურვო და ლექსად დამაჩნდეს:
ჩავიცვა, კალთა ჩამოვბერტყო,
ჩამოსცვივდეს ჩრჩილის პეპლები.

* * *

ფრჩხილებს - ლაქი და
პერანგს - კრახმალი;



და თქვენთვის -
ეს დღეც არის ახალი;
მართლა ახალიც -
სადღაც აქ არის:
ხორკლიანი და გაუცლაქავი.

* * *

ზღვამ გაიტაცა მზის ქუდი -
შხეფებით, ტალღის მორკალვით;
ვიღაცას - თევზის კუდიანს -
ტალღაში თვალი მოვკარი;
და ჩემს გარშემო გაშლილი -
ზღვამ თან წაიღო ნადავლი:
ცა - გამჭვირვალე თავშალი,
ნაპირი - ჭრელი სანდალი;
ანაა, თუ - მარიანა,
თუ კიდევ ვინმე - დობილი?! -
სიტყვების ელვით, მარილით -
ტალღაში გადადნობილი;
ვისაც ზღვის ლექსი აქეზებს -
ვარდისფრად შეღამებული:
ქალთევზად იქცეს, ნაპირზე
დატოვოს - შეყვარებული.

### დამსვენებლები

ამ ზაფხულს - წყალი ვერ იქნება
მიწის ვეება კოცონზე თუ ფერფლზე ძლიერი;
ვიცი და მაინც, მატარებლის სარკმელად იქცა
წუხანდელი ეკრანის შავი ჩარჩო; ნაცრისფრად
ამოიბურცა ზღვის ტილო, მე ის
დამალბობს და დამაბრუნებს ისევ სიცხიანს.
ესენიც - ჩემი დობილები - წელს კიდევ უფრო
მეტად გვანან საკუთარ თავებს თუ -
ოფისის გოგოებს თუ მზეთუნახავებს;
წვანან ნაპირზე და ითვლიან: ეს ცა არის
პირველი; სადღაც მესამეზე ბრწყინავენ
ჩვენი საქმროები; და მეცხრეზე - კადილაკები;
და მერე მაინც ერთად ვაბრუნებთ
ქვებზე ამოყრილ მედუზებს ზღვაში.
ღამის ტილო კიდევ უფრო მეტად სველდება:
სველი ხმები, სველი ფერები; აქედან -
ღამის ბულვარიდან - ვეყუჟებით თითების თეატრს;
მსახიობები უცხო ღმერთებს გვანან -
სიცოცხლეს გრძნობენ, ატევენ - ხელის მტევნებში.
სუნთქვაშეკრული ვზივარ და ვცდილობ
არ გავინძრე. თითქოს ჰაერში, ჩვენს თავსზემოთ
ვიღაც ტივტივებს და იმისი თითებია - ჩემი ხელები,
ჩემი ფეხები, რომლებიც მთელი ღამე
სველი მაქვს, გაოფლილი; კოღოების ნაკბენებს
ვითვლი. მეჩვენება, რომ ამ ზღვასთანაც
და ხმელეთის შუაგულშიც - მთელი ქვეყანა
დასიცხულია, დაკბენილია და გაუნძრევლად,
საზიზღარი ნეტარებით ყველაფერს ითმენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გარშემო
ფრენენ ხარაბუზებად -
აქლემები თუ მხოლოდ კუზები;
და არ ამცდება თითის დაქნევა,
მათგან ერთიც რომ იქცეს აქლემად.

### ტყვეების გაცვლა

ჭიანჭველების დედოფლის შავი საშოდან
ნელა მოიწევენ ჯარისკაცები; იყოფიან:
ერთი - მარჯვნივ, მეორე - მარცხნივ;
სათვალავი მერევა; საით უნდა წავიდე?!
კოლონია სადღაც ზურგსუკან გუგუნებს და
თვალებისკენაც - ზუსტად იმავე სხეულებით
და ხმაურით ამოვსებული შავი ორმო -
მობჯენილია. ომის ღმერთებო, უნდა მანიშნოთ
საით არის ჩემი ქვეყანა ან სიყვარული?!
სახეები დაუბრუნეთ თქვენს ჯარისკაცებს,
რომ შემეძლოს მტრისგან მოკეთე გამოვარჩიო;
თორემ ეს მიწა - მდინარის, ზღვის, ოკეანის
ორივე მხარეს - სასწორის ორი შავი თეფშია -
სიყვარულის გამომხმარი ფესვებით სავსე
და კარგავს, კარგავს წონასწორობას... ვიდრე
სიძულვილს ამატებთ მათში; ძვლებსა და კოცონს
და აი, უკვე - ჯოჯოხეთურ სიმსუბუქესაც.
და დამწვარი, სისხლებშემხმარი ჯარისკაცები,
თუ კვამლიდან გამოაღწიეს, მოათრევენ
ხორბლის მარცვლებს; არც დაჭრილებს,
არც სამშობლოს, არც ერთგულებას...
და ღმერთებო, თუ კვამლიდან გამოვაღწიე... -
ზურგით მოვათრევ, ხელუხლებლად გიბრუნებთ
მთელს თქვენს ძლიერებას, მრისხანებას,
თავდავიწყებას... და დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ
ჩემი სისუსტე: ხსოვნის ძალა, სიყვარულისთვის
სიცოცხლის და სიკვდილის ძალა.

არილი



თორნიკე მოდებაძე

# საუბრები უბის წიგნებზე

## რევაზ ინანიშვილი. სამაგიდო რვეულიდან



რევაზ ინანიშვილის წიგნი "სამაგიდო რვეულიდან", ვფიქრობ, მისი შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს მრავალ საფიქრალს აღუძრავს. ეს საფიქრალი, რაღა თქმა უნდა, მწერლის შემოქმედების და პიროვნების გამო იქნება აღძრული. ნებსით თუ უნებლიედ, პატარ-პატარა ჩანაწერებში, ამ მცირე გაელვებებსა თუ ნასხლეტებში ისეთი ნიუანსები გამოსჭვივის, რომელთა ამოკითხვა ვრცელ ნაწარმოებებში შეუძლებელია.

რით არის ლიტერატურის ეს მაინც სახელშეურქმეველი ჟანრი მნიშვნელოვანი? იმით, რომ ერთდროულად ირაციონალურიც არის და რაციონალურიც, იმპულსურიც და ანალიტიკურიც, მოუხელთებელიც და, ნაწილობრივ, მოხელთებულიც. ვიდრე ის ქაღალდზე არ გადმოიღვრება, ფაქტობრივად არც არსებობს. მოთხრობის სიუჟეტი ან გარკვეული დეტალები შეიძლება მოფიქრებული ჰქონდეს მწერალს, ლექსს დაწერამდე ზოგიერთი პოეტი გონებაში აფიქსირებს, ამ ჟანრის ნაწარმოებები კი, რევაზ ინანიშვილმა "სამაგიდო რვეულში" რომ მოათავსა, მხოლოდ მაშინ იძენს სახეს, როცა ლიტერატურულ ფაქტად იქცევა. მანამდე ის ფიქციაა, წყლის ჭავლია, სუსტი სხივია. პირველადი იმპულსის მოხელთებას სწორედ მწერლის სმენა სჭირდება, გადმოცემას კი ერთადერთი და შეუნაცვლებელი სიტყვები. აი, ნიმუში რევაზ ინანიშვილის "სამაგიდო რვეულიდან": "გიფიქრიათ, საიდან უნდა მოდიოდეს სიტყვა "წკრიალა", როდესაც ამბობენ "წკრიალა წყარო", "წკრიალა წვეთები", "წკრიალა ჰაერი"? თქვენ მეტყვით, ეს კრიალაში გაიგივებაა და მეტი არაფერიო. მაგრამ მე ასე მგონია: დიდ, დიდ სისუფთავეს ერთ ადგილზე მდგარსაც კი, აქვს ხმა. და ესაა წკრიალი. ადამიანები არა მარტო ხედავენ სისუფთავეს, გამჭვირვალებას, უმანკოებას, არამედ ხმაც ესმით მათი, რაღაც არაამქვეყნიური ხმა". აი, რა ყოფილა თურმე წკრიალი. ეს არის მწერლის სრულიად თავისებური დამოკიდებულება სიტყვისადმი. ეს არის არა განმარტება

სიტყვისა, არამედ მის სიღრმეში წვდომა. ეს სიღრმე თითქმის უძიროა. მწერლის ასოციაციურ აზროვნებაზე როცა ვსაუბრობთ, სწორედ ენასთან დამოკიდებულების პრიმატია არსებითი. მწერლის ინდივიდუალური დამოკიდებულება ყოველი სიტყვისადმი გარკვეულ ასოციაციებს ეფუძნება.

რეზო ინანიშვილს აქვს სხვა ასოციაციური ხასიათის ჩანაწერები; ვთქვათ, ასეთი: "ყვავებიც აფუყულები, შუბლშეკრულები სხედან ხოლმე უმეტესად, თანაც გაცრიატებულ ცის ფონზე. მათი საფიქრალი მე წარმომიდგება დაახლოებით ისე, როგორც წარმოგვიდგენია ბლაგვი, უხეში რეალიზმი".

ჩემი აზრით, მსგავსი ძნელათმოსახელთებელი განცდების თუ შეგრძნებების გადმოსაცემადაა ეს ჟანრი მოწოდებული. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორედ ამ ხასიათის ჩანაწერების მეშვეობით შეიძლება ფიქსირება იმისა, რაც ერთხელ თუ არ დაფიქსირდა, მერე სამუდამოდ გაქრება. მაგრამ აქვე, "სამაგიდო რვეულში" რევაზ ინანიშვილს აქვს იმ ხასიათის ჩანაწერებიც, რომლებშიც თანაბრად, ჰარმონიულადაა შერწყმული ერთმანეთთან ირაციონალური და რაციონალური მომენტები. აი, ვთქვათ ასეთი ჩანაწერი: "აგვისტო, ოთახი, მზიანი, ცხელი დღე. მაგრამ ამ სიცხეში მე მაინც ვამჩნევ შემოდგომის ნიშნებს. ეს არის რაღაც ქარვისფერი სიყვითლე მზეში და დამცხრალი სიმწვანე ქედებში, ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლები გაზონებში და მკვრივი სილურჯე ცაში. ეს არის ტკბილი სევდაგარეული განწყობილება, რომელიც რაღაცეების დასაწერად მიბიძგებს მაგიდისკენ. ეს არის გარკვეული პატიების გრძნობა ყველაფრისადმი".

რევაზ ინანიშვილის ზოგიერთი ჩანაწერი წმინდად რაციონალურია, გონებისმიერი დაკვირვება, მოვლენის მიუკერძოებელი წვდომაა, მაგრამ აქაც იელვებს ტროპი, შედარება, მეტაფორა და სასაუბრო საგანი მხატვრულ სიცხადეს იძენს: "მე ველარ ვახერხებ ფიქრისა და წერისთვის გამოვგლიჯო მსახვრალ ცხოვრებას დრო, და ეს დამღუპავს. არადა, რა საინტერესო რაღაცეებს ვხედავ ჩემს შიგნით, მხოლოდ ღრმად, როგორც მდინარის ფსკერზე".

ჩანაწერების კითხვისას გებადება აზრი იმის შესახებ, რომ მწერალი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე საკუთარი ხელობის ანალიზს აკეთებს. შეუძლებელია სერიოზული შემოქმედი არ იყოს ანალიტიკოსი. ის მოაზროვნე არსებაა და თავის თავში მიმდინარე პროცესებს გაუცხოებული თვალით აკვირდება. ასევეა რევაზ ინანიშვილიც, როდესაც ამბობს: "რა საინტერესო რაღაცეებს ვხედავ ჩემს შიგნით, მხოლოდ ღრმად, როგორც მდინარის ფსკერზე". ვინც კარგად იცნობს რევაზ ინანიშვილის პროზას, იმისთვის ამ სიტყვების აზრი იმთავითვე ცხადი გახდება. მისი მოთხრობები მისივე არსების ულრმესი წიაღიდან იღებს დასაბამს. მწერალი თითქოს ჯერ აკვირდება საკუთარ ფსკერს და მერე იქიდან ფრთხილად ამოაქვს პერსონაჟების ხმები. სწორედ ეს არის მწერლის შემოქმედებითი მეთოდი - წერის პროცესში და, მანამდეც, საკუთარ თავთან დამოკიდებულების წესი. სიღრმიდან, მოფუთფუთე ქაოსიდან მართლაც ფრთხილად უნდა ამოიტანოს აუცილებელი და საჭირო მასალა, შლამი უნდა შემოაცალოს, დაწმინდოს და გააკეთილშობილოს. ამგვარ სიფრთხილეს სისადავე ჰქვია, აკი თვითონ რევაზ ინანიშვილი წერს: "სისადავე! სისადავე! სისადავე! ოი, რა ძნელია მიღწევა!"

საკუთარი თავის სიღრმეში ძიება უეჭველად წარსულთან არის დაკავშირებული. არაერთხელ უცდიათ, ვთქვათ, პოეზიის განსაზღვრება. ერთ-ერთი პასუხი კითხვაზე თუ რა არის პოეზია, ასე ჟღერს: "პოეზია - მოგონებაა". და, რა თქმა უნდა, მოგონების გარეშე წარმოუდგენელია თქვას რაიმე მწერალმა. მოგონება, ამ შემთხვევაში, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ნიშნავს. ისევ "სამაგიდო რვეული" გადავფურცლოთ: "რატომაა, რომ შემოდგომაზე უფრო ეწერება კაცს? ალბათ, იმიტომ, რომ შემოდგომისთვის უკვე გროვდება ე.წ. მოსაგონარი. ტკბილად მოსაგონარის გარეშე ვერავინ ვერ შექმნის ვერავითარ მშვენიერს, ლამაზს. პუშკინი და ვაჟა-ფშაველა მე არ შემიძლია წარმოვიდგინო უამისოდ. ეს ხომ თეორეტიკოსებმაც იციან. ისინი ამას, ამ მოსაგონარს, ნაწარმოებსა და მოვლენას შორის არსებულ დისტანციას უწოდებენ".

ალბათ, ყველა ჯურისა და ყაიდის მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ ჩანაწერშიც შესანიშნავად ჩანს რევაზ ინანიშვილისეული სისადავე. არ იქნება გადაჭარბებული თუკი ვიტყვით: მისი მისწრაფება სისადავისადმი არაჩვეულებრივად თვალშისაცემია. ის თითქოს ამ აუცილებელი პირობის გარეშე სიტყვას არ გაიღებს. ამის დასტურად კიდევ ერთ ჩანაწერს მოვიხმობ: "აღარ მინდა ხატვა, სურვილი მაქვს ვილაპარაკო დინჯად, ფართოდ, სადად, თითქოს მოთხრობას კი არ ვწერდე, ლექციას ვკითხულობდე ზუსტი მეცნიერების რომელიმე დარგიდან". შესანიშნავი ნათქვამია! მწერალი სისადავეს და უბრალოებას ესწრაფვის, ზუსტ ლექსიკურ ერთეულებს არჩევს და მცირეოდენ ბუნდოვანებასაც ერიდება და სწორედ ეს მისწრაფება აღვივებს მის არსებაში სათქმელის თქმის სურვილს. რევაზ ინანიშვილის შემოქმედება იმ ღუმელივითაა, რომელსაც თანდათანობით ხმელ შეშას ამატებენ. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტია სიმკაცრე და სისადავე, მით უფრო ჭარბობს მკითხველთან საუბრის სურვილი. მწერლისეული სისადავე მისივე სათქმელის განუყოფელი ნაწილია.

არაერთი თვალსაზრისი აქვს რევაზ ინანიშვილს გამოთქმული თვითონ შემოქმედებითი პროცესის შესახებ. აქაც ვერსად წააწყდები ტრივიალობას, აზრის ყოველი ხვეული რაღაც საინტერესოს გატყობინებს. აი, ვთქვათ, ასეთი ჩანაწერი: "წერა, მხატვრული ნაწარმოების წერა, ისეთივე მაგიურობის სფეროა, როგორიც მკითხაობა და ჯადოქრობა, ამიტომ არ უნდა აღსრულდეს იგი სხვების თანდასწრებით. ხალხს აღარც სჯერა მკითხავებისა და ჯადოქრებისა, აღარ სჯერა აღარც მწერლებისა. ამიტომაა, რომ ყველა ცხვირს გიყოფს მუშაობის პროცესში, ამიტომაა, რომ ზედმეტ მოთხოვნადაც მიიჩნევენ, პაწაწინა კუთხეს რომ თხოულობ შენთვის".

ამ ჩანაწერში მრავალი რამ არის საგულისხმო. ჯერ ერთი ის, რომ დღევანდელი მწერლობა (საუკეთესო გამონაკლისების გარდა) მართლაც ნაკლებად ჰგავს ჯადოქრობას. მეორეც კიდევ ის, რომ მწერალმა თითქოს დაკარგა ძველი შარავანდედი არა განდეგილისა, არამედ განრიდებულისა. განრიდებულში ვგულისხმობ იმ ადამიანს, რომელიც ამქვეყნიურ ძალაუფლებას კი არ ელტვის, რადიოს და ტელევიზიას კი არ იყენებს ტრიბუნად, რომელიმე პარტიას ან ინსტანციას კი არ არის მიკედლებული თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არამედ პატიოსნად ზის თავის საწერ მაგიდასთან და წერს ლექსს, მოთხრობას ან რომანს. ასეთი იყო თვითონ რევაზ ინანიშვილი. ის იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და წერდა თავის წიგნს "სამაგიდო რვეულიდან". ვფიქრობ, მკითხველი ნამდვილად მადლიერი უნდა იყოს მისი.






ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგელ დე უნამუნო

# ჩემი რელიგია



Ერთი ჩემი ჩილელი მეგობარი მწერდა, აქ, ჩვენთან ერთი-ორ თქვენს ისეთ მკითხველსაც შევხვედრივარ, რომელსაც შემოუჩივლია: "კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამ სენიორ უნამუნოს რელიგიისა ვერაფერი გავიგეო". არ მიკვირს, აქაც, ჩვენთანაც არაერთხელ უთქვამთ იგივე, მაგრამ ფიქრადაც არ გამივლია, პასუხი გამეცა მათთვის და არც ვაპირებ, სანამ ღრმად არ გავიაზრებ თვითონ კითხვას.

განა ამქვეყნად ცოტანი არიან სულით უქნარა ადამიანები, ან თუნდაც ხალხი, რომელთაც სულაც არ უშლის ეს ხელს, ბეჯითად იმოღვაწეონ ეკონომიკურსა თუ სხვა მსგავს სფეროებში, რადგან ისინი, ეტყობა, უფრო დოგმატიზმისკენ არიან მიდრეკილი ნებსით თუ უნებლიედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, რაღაც მიზნით, თუ სულაც უმიზნოდ. სულით უქნარობა კი მათს კრიტიკულსა თუ სკეპტიკურ პოზიციაზეც მიგვანიშნებს.

სკეპტიკურს-მეთქი, რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ამ სიტყვის ეტიმოლოგიური და ფილოსოფიური მნიშვნელობა, რამეთუ სკეპტიკოსი მარტო დაეჭვებულ კაცს როდი გულისხმობს, არამედ ისეთსაც, ვინც იკვლევს და იძიებს, ვინც საპირისპიროსაც ამტკიცებს და ზოგჯერ კიდეც ჰგონია, რაღაცას მივაგენი, რაღაცა ამოვხსენიო. მაგრამ არიან ისეთებიც, პრობლემებს რომ ეჭიდებიან და არიან კიდევ სხვებიც, პირდაპირ, მზამზარეულ ფორმულებს რომ გვთავაზობენ, სულერთია, სარწმუნო იქნება თუ არა.

წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით, ნამდვილად წინდაუხედაობა იქნებოდა რამის ხელაღებით მტკიცება, მით უმეტეს, რომ საკითხის დასმა უკვე შემდგომი ნაბიჯის პირობაა. როცა ანგარიში აგვერევა, წავშლით და მერე ისევ თავიდან ვიწყებთ, ეს მაინცდამაინც საქმის დიდი დანინაურება არ არის, მაგრამ თუ სახლი დანგრევის პირზეა მისული, ანუ საცხოვრებლად უვარგისია, ჯობია დავანგრიოთ, ვიდრე შევაკეთოთ და გავამაგროთ; ამას გვირჩევნია, ძველი მასალა გამოვიყენოთ და ახალი ავაშენოთ, ოღონდ დანგრევით კი უეჭველად უნდა დავანგრიოთ. ამასობაში მობინადრეებმა შეიძლება სადმე შეაფარონ თავი, თუნდაც ქოხი იყოს, ხოლო თუ ქოხიც ვერ მოიძებნება, პირდაპირ მინდორში, ცის ქვეშაც კი გაათენონ.

ამავე დროს - ჩვენი პრაქტიკული ცხოვრებიდან გამომდინარე - არც ის დაგვავიწყდეს, რომ ზოგჯერ გარკვეული მეცნიერული დასკვნებიც გავითვალისწინოთ. ადამიანები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ჰიპოთეზებისა და საკმაოდ მყიფე განმარტებების იმედად და ზოგჯერ უიმისოდაც. როცა საქმე დამნაშავის დასჯას ეხება, ხშირად იმაზეც კი ვერ მორიგებულან, აქვს თუ არა კაცს თავისუფალი ნების გამოვლინების უფლება; ასეა, ხან იმასაც ვერ ვხვდებით, ცემინებას ხახის გაღიზიანება რომ იწვევს.

ვინც იმ აზრზე დგას, ჯოჯოხეთის მარადიული ტანჯვის შიში რომ არა, ადამიანები უფრო უკეთურები იქნებოდნენო, მათ გასაგონად ვიტყოდი, ცდებიან-მეთქი; კიდეც რომ აიღონ ხელი იმქვეყნიური ცხოვრების რწმენაზე, იმის გამო კი არ გახდებიან უარესები, არა, პირიქით, უმალ სხვა გზებს დაუწყებენ ძებნას თავის გასამართლებლად; ხოლო ვინც უზაკველია, ის ისედაც უზაკველია და არა ამ მოარული რწმენის შიშით. ამდაგვარი სჯა-ბაასი იმათთვისაა ძნელიც და ბნელიც, ვისაც ეს კითხვები მოსდის თავში და ეჭვიც არ მეპარება, ის სულის სიზანტითაც იქნება შეპყრობილი.

"კარგი, მაგრამ, - ვეკითხები საკუთარ თავს, - მაინც რა არის შენი რელიგია?" - და თავადვე ვპასუხობ - ჩემი რელიგია არის ჭეშმარიტების ძიება ცხოვრებაში და ცხოვრებისა - ჭეშმარიტებაში, თუნდაც ვიცოდე, ჩემს სიცოცხლეში ამას ვერ მივაღწევ, ჩემი რელიგია არის დაუცხრომელი და დაუსრულებელი ბრძოლა იდუმალებასთან. ჩემი რელიგია არის ბრძოლა ღმერთთან მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, სწორედ ისეთი ბრძოლა, იაკობი რომ ებრძოდა მას. არაფერს დავთმობ იდუმალებისა თუ შეუცნობელის წინაშე, - როგორც წერენ ხოლმე პედანტები, - ვერც იმას დავჯერდები, "ბედს ვერსად წაუხვალო", რომ აუკვიატებიათ. ვგმობ ამ თქვენს გაქვავებულ Ignorabimus-ს, სულერთია, ვერავინ და ვერაფერი ამაღებინებს ხელს ამ ბრძოლაზე; დიახ, მე ვბედავ მივწვდე მიუწვდომელს.

"იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცითაი სრულ არს", - გვიბრძანა ქრისტემ და თუმცა ეს მიუწვდომელი იდეალია, სწორედ ამ მიუღწევლით დაუდო ზღვარი ჩვენს შესაძლებლობას. და ასეცააო, იტყვიან თეოლოგები ჩვეული შემწყნარებლობით, მე კი მაინც ჩემსას ვეცდები და ვიბრძოლებ, სანამ სული მიდგას და ძალა შემწევს, გამარჯვებაზე არც ვიფიქრებ. მაგრამ განა არსებულა კი ოდესმე ჯარი, თუნდა ხალხი, დამარცხებამდე რომ დაეყარა ფარ-ხმალი? ან თუ საქებარ-სადიდებლად გაგვიხდია ვინმე, სიცოცხლის ფასად რომ დანებებია მტერს. მაშინ ეს ყოფილა ჩემი რელიგიაც!

რაკი მაინც მაძლევენ ასეთ კითხვას, მაშასადამე, პასუხად ან დოგმას ელოდებიან, ან ამომწურავ პასუხს, მერე შვებით რომ ამოისუნთქონ და კვლავაც იმ თავიანთ სულიერ მცონარობას მიეცნენ. მაგრამ მარტო ამას როდი სჯერდებიან, ერთი სული აქვთ, სანამ დამშლიდნენ, დამანაწევრებდნენ და თავიანთი კლასიფიკაციის მიხედვით იმ უჯრედში მომათავსებდნენ, სულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისთვის რომ აქვთ განკუთვნილი. ამიტომაა ხან ლუთერანს რომ მიწოდებენ, ხან კალვინისტს, ხან კათოლიკედ მნათლავენ და ხანაც ათეისტად, ზოგჯერ რაციონალისტობას მწამებენ, ზოგჯერ მისტიკოსად მაცხადებენ და ვინ იცის, კიდევ რას არ მაბრალებენ, თუმცა, ეჭვიც არ მეპარება, არცერთი ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ესმით და არ ესმით იმიტომ, რომ ფიქრით თავს არ აიტკივებენ. მძულს ყოველგვარი კლასიფიკაცია, რამეთუ მე, მიგელ დე უნამუნო, თანაბრად სხვა ყველა ადამიანისა, ნებისმიერი ადამიანისა, ვინც კი სრულყოფილებას ელტვის, უნიკალურ მოდგმას ვეკუთვნი. "არ არსებობს სნეულება, არსებობენ სნეულები", - იტყვიან ექიმები, მე კი ჩემსას დავძენდი - არ არსებობს აზრი, არსებობენ მოაზროვნენი.

რელიგიის სფეროში თითქმის არაფერია ისეთი, რაციონალური ახსნა რომ არ მოეძებნებოდეს, მაგრამ მე არც სურვილი მაქვს და არც შემიძლია ლოგიკურ კავშირებს დავუწყო ჩხრეკა, აკი რაციონალისტური სწორედ ლოგიკაა. დიახ, ქრისტიანი გახლავართ, მტკიცედ ვდგავარ ქრისტიანულ რწმენაზე. დიახ, მთელი გრძნობითა და გულით, მაგრამ ქრისტიანული აღმსარებლობის ერთი რომელიმე დოგმა მაინც არ არის ჩემთვის ამოსავალი. ასევე ქრისტიანად მიმაჩნია ყველა, ვინც ქრისტეს მიმართ მოწიწებითა და სიყვარულითაა გამსჭვალული, ეგ არის, ორთოდოქსებს ვერ ვეგუები, თუნდა კათოლიკები იყვნენ და თუნდაც პროტესტანტები, - თუმცა ისინი ვერც ერთმანეთს ეგუებიან, - ამის გარდა, ისინი ხომ ქრისტიანებად არ მიიჩნევენ მათ, ვისაც მათებურად არ ესმის სახარება; ისეთი პროტესტანტი ქრისტიანებიც ვიცი, უნიტარისტებს ქრისტიანებად რომ არ თვლიან.

გულახდილად ვამბობ, ვერანაირი რაციონალისტური მტკიცებულება ღმერთის არსებობა-არარსებობის შესახებ, ვერაფერში მარწმუნებს. რაგინდ გონივრული დასკვნები მომიტანონ ღმერთის არსებობის დასამტკიცებლად, მე მაინც ვიტყვი, ეს ყველაფერი პარალოგიზმზეა აგებული-მეთქი და ამოსავალი დებულებაც საკამათოა. ამ საკითხში კანტს ვეთანხმები; მაგრამ ამ თემაზე კამათს თავს ვარიდებ, რადგან ხარაზს ხარაზის ენაზე უნდა ელაპარაკო.

ვერასოდეს ვერავინ დამარწმუნა, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ ვერც მისი არარსებობა დამაჯერა ვინმემ გონივრულად. ათეისტების აზრები კიდევ უფრო ზერელე და უნიადაგო მეჩვენება, ვიდრე მათი მოპაექრეებისა და თუ მე მაინც მწამს ღმერთი, ანდა ყოველ შემთხვევაში, მწამს მისი რწმენა, ყველაზე უფრო იმიტომ მწამს, რომ თავად მე მინდა ღმერთი არსებობდეს და მერე კიდევ იმიტომაც, რომ მე მას ვჭვრეტ გულით, იგი გაცხადებულია სახარებაში და ისტორიაში, თუმცა, ბოლოსდაბოლოს, ეს მაინც გულიდან მოდის.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ ისე მაინც არა ვარ დარწმუნებული, როგორც, ვთქვათ იმაში, ორჯერ ორი რომ ოთხია.

ამდენს რომ ვმსჯელობ, იმიტომ ვმსჯელობ, რომ ჩემმა ცნობიერებამ მოსვენება დაკარგა და ვერც სანუგეშოს რასმე ვხედავ ჩემს გაჩენაში, თორემ ამაზე ფიქრით თავს ასე რიგად არ ავიტკივებდი. მაგრამ ვაი რომ, მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი სულიერი ცხოვრება ამ ფიქრებში გადის, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობის მამოძრავებელი ძალა ესაა; ვერც იმით ვანუგეშებ თავს ზოგიერთებივით, ერთთავად რომ გაიძახიან, არ ვიცი და სულერთია, მაინც ვერაფერს გავიგებო. ცხადია, არც მე ვიცი და ეგებ მართლა ვერც ვერასოდეს ვერაფერი გავიგო, მაგრამ მე მაინც მინდა ვიცოდე! მინდა და მორჩა!

და აი, ასე, ამ ბრძოლაში გადის ჩემი ცხოვრება, ამ იდუმალებასთან, ამოუცნობთან ბრძოლაში ილევა ჩემი



დღენი და თუმცა კი იმედი არცა მაქვს, ოდესმე თუ ჩავწვდები ამ საიდუმლოს, ჩემი მასულდგმულებელი და მანუგეშებელი მაინც ეს ბრძოლაა. დიახ, ბრძოლაა ჩემი ერთადერთი იმედი, უკვე იმასაც შევეგუე, რომ ვეძიო იმედი თვით უიმედობაში; დაე ნუ აყაყანდებიან უბირები და ჩიტირეკიები ეს ხომ პარადოქსიაო!

არ მახსენდება არცერთი კულტურული ადამიანი, ვისაც ეს პრობლემა არ აფიქრებდეს, თუმცა არც თუ დიდი იმედი მაქვს კულტურისა - კულტურა და ცივილიზაცია ხომ ერთი და იგივე მაინც არ არის, - დიდი იმედი არა მაქვს-მეთქი იმათი, ვინც ისე ცხოვრობს, ეს პრობლემა მეტაფიზიკური თვალსაზრისით რომ არ აინტერესებდეს და მარტო ერთ, სოციალურსა თუ პოლიტიკურ ასპექტში განიხილავდეს; კიდევ უფრო ნაკლები იმედი მაქვს იმ ადამიანებისა, ანდა ხალხისა, ვინც გონებრივი სიზანტის, ზერელობის, მეცნიერებისა და ვინც იცის, კიდევ რამდენი სხვა მიზეზის გამო, სულ არ ზრუნავენ სულის გამდიდრებაზე და ყურსაც არ ათხოვებენ გულის უწყვეტ შფოთვას; არც იმათგან ველოდები რასმე, ვინც ნიადაგ გაიძახის: "ამაზე ფიქრი არც ღირს!" ძალიან ცოტა იმედი მაქვს იმათიც, ვისაც ზეცის და ჯოჯოხეთის ისევ ისე სჯერა, ბავშვობაში რომ გვჯეროდა, ხოლო არავითარი იმედი არა მქვს იმათი, ვინც უბირის თავდაჯერებით ამტკიცებს, "ეს ყველაფერი მითია და ზღაპარი, კაცი რომ მოკვდება, მიწაში ჩაფლავენ და ყველაფერი ამით მთავრდებაო!" და თუ სულ ერთი ბეწო იმედი მაინც მაქვს, ისევ იმათი იმედი მაქვს, ვინც უარყოფით კი უარყოფს, მაგრამ ვერ ისვენებს, ვინც გამუდმებით იბრძვის ჭეშმარიტებისთვის და ამისთვის სიცოცხლესაც არ იშურებს, იბრძვის თვითონ ბრძოლისთვის და არა გამარჯვებისთვის.

მე თავად ნიადაგ იმას ვცდილობდი და ვცდილობ, ავაფორიაქო მოყვასი ჩემი, შევაშფოთო მისი გული და თუ შევძლებ, შიშიც კი აღვუძრა. მე უკვე ვთქვი ჩემს "დონ კიხოტისა და სანჩოს ცხოვრებაში", რომ ეს ჩემი ყველაზე გულწრფელი აღსარებაა. სხვებიც რომ ჩემსავით ეძიებდნენ და იბრძოდნენ, ეგებ ყველა ერთად სულ პაწაწა საიდუმლოს მაინც გამოვტყუებდით უფალს. თუ არადა, ეს ბრძოლა ოდნავ მაინც ხომ გაგვაკეთილშობილებს და სულით აღგვამაღლებს.

ამ ნაშრომის, ამ რელიგიური ნაშრომის გულისთვის, იძულებული გავხდი ჩემს კასტილიურ სოფლებში, კასტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიურად მოლაპარაკე ხალხში თავი ისე წარმომეჩინა, ვითომ ერთი ვინმე უსულგულო, რეგვენი და უკმეხი კაცი ვიყავი, ხანაც ჯიუტი და მოურიგებელი. ამ ხალხს ხომ სულის სიზანტისა და უხალისობის ჭია ღრღნის, კათოლიკური დოგმებისა, თავისუფალი აზროვნებისა თუ მეცნიერებისგან ერთიანად გამოთაყვანებულები არიან. ჩვენს უნიათო ლიტერატურაშიც ძლივს გაიგონებთ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ, აღშფოთების ყვირილს, ჩვენი მწერლებისთვის ასეთი რამ სრულიად უცხოა, რადგან სულ იმის შიში აქვთ, ვაითუ სასაცილო გამოვჩნდეთო, სულ იმის ფიქრში არიან, ვინმემ მასხრად არ აგვიგდოსო, ვინმეს თვალში არ მოვხვდეთო. მე კი ასე ერთი დღეც ვერ გავძლებ, თუ საყვირელია, კიდეც ვიყვირებ, ქცევის წესებს დიდად არ დაგიდევთ. ხოლო ეს კიდევ ერთი მიზეზია, რატომაც არ მწყალობენ ეს ჩვენი ზრდილი, წესიერი, თადარიგიანი, ჭკუადამჯდარი თანამოკალმეები; ის კი არადა, კიდევ დაგარიგებენ, მიგითითებენ, ჭკუას გასწავლიან, ასე და ასე უნდა მოიქცეო. ეს ანარქისტი ლიტერატორები ყველაზე მეტად ვითომ სტილსა და სინტაქსზე რომ ზრუნავენ, თვითონ როგორც უნდა დაარღვიონ რითმისა თუ რიტმის კანონები, თავი მაინც ისე უჭირავთ, თითქოს ასეც იყოს საჭირო, თავიანთ დისჰარმონიასაც ჰარმონიად მოგაჩვენებენ და კიდეც დაგაჯერებენ.

როცა კი რამე მტკენია, კიდეც მიყვირია და მიყვირია საჯაროდ. თუ რამ ფსალმუნები მაქვს ჩემი "პოეზიის" წიგნში, ყველა ჩემი გულიდან ამოხეთქილი ყვირილია. ვფიქრობდი ასე მაინც შევარხევდი სხვათა გულის სიმებს, მაგრამ თუ მათ ასეთი სიმები და მითუმეტეს, მტკივნეული სიმები არ გააჩნიათ, ან თუ გააჩნიათ, ისე აქვთ გახევებული, რომ ვერაფერი შეარხევთ, მაშინ ვერც ჩემი ყვირილი უშველით რამეს, იქნება ისიც კი თქვან, ეს რა პოეზიააო და მისი აკუსტიკის შესწავლასაც კი შეუდგნენ. ეს იმას ჰგავს, შვილის ყვირილის აკუსტიკა შეისწავლოს კაცმა, როცა მის თვალწინ მოულოდნელად უსულოდ დაეცემა მამა, მაგრამ თუ ადამიანს არც გული აქვს და არც მამა ჰყავს, იყოს თავისთვის.

ჩემი "პოეზიის" ფსალმუნები, სხვადასხვა კომპოზიციებთან ერთად, არის კიდეც ჩემი რელიგია, მაგრამ ისინი სიმღერებად გამოვთქვი და არა ლოგიკურად, ანდა რაციონალურად, დიახ, ესაა ჩემი სიმღერა, კარგია თუ ცუდი, მე ასე ვმღერი და ისეთი ხმა მაქვს, რაც უფალმა მომმადლა და ამის მსაჯული თავად ვერ ვიქნები. მაგრამ თუ ვინმე მათში ლოგიკას ან მეთოდს აღმოაჩენს და არა ცხოვრებას, რაკი იქ თვალსაც ვერ მოჰკრავს ვერც ფავნებს, ვერც დრიადებს, სილვანებს, დუმფარებს, აბსენტსა თუ აზნინდას, მწვანე თვალებსა და სხვა ზიზილპიპილებს, ასე თუ ისე მოდერნისტულს, რა გაეწყობა, იყოს ისიც თავისთვის, მისი გულის სიმებს ვერც ვიოლინოს ხემი ააჟღერებს და ვერც ჩაქუჩი შეარხევს.

თუკი რამ არ მომწონს, ისევ და ისევ ჩემი კლასიფიცირებაა და სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე ვიღაც სულით მცონარამ გამაგონოს, "ეს სენიორი ვილა ბრძანდებაო!" ლიბერალები თუ პროგრესისტები შესაძლოა რეაქციონერადაც კი მთვლიან, ან იქნებ მისტიკოსადაც, თუმცა დარწმუნებული ვარ, არც ამისა გაეგებათ რამე, ხოლო მათზე უფრო უარესი კონსერვატორები და რეაქციონერები კი სულიერი ანარქისტის იშვიათ ნიმუშად მიიჩნევენ, და ბოლოს, ყველას ერთად უთუოდ ერთი ახირებული ვინმე ვგონივარ, თავში რომ ჭრიჭინები უჭრიჭინებენ და იმის სურვილი კი აქვს, გამოჩენილი და განსაკუთრებული კაცის სახელი მოიპოვოსო, მაგრამ განა შეიძლება კაცი ამ რეგვენთა აზრებმა დააფრთხოს, თუნდა კონსერვატორები დაარქვით და თუნდა ლიბერალები, ანდა რეაქციონერები.

რაც გინდა იყოს, კაცი მაინც ჯიუტია და რამდენიც გინდა უჩიჩინო, მაინც თავისას იზამს; ასე რომ, ამ კითხვის ავტორი თუ მაინც წაიკითხავს ჩემს პასუხს, ოთხი საათის შეგონების მიუხედავად, კვლავ გაიმეორებს: "კარგი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა დასკვნა გამოიტანეთ?" მეც ავდგები და დასკვნის მაგივრად ვიტყვი, თუ მაინცდამაინც დასკვნა გნებავთ, მოპირდაპირე მაღაზიაში მიბრძანდით, ჩემთან ასეთი საქონელი არ იყიდება-მეთქი. ჩემი ერთადერთი მიზანი იყო, არის და იქნება ის, რომ ჩემი მკითხველი თვითონვე მიხვდეს და შეიგნოს, მე მას არასოდეს შევთავაზებ მზამზარეულ აზრებს. თავად ნიადაგ შფოთიანი და მღელვარე ცხოვრებით რომ ვცხოვრობ, სხვასაც ამასვე ვკარნახობ და ამისკენ ვუბიძგებ, ჭკუას კი არ ვასწავლი?! და თუ მაინც ვყიდი პურს, ყველამ კარგად იცოდეს, რომ ეს მარტო პური როდია, უფრო მეტად საფუარია ან ფერმენტი.

ისეთი მეგობრებიც მომეპოვება, კარგი მეგობრები რომ ჰქვიათ, რომლებიც მირჩევენ, ამ საქმეს მოეშვი და რაიმე ისეთს მოჰკიდე ხელი, რეალური რომ იყოს, რაღაც გარკვეული, კონსტრუქციული, მყარი რომ ერქვასო; ეტყობა, დოგმატური, უნდოდათ ეთქვათ. მე კი ყველას გასაგონად ვაცხადებ, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია, მე მოვითხოვ თავისუფლებას, ჩემს წმინდა თავისუფლებას, დაე, საკუთარ თავს დავუპირისპირდე, თუკი ასეთი რამეც მოხდება. ვერ ვიტყვი, სიკვდილის შემდეგაც შემორჩება თუ არა წლებსა და საუკუნეებს ჩემი ნაშრომნაღვაწი, მაგრამ ის კი დაბეჯითებით ვიცი, ზღვა რომ ღელავს და ტალღები ნაპირს აწყდება, ხანდახან შენელდება, მაგრამ ზღვა მაინც სულ ბორგავს და ახალ-ახალ ტალღებს წარმოქმნის. მაშინ ჩემი ნაფიქრ-ნააზრევიც თუ ერთხანს მიყუჩდა, კვლავ აზავთდება და არ ექნება დასასრული.

განა დიდი სიკეთე და მადლი არ არის, რომ მთვლემარე გამოაფხიზლო, მცონარი შეანჯღრიო, ანდა უდიდესი რელიგიური სათნოება არ არის, რომ მიწყივ ეძიო ჭეშმარიტება და სადაც მოგხვდება, ყველგან და ყოველჟამს ამხილო სიცრუე, სიბრიყვე და უზნეობა!

ასე და ამგვარად, ჩემმა ჩილელმა მეგობარმა უკვე იცის, რა პასუხი უნდა მიაგოს იმ აბეზარ ხალხს, ვინც კვლავაც დაიჩივლებს ჩემი რელიგიის გაუგებრობის თაობაზე, მაგრამ თუკი ერთ ისეთ ბრიყვს მაინც გადააწყდება, ვისაც ჰგონია, ვითომ მე ავი თვალით ვუყურებ ჩემს ხალხს ანდა ჩემს ქვეყანას, როცა მის რომელიმე უბირსა და გონდახშულ შვილზე ამდენს გავყვირი, მაშინ ჯობია, არც არაფერი უპასუხოს.

*სალამანკა, 6 ნოემბერი, 1907*
*"Mi Religion y otros ensayos", 1910*

ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძე

არილი



ვოლფგანგ ბაუერი

# მშვენიერი შორეული სამყარო



ვოლფგანგ ბაუერი დაიბადა 1941 წელს 18 მარტს ქალაქ გრაცში. გამოცემული აქვს მოთხრობების რამდენიმე კრებული, წერს პიესებს, თანამშრომლობს თეატრებთან, განახორციელა რამდენიმე პროექტი რადიოსა და ტელევიზიაში. 1994 წელს მიენიჭა ავსტრიის უმაღლესი სახელმწიფო პრემია. 1989 წელს გამოვიდა მისი ნაწარმოებების შვიდტომეული.

ძვირფასო მეგობარო!

უამრავი საინტერესო რამ მინდა გაუწყო. ვიცი, ხშირად გტანჯავს დეპრესია, მაგრამ ვიმედოვნებ, ჩემი ამბით არ გაგალიზიანებ. ერთი კი მინდა გითხრა, ცხოვრება მაინც მშვენიერია და გასაოცარი. ამჟამად სახლში არ ვიმყოფები, თუმცა ამას თავადაც მიხვდები გამოგზავნილ ბარათზე აღბეჭდილი მისამართის მიხედვით. ფრანც-იოზეფის სახელობის ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მესამე კლასის ოთახში, ფაფუკ საწოლში ვწევარ, თავიდან ფეხებამდე თაბაშირში ვზივარ და ნახევები მადევს, თოვლის პაპას ვგავარ. მხოლოდ აქა-იქ მატყვია ვარდისფერ-წითელი სისხლის ლაქები. ადგომა არ შემიძლია და სარკეშიც არ ჩამიხედავს, მაგრამ ბიძაჩემის ნათქვამით თუ ვიმსჯელებთ, თაბაშირის პლასტიკატს ვგავარ.

ათასგვარი მოტეხილობა მაქვს, თავიც კი დაზიანებული მაქვს, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, რომ ამ პატარა ფრენამ მესამე სართულიდან ვერაფერი დამაკლო. პირიქით! თავს უკეთაც კი ვგრძნობ. ხარბად ვისუნთქავ საავადმყოფოს ჰაერს და ჩემი ოთახიდან დერეფნის ბოლოში პატარა ცისფერ წერტილს ვხედავ. ეს ალბათ მშვენიერი ცა თუა. გაზაფხულია და მე ამას მთელი სხეულით ვგრძნობ. თავს დამტრიალებენ მომხიბვლელი მედდები, მათვალიერებენ გამჭოლი მზერით და ტკბილად მესაუბრებიან. მგონი სწორედ ეს მჭირდებოდა. აქ ყველა ისეთი მეგობრული და თავაზიანია.

ექიმიც ისეთი თავდაჯერებული და მხიარულია. ყოველ ნახევარ საათში ერთხელ შემორბის თავისი ინექციით ხელში. შიგადაშიგ მეხუმრება კიდეც, ხან "პლანერისტს" მეძახის და ხან რას.

საჭმელიც ფანტასტიურია. რამდენიც მინდა იმდენს ვჭამ (განსაკუთრებით მიხარია, როცა ვენური შნიცელი მოაქვთ). მაგრამ მოდი ცოტა ხნით შევეშვათ სიცოცხლით ტკბობას. შენ ალბათ გაინტერესებს, აქ როგორ მოვხვდი, როგორ გადმოვფრინდი ფანჯრიდან.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩემს ძვირფას ცოლთანაა დაკავშირებული. და ეს ამბავი ორი წლის წინათ დაიწყო. ჩემმა გერტრუდამ ჩემივე მეგობარი რიჰარდი შეიყვარა. მთელი ერთი წელიწადი გრძელდებოდა მათი ურთიერთობა, მაგრამ ერთხელაც კი არ გავბრაზებულვარ. თითქოს უხდებოდნენ კიდეც ერთმანეთს: გერტრუდა ქერა, გამხდარი და პატარა, ის კი შავგვრემანი და მხარბეჭიანი. ერთიმეორე ჩოგბურთის კორტებზე გაიცნეს. ამბიციებსა და ინტერესებშიც ჰგავდნენ ერთმანეთს. მათი გაცნობიდან ერთი თვის შემდეგ თავად გერტრუდამ მიამბო ყველაფერი, თან ტიროდა. მე უკვე ვიცოდი, უბრალოდ ვდუმდი, არ მინდოდა უხერხულობაში ჩამეგდო. ძალიან მიყვარს, მაგრამ მორალური საფუძვლებიდან გამომდინარე, შენთან არ მინდა განშორებაო, - მიხსნიდა ის, - ვაჟი გვყავს და მასზე პასუხს ვაგებთო.

ამის თქმა იყო და, თუ კარგად მახსოვს, სიხარულის ცრემლიც კი მომადგა თვალზე. თავადაც არ ვიცი, რა მიხაროდა. რიჰარდი და გერტრუდა საშინლად მტანჯავდნენ თავიანთი გამოუვალი მდგომარეობით. რიჰარდიც ცოლიანი იყო და ეს მათ შეხვედრებს პრობლემებს უქმნიდა. როცა ვკითხე გერტრუდას, რით დაგეხმარო-მეთქი, მთხოვა, კვირაში სამჯერ, იქნებ სახლიდან სადმე გახვიდე ხოლმეო. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, საუკეთესო საშუალება მომეცა, თეატრებსა და კინოებში მევლო. თეატრში კი ვიჯექი, მაგრამ სცენის ნაცვლად, თვალწინ სულ ის ორი მედგა, ერთმანეთს როგორ ეხვეოდნენ, როგორ კრუტუნებდნენ ვნებაატანილები და როგორ ტკბებოდნენ ნეტარების მშვენიერი წუთებით. აღარც თეატრი მინდოდა, აღარც კინო, ცრემლები მახრჩობდა.

კულტურულ-გასართობი მსვლელობების შემდეგ სადმე შევდიოდი დასალევად და მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრები ამ ცხოვრებაზე, ღმერთზე. ხან პარკში შევეხეტებოდი, ვცდილობდი დავმტკბარიყავი ბუნების სიმშვენიერით, მაგრამ რა თავში ვიხლიდი ამ ყველაფერს - ცხოვრება საშინელ ტანჯვად მექცა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთ დღეს გერტრუდა კვლავ ახალი წინადადებით შემომეგება: უნდოდა ჩვენი ვაჟი, პატარა ჰაინცი რომელიმე ბავშვთა თავშესაფარში გაეგზავნა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამაზეც დავთანხმდი. ასე თუ ისე ჰაინცი მაინც თავისთვის, სრულიად მარტო იზრდებოდა. მარტოობისთვის იყო განწირული. და იქნებ იქ უკეთესადაც ყოფილიყო. ჰაინცი, როგორც იქნა, დავითანხმე. თავდაპირველად მოეწონა კიდეც თავშესაფარი.

ერთ დღეს აფრიკიდან მივიღე წერილი. ჰაინცისგან იყო. თავშესაფრიდან იმ შავ კონტინენტზე გაქცეულა. ახალგაზრდობაში მეც ძალიან მინდოდა აფრიკაში გამგზავრება. უკვე ვხედავდი კიდეც აფრიკელ ზანგებს შორის, გარუჯულს, ლომებზე, სპილოებზე მონადირეს. გერტრუდა და რიჰარდიც აღაფრთოვანა ჰაინცის ამ საქციელმა.

დროთა განმავლობაში ჩემი დამოკიდებულებაც გერტრუდასა და რიჰარდის მიმართ კალაპოტში ჩადგა. აღარ მჭირდებოდა მორიდება. შინ როცა მინდოდა მაშინ ვბრუნდებოდი. გამომთვრალნი ხან საწოლშიც კი დამხვედრიან, არანაირ უხერხულობას აღარ ვგრძნობდით. ის კი არა, ჩემთვისაც კი შემოუთავაზებიათ, ჩვენთან ერთად დალიეო. თითქოს უხაროდათ თავიანთი თეატრისთვის მაყურებელი რომ იშოვეს. მეც, რაღა თქმა უნდა, ვერთობოდი ამ ბუნებრივი სანახაობით (ბლოკნოტში ფილოსოფიური დასკვნებიც კი ჩავიწერე ინტიმური ცხოვრების შესახებ).

ერთ დღეს ვიღაცამ დარეკა კარზე. კარი რომ გავაღე, ჩემს წინ პოლიციელი იდგა: "თქვენი ვაჟი მადრიდში იპოვეს, თავი ჩამოუხრჩვიაო", - მაუწყა მან. ბუნებამ მაინც გამოავლინა კანონზომიერების ბასრი ბრჭყალები.

ერთიანად ვკანკალებდი. ინსტინქტურად საძინებელი ოთახისკენ გადავდგი ნაბიჯი, მინდოდა გერტრუდასთვის და რიჰარდისთვისაც მეუწყებინა ეს ამბავი, მაგრამ ხელის შეშლა ვერ გავბედე და სახლიდან გარეთ გამოვვარდი. მზემ თვალები მომჭრა. შეშლილივით დავრბოდი ბარიდან ბარში.

მზის ჩასვლისას დავბრუნდი შინ. მათ საძინებელ ოთახს ვეცი, ორივეს ეძინა. მე ვიღრიალე: "რას ყრიხართ აქ თქვე საცოდავებო. გააღეთ ფანჯრები, შემოუშვით მშვენიერი საღამო". არც განძრეულან. მე კი ბუმბულივით მივფარფატდი ფანჯარასთან, გამოვხსენი და გადავეშვი. გარეთ, მშვენიერ, შორეულ სამყაროში გადავფრინდი.

ძვირფასო მეგობარო, ვიმედოვნებ, თავი არ შეგაწყინე.

სამწუხაროდ, უნდა დავამთავრო. ექიმი მოვიდა, ნემსის გაკეთების დროა.

გეხვევა და გკოცნის შენი მეგობარი მანფრედი.

გერმანულიდან თარგმნა **მაია მირიანაშვილმა**

"არილის" დღევანდელი პერსონა იორგოს სეფერისია. იგი 1900 წელს დაიბადა. მისი ნამდვილი გვარია სეფერიადისი. სწავლობდა სამართალს ათენში და პარიზში. 1926 წლიდან დიპლომატიურ საქმიანობას მიჰყო ხელი - ჯერ კონსულად, შემდეგ კი ელჩად მუშაობდა ინგლისში, ალბანეთში, თურქეთში, ლიბანში. 1941-45 წლებში სეფერისი ემიგრაციაშია, ცხოვრობს ეგვიპტეში და სამხრეთ აფრიკაში. 1963 წელს დაჯილდოვდა ნობელის პრემიით. გარდაიცვალა 1971 წელს. ვთავაზობთ ორ პოემას ბრწყინვალე ბერძენი პოეტის ბოლო წიგნიდან და 1963 წელს, შვედეთის აკადემიაში წაკითხულ ცნობილ ლექციას.

**იორგოს სეფერისი**



# ახალბერძნული ტრადიციის საზღვრები

## შვედეთის აკადემიაში, ნობელის პრემიის გადაცემისას წარმოთქმული სიტყვა. (1963, 11 დეკემბერი)

...ჩვენი ენობრივი პრობლემები იმ დროის პირმშოა, როცა ატიკური შედევრებით მონუსხულმა ალექსანდრიელმა ფილოლოგებმა წერის მკაცრი წესების შემუშავება დაიწყეს, ანუ სხვა სიტყვებით, პურიზმს დაუდეს სათავე და დაივიწყეს, რომ ენა ცოცხალი, მზარდი ორგანიზმია. ასეთ "მოძღვართა" რჩევებმა იმდენად დიდი გავლენა იქონიეს, რომ პურისტების ახალ-ახალი თაობა შვეს და ისინი დღესაც ბევრნი არიან. ეს ადამიანები წარმოადგენენ ერთ-ერთ მიმდინარეობას ბერძნული ენისა და ტრადიციის განვითარებაში.

მეორე მიმდინარეობა - რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში აგდებით უყურებდნენ - ხალხური, ზეპირი ტრადიციაა. მახსოვს, როგორ გამაოგნა II საუკუნის პაპირუსმა - ვიღაც მეზღვაურის მიერ მამისადმი გაგზავნილმა წერილმა. ენის თანამედროვეობით გაოცებულს გული დამწყდა, რომ ადამიანურ გრძნობათა მთელი სიმდიდრე საუკუნეების განმავლობაში რეგლამენტირებული მჭევრმეტყველების ქვეშ იყო დაფარუ-



დომინიკოს სოლომოსი

ლი. ცნობილია, რომ სახარებაც სახალხო ენითაა ჩაწერილი. მოციქულები ცდილობდნენ, გასაგები ყოფილიყვნენ, რათა ადვილად გაეკვლიათ გზა მათი გულებისკენ და ამიტომაც ორმაგად გულდასაწყვეტია, როცა ადამიანები წარმოუდგენელ წინდაუხედაობას იჩენენ: გავიხსენოთ ათენში, გასული საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები, როცა უფლის სიტყვათა თარგმანს კრძალავდნენ, მოითხოვდნენ, რომ სახარება არ ეთარგმნათ თანამედროვე ენაზე.

თუმცა მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ეს ორი მიმდინარეობა ლამის ბიზანტიის დაცემამდე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა. მეცნიერები თავიანთ ნაწერს რთული რიტორიკული ფიგურებით ამკობდნენ, მდაბიონი კი სწავლულთა მიმართ მოწიწების მიუხედავად, გამოხატვის თავისებური მანერის ერთგულები რჩებოდნენ. არ შევეცდები ვამტკიცო, რომ ეს მიმდინარეობები ბიზანტიაში არასდროს დაახლოვებულან. ასეთი ტენდენცია პალეოლოგთა მმართველობის უკანასკნელი პერიოდის ფრესკებსა და მოზაიკებში იგრძნობა. მოცემულ შემთხვევაში იმპერიული ტრადიციისა და პროვინციული, სახალხო შემოქმედების შერწყმა საოცრად უწყობდა ხელს ხელოვნების განახლებას.

კონსტანტინოპოლის დაცემას წინ ხანგრძლივი აგონია უძღოდა. როცა ბოლოს და ბოლოს, კონსტანტინოპოლი დაეცა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მონობის ხანაც დაიწყო. უამრავი მეცნიერი კი, ვინც პოეტის სიტყვით, "წინაპართა ნეშტით სავსე უზარმაზარი ურნებით იყვნენ დამძიმებულნი", დასავლეთით გაემართნენ, რათა სათავე დაედოთ ახალი მოვლენისთვის, სახელად რენესანსი. თუმცა - საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ - ჩვენმა ხალხმა არაფერი უწყოდა აღორძინებისა (ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, გადასვლა შუასაუკუნეებიდან ახალი დროებისკენ). მხოლოდ რამდენიმე კუნძული ჩაერთო ამ მოვლენებში - უპირველეს ყოვლისა კი კრეტა, რომელიც მაშინ ვენეციელებს ეპყრათ. დაახლოებით XVI საუკუნეში სწორედ იქ ჩაისახა პოეზია და პოეტური თეატრი, რომელსაც საფუძვლად საოცრად ცოცხალი, სალაპარაკო ენა ედო. გავიხსენოთ, რომ იმავე საუკუნეს დაემთხვა კრეტული ფერწერის აყვავება, რის საუკეთესო მაგალითადაც დიდი კრეტელის, დომენიკოს თეოტოკოპულოსის, ანუ ელ გრეკოს შემოქმედება წარმოგვიდგება.

1204 წელს ჯვაროსნების მიერ მიყენებული დარტყმის შემდეგ კონსტანტინოპოლი უკვე განწირული იყო. იგი სულს ღაფავდა, კრეტა კი პირიქით, ყვაოდა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, სევდითა და ერთგვარი ღვთისმოსაობით თავი დავხაროთ იმ ხვედრის წინაშე, რომელიც ამ ბერძნულ კუნძულს ერგო წილად. მისი ბინადრები ხომ დიდი მონდომებით ამზადებდნენ ნიადაგს მომავალი განახლებისთვის, მაგრამ ყველაფერი მათ მიერ შექმნილი ისტორიის ქარმა გაფანტა. ამასთან დაკავშირებით პოეტ კალვოსის სიტყვები მახსენდება, გენერალ ლაფაიეტს რომ მისწერა: "დავრჩით ღმერთის და ჩვენი უიმედობის ამარა"-ო.

და მაინც, კრეტული კულტურული განახლების გავლენა XVII საუკუნის შუა ხანებამდე იგრძნობოდა, როცა კრეტიდან ლტოლვილნი იონიის კუნძულებს და სხვა მიწებს მიაწყდნენ და თან "წამოიღეს" მეხსიერებაში აღბეჭდილი ლექსები, რომელიც ადვილად შეეგუა ახალ პირობებს. კრეტულმა პოეზიამ გავლენა მოახდინა კონტინენტალური საბერძნეთის სასიმღერო ფოლკლორზე, რომელიც, როგორც ხალხური თქმულებები, თაობიდან თაობაში გადადიოდა. ზოგიერთი სიმღერა (გარკვეული ნიშნით) წარმართობის ხანას ეკუთვნის, ზოგი კი ბიზანტიის ეპოქას, თუმცა, ისინი მრავალი საუკუნის განმავლობაში იცვლიდნენ ფორმას. ხალხური სიმღერები მოწმობენ, რომ ადამიანების დამოკიდებულება შრომასთან, სიკვდილთან, სიყვარულთან, ასევე სიხარულისა და მწუხარების მიზეზები ეპოქებზე არაა დამოკიდებული. უძველეს ადამიანურ გრძნობათა ასე ცოცხლად გამოხატვა კი უცვლელი ბერძნული მენტალიტეტის საბუთად გამოდგება.

ბერძნული პოეზიის უახლეს ისტორიაში არაერთი საყურადღებო პიროვნება მოიძებნება და მოულოდნელი გარდატეხებიც ხშირია ხოლმე. მეზღვაური, გლეხი და მემარი ხალხის პოეზიისთვის სათავე თითქოს უხეში და გულუბრყვილო გრძნობების მეხოტბეს უნდა დაედო. მაგრამ ყველაფერი პირიქით კი გამოვიდა. ეს მისია სრულყოფილებისკენ ლტოლვით ანთებულმა ადამიანმა იკისრა. დიონისიოს სოლომოსი კუნძულ ძაკინთოსზე დაიბადა. აქვე დავაზუსტებ, რომ იმ დროს იონიური კუნძულები კულტურული თვალსაზრისით წინ უსწრებდნენ კონტინენტურ საბერძნეთს. სოლომოსი იტალიაში სწავლობდა. იგი ევროპელი იყო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. შესანიშნავად ერკვეოდა მისი თანამედროვე პოეზიის ყველა ნიუანსში. სოლომოსს შეეძლო იტალიელი პოეტიც გამხდარიყო. მის იტალიურ ლექსებს აუარება თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ მაინც მშობლიურ ენაზე წერა ამჯობინა.

სოლომოსი, რა თქმა უნდა, იცნობდა კრეტელი ლტოლვილების მიერ მოტანილ პოეზიას. იგი ხალხურ ენას იცავდა და პურიზმს უპირისპირდებოდა. თავისი შეხედულებები ამის თაობაზე სოლომოსმა წარმოადგინა ერთ ნაშრომში, სახელად "პოეტისა და მეცნიერი პედანტის დიალოგი". იგია ასევე "თავისუფლების ჰიმნის" ავტორი, რომელიც ჩვენს პირველ ეროვნულ ჰიმნად იქცა. კიდევ რამდენიმე მისი ლექსი იქცა სიმღერად, მთელი გასული საუკუნის მანძილზე რომ მღეროდა ხალხი, თუმცა ამით როდი განისაზღვრება სოლომოსის კულტურული მნიშვნელობა. მისი მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ პოეტმა - რამდენადაც ამის საშუალებას ეპოქა აძლევდა - ბერძნული ენის განვითარების გზები დასახა. ხალხურ მეტყველებაზე შეყვარებულ სოლომოსს ეს საერო ენა პოეზიის სიმაღლემდე აჰყავდა.



კოსტის პალამასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოუდგენელი იყო, რომ ეს უზარმაზარი სამუშაო ერთ ადამიანს ეკისრა. სოლომოსის მთავარი ქმნილებებიდან (როგორც, მაგალითად, პოემიდან "თავისუფალი ალყაშემორტყმულნი", რომელიც პოეტს მესოლონგის ალყამ შთააგონა) მხოლოდ ფრაგმენტები დარჩა, ნამსხვრევი იმ ძვირფასი ქვისა, რომელიც პოეტთან ერთად დაიმარხა. მხოლოდ ფრაგმენტებით თუ ვიმსჯელებთ, ამ დიადი სულის ტანჯვათა შესახებ, სულისა, რომელიც მუდამ მშვილდის ლარივით იყო დაჭიმული. ბერძენ მწერალთა მრავალმა თაობამ კეთილსინდისიერად შეისწავლა ეს ფრაგმენტები. სოლომისი 1857 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მხოლოდ 1927 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი "ძაკინთოსელი ქალი", რომელმაც დიდ პოეტს დიდი პროზაიკოსის სახელიც მოუტანა. ამ ბრწყინვალე პროზამ მთლიანად შეძრა ჩვენი ცნობიერება, რადგანაც ბედის წყალობით, გარდაცვალებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ სოლომისი თავის შორეულ შთამომავალთა ტკივილებს გამოეხმაურა. იგი განწირული იყო, საფუძველი ჩაეყარა ბერძნული პოეზიისთვის.

* * *

სოლომოსის თანამედროვე ანდრეოს კალვოსი ყველაზე მარტოსული შემოქმედია მთელ ბერძნულ ლიტერატურაში. ჩვენამდე მის არც ერთ პორტრეტს არ მოუღწევია. კალვოსისა და იტალიელი პოეტის, უგო ფოსკოლოს ხანმოკლე მეგობრობა განხეთქილებით დამთავრდა. დაიბადა კუნძულ ძაკინთოსზე და მრავალი წელი კორფუზე გაატარა, ასე რომ, იგი პირადად არც იცნობდა სოლომოსს. თხელი წიგნის ოცდაათი წლისამ რომ გამოსცა ავტორმა, ოცამდე ოდას მოიცავდა - აი, სულ ეს არის, რაც კალვოსისგან დარჩა. სიყმაწვილეში იგი ბევრს მოგზაურობდა: მოიარა იტალია, შვედეთი და ინგლისი.

ეს ამაყი ადამიანი XVIII საუკუნის მაღალი ზნეობრივი იდეალებით ცხოვრობდა, ებრძოდა ტირანიას. კალვოსის შემოქმედებას მისი სამშობლოს დიადი და მოწამეობრივი ხვედრი ასაზრდოებდა. კალვოსის პოეზია იმითაა გულში ჩამწვდომი, რომ მის სულში დედისადმი სიყვარული (რომელიც პოეტის ბავშვობისას გარდაიცვალა) სამშობლოს სიყვარულს შეერწყა. მისი ლექსების ენა ძალზე დამუხტულია, რიტმი კი ცვალებადი, უსწორმასწორო. იგი კლასიკისკენ ილტვოდა და არ მოსწონდა "კრეტული სილაბური ლექსის მონოტონურობა", რომელმაც ამდენი რამ შესძინა სოლომოსის ლექსს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ცოცხალი და გამოკვეთილი სახეები თითქოს შიგნიდან ათბობს მის პოეზიას.

კორფუზე მრავალწლიანი განდეგილობის შემდეგ (რომელიც მან თვითგანათლებას მიუძღვნა), კალვოსი სამუდამოდ ტოვებს იონიის კუნძულებს და ინგლისში გადადის საცხოვრებლად. ლონდონში იგი მეორეჯერ დაქორწინდა და მალე მეუღლესთან ერთად გოგონათა პანსიონიც გახსნა პროვინციულ ქალაქში. იქ გაატარა მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი თოთხმეტი წელი, გაწყვიტა ყველანაირი კავშირი საბერძნეთთან. მე წილად მხვდა ბედნიერება, მემოგზაურა იმ მხარეში, სადაც იგი ცხოვრობდა. ერთმა მოხუცმა, ვინც კარგად იცოდა იქაური ისტორია, მიამბო, რომ ოდესღაც იცნობდა 80 წლის ქალბატონს, რომელიც ყმაწვილობისას კალვოსის მოსწავლე ყოფილა. იგი უზარმაზარი პატივისცემით იხსენებდა თავის მასწავლებელს.

* * *

კალვოსის შემოქმედება მალე დაივიწყეს. ეს გასაგებიცაა, თუკი გავითვალისწინებთ პირობებს, სადაც წმინდა მწიგნობრული, რომანტიკული რიტორიკა თარეშობდა. არადა, მაშინ მთელი ათენი მოეცვა ამ ტალღას. კალვოსის პოეზია 1890 წელს ახლიდან აღმოაჩინა კოსტას პალამასმა. იგი ზუსტად დაემთხვა ეროვნული აღმავლობის ხანას, როცა ბერძენმა ახალგაზრდობამ თანამედროვე ენის განმტკიცებისათვის ბრძოლა წამოიწყო. შესაძლოა ეს მრავალწლიანი ბრძოლა ზედმეტი გაცხარებით მიმდინარეობდა, საუბარი ხომ მარტო ლიტერატურას არ ეხებოდა. ახალგაზრდები ცხოვრების ყველა სფეროს გათანამედროვეობისკენ ისწრაფვოდნენ, უარყოფდნენ სახალხო განათლების არსებულ სისტემას, ისევე როგორც ჩვენს სხვა ინსტიტუციებს, ანგრევდნენ ყველანაირ დოგმას. რა თქმა უნდა, ისინი უარს არ ამბობდნენ



კონსტანტინოს კავაფისი

კლასიკურ მემკვიდრეობაზე, თუმცა ცდილობდნენ ცოცხალი ხალხური ტრადიციით შეევსოთ იგი: რას წარმოვადგენთ ახლა, ჩვენი არსებობის მოცემულ მომენტში? აი, მათი მთავარი კითხვა. მოძრაობაში მეცნიერები და სკოლის მასწავლებლებიც ჩაერთვნენ. იმ პერიოდშივე გამოვიდა პირველი სერიოზული ნაშრომები ბერძნული ფოლკლორის შესახებ.

კოსტას პალამასი ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ახალგაზრდობისას მქონდა ბედნიერება მის ერთ-ერთ საჯარო ლექციას დავსწრებოდი. პალამასი სწორედ ამ ლექციაზე ვნახე პირველად: ეს უღონო მოხუცი განცვიფრებდა თავისი უკიდეგანო მზერით, შეხედულებათა სიღრმით და ჩახლეჩილი, ძალზე ინტონირებული ხმით. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მრავალფეროვანია, პალამასის ნაწერები ათეული წლების მანძილზე განსაზღვრავდნენ საბერძნეთის ლიტერატურულ ცხოვრებას. იგი ყველა პოეტურ ჟანრში მუშაობდა - ლირიკულში, ეპიკურში, სატირულში და ამასთანავე გამჭრიახი კრიტიკოსიც იყო, შესანიშნავად იცნობდა უცხოურ ლიტერატურას, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საბერძნეთი ყოველთვის რჩებოდა კულტურათა გზაჯვარედინად და პლატონიდან და ჰეროდოტედან მოყოლებული ყოველთვის მონაწილეობდა მსოფლიოს კულტურულ პროცესებში - განსაკუთრებით კი თავისი აყვავების პერიოდებში.

რა თქმა უნდა, პალამასს არაერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ხშირად მიმბაძველთა შორისაც. ეს ადამიანი მძლავრ სტიქიად წარმომიდგება, ვისი ძალმოსილების წინაშეც ნებისმიერი კრიტიკა ძალას ჰკარგავს. თითქოს პურიზმის ათასწლეულების მანძილზე დაგროვილმა ჩახშულმა ძალამ ერთბაშად გაარღვია ჯებირები. დიახ, ამ ნაკადმა უხვად მორწყა მზით გადამწვარი დაბლობი, მაგრამ ნუ გვექნება იმის იმედი, რომ აქ მხოლოდ ყვავილები გაიზრდება. პალამასმა ღრმად შეისწავლა ჩვენი ტრადიცია მთელი თავისი სისავსით - ანტიკური, ბიზანტიური თუ ახალი. მისი სული მთელ დაფარულ სამყაროს მოიცავდა და მან ამ სამყაროს თავისუფლება მიანიჭა. შესაძლოა მისი სულის სამყარო ზედმეტად ხვავრიელი იყო, თუმცა სწორედ პალამასის ლტოლვამ თავისუფლებისკენ უბიძგა 1943 წელს მის დაკრძალვაზე შეკრებილ ხალხს, რათა ოკუპანტების მუქარის მიუხედავად, ერთხმად ემღერათ საკუთარი ეროვნული ჰიმნი - "ჰიმნი თავისუფლებას".

* * *

ასორმოცდათოთხმეტი ლექსი წარმოადგენს კონსტანტინოს კავაფისის შემოქმედებით მემკვიდრეობას; მისთვის ნიმუშს სულ სხვა პოეტები წარმოადგენდნენ, განსხვავებით



ანგელოს სიკელიანოსი

მათგან, ვინც პალმასის შთაგონების წყაროდ იქცნენ.

იგი ელინისტური ტრადიციის მიმდევარი იყო, ტრადიციისა, რომელიც იმ დროს ასე ჰყვაოდა ეგვიპტეში, დღეს კი ჩვენთან თითქმის მთლიანად მივიწყებულია და კავაფისმაც ხომ - რამდენიმე ხანმოკლე პერიოდს თუ არ ჩავთვლით - მთელი თავისი ცხოვრება მშობლიურ ალექსანდრიაში გაატარა.

კავაფისის შემოქმედების თავისებურება თვითშეზღუდვასა და ისტორიის განსაკუთრებულ შეგრძნებაში გამოიხატება. ისტორიულ მოვლენებში იგი წარსულს კი არა, აწმყოს ხედავდა, მის დრამებსა და ტრაგედიებს. მე კავაფისს ჰომეროსისეულ პროტევს შევადარიდი, პროტევს ალექსანდრიის სანაპიროდან, რომელსაც ნებისმიერი გარეგნობით შეეძლო წარმდგარიყო მნახველის წინაშე. სოლომოსისგან და პალამასისგან განსხვავებით, იგი უეჭველად აკადემიური ტრადიციის მემკვიდრედ უნდა მივიჩნიოთ. თუკი მათი შთაგონების წყარო ხალხური სიმღერები და თქმულებები იყო, კავაფისი ამჯობინებდა პლუტარქესთვის ან ანონიმური ქრონოგრაფოსებისთვის მიემართა, პტოლემაიოსებისა და სელევკიდებისდროინდელი ისტორიული მოვლენები ან ანეკდოტები გამოეყენებინა. კავაფისის პოეტური მეტყველება მისი ოჯახის გავლენით ჩამოყალიბდა, ისინი კონსტანტინოპოლიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. მისმა ლექსებმა ალექსანდრიელი ქუჩების ცოცხალი ხმებიც გაითავისა. იგი სრულუფლებიანი მოქალაქე იყო.

კავაფისისთვის განსაკუთრებით აზლობელი იყო გარდამავალი ეპოქები, როცა ყალიბდებოდა ზნე და რწმენა. მისი ლექსების გმირთა უმრავლესობა ნახევრადქრისტიანი, ნახევრადწარმართები არიან, ან ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული უბნებისა და რაიონების ბინადრები, "სირიელ-ბერძენ-სომეხ-მიდიელები", როგორც თავად იგი იტყოდა.

საკმარისია ცოტათი გავშინაურდეთ მის პოეტურ სამყაროში და მყისვე გაგვიჩნდება კითხვა: ეს წარსულში ჩაპირქვავებული თანამედროვეობაა, თუ პირიქით - ისტორიის ძლიერი შემოჭრა ჩვენს ყოველდღიურობაში? ამ ბუნდოვან სამყაროს პოეტმა სისხლსავსე ცხოვრება მიანიჭა. მისმა მეგობარმა, ე.მ.ფორსტერმა როგორღაც გადმოგვცა კავაფისის განცვიფრებული შეძახილი, როცა პირველად მოისმინა თავისი ლექსები ინგლისურად, ფორსტერის თარგმანში: "But you understand, my dear Forster, you understand!" ("ე.ი. თქვენ მიხვდით, ძვირფასო ფორსტერ, მიხვდით!").

მას შემდეგ კავაფისი ბევრჯერ თარგმნეს სხვადასხვა ენაზე და აუარება კომენტარიც დაურთეს. საკმარისია იალმარ გულბერგი გავიხსენოთ, ჭეშმარიტი პოეტი და ღრმა ელინისტი, ვისი წყალობით კავაფისმა შვედურადაც გაიჟღერა.

* * *

ზემოთქმულის მიუხედავად, არსებობს ბერძნული კულტურის სფეროები, რომლებიც არ ესმით უცხოელებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ანგელოს სიკელიანოსი. მე კარგად ვიცნობდი ამ პოეტს. შეუძლებელია დაგავიწყდეს მისი მჭექარე ხმა თავისი ლექსების კითხვისას.სიკელიანოსში უძველესი ბარდის პომპეზურობა და გლეხური სიმღერების მოკრძალებულობა ერთმანეთს ერწყმოდა. იგი ყველას უყვარდა. გლეხები მას მხოლოდ სახელით უხმობდნენ, თავისიანად აღიარებდნენ. სიკელიანოსის პოეზიაში პარნასული მწყემსის მეტყველება და ყოფა ადვილად ეგუებოდა იმ წმინდა, საკრალურ სამყაროს, სადაც იგი სახლობდა.

სიკელიანოსი ღვთაებრივი ძალით იყო აღსავსე, მნიშვნელობა არ ჰქონდა ღმერთს აპოლონს უწოდებდა, დიონისეს თუ ქრისტეს. პოეტმა, რომელიც ასეთი ვნებით მოგვიწოდებდა ადამიანისა და სამყაროს განახლებისაკენ, იმავდროულად ასეთი სიტყვები წარმოთქვა: "სიკვდილი - ერთადერთი ხერხია". სიკელიანოსს ესმოდა, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთ მთლიანობას წარმოადგენდნენ, მედლის ორ მხარეს. მე ყოველთვის ვრწმუნდები მის სიმართლეში, როცა საბერძნეთში მიწევს ხოლმე მოგზაურობა. სიკელიანოსი წლების მანძილზე მძიმედ იყო ავად, მაგრამ ძალა, რომლითაც იგი იყო აღსავსე, სიკვდილამდე მასთან დარჩა. ერთხელ გული წაუვიდა და რომ მოვასულიერეთ, მითხრა: "აბსოლუტურ უკუნში ვიყავი და ასეთი მშვენიერება არასდროს მინახავს"-ო.

* * *

ჩემი მოკლე ისტორიული ექსკურსის დასასრულ მინდა ვახსენო მწერალი, ვინც მუდამ მახსოვს. ეს ადამიანი ყველაზე უიმედო წუთებშიც კი გვერდში მედგა. ჩვენს ქვეყანაში იგი გამონაკლისს წარმოადგენს, ეს ადამიანი არაა ინტელექტუალი. მაგრამ წმინდა აზრი ხომ ცხოვრების შენაკადს მოითხოვს, ისევე როგორც მიცვალებულთა აჩრდილებს ესაჭიროებათ ცოცხალი სისხლი, რათა ხმა გასცენ ოდისევსს. მან წერა-კითხვა ოცდათხუთმეტი წლისამ ისწავლა, სპეციალურად იმისათვის, რათა თავისი მოგონებები გადმოეცა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის შესახებ, იმ ომის შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა. ამ მწერალს იოანე მაკრიანისი ჰქვია. იგი შეიძლება ძველბერძნულ ზეთისხილს შევადაროთ, რომლის ყლორტიც ბუნებრივ სტიქიათა ზეწოლის კვალს ინახავს - და სწორედ ამიტომაც, იგი სიბრძნესთან გვაზიარებს. მაკრიანისის შემოქმედება თითქოს ასევე ინახავს დროთა ქარიშხლების კვალს, მრავალი თაობის სულიერი ცხოვრების ანაბეჭდს.

იგი XVIII საუკუნის დასასრულს დაიბადა კონტინენტურ საბერძნეთში, დელფოსის მახლობლად. მაკრიანისი მოგვიყვა, რომ დედას წინასამშობიარო ტკივილები მაშინ დაეწყო, როცა ფიჩხის შესაგროვებლად იყო წასული და იგი თურმე პირდაპირ ტყეში დაბადებულა.

ეს კაცი არ წერდა ლექსებს, მაგრამ სიმღერა ცხოვრობდა მის სულში, ისევე როგორც ყველა ბერძენის სულში. ერთხელ მაკრიანისს ფრანგი ესტუმრა. "სუფრაზე სტუმარმა - მოგვითხრობს მაკრიანისი, - მთხოვა ხალხური სიმღერები მემღერა და მეც, რა თქმა უნდა, იქვე გამოვუცხვე რამდენიმე ახალი ლექსი".

წერის მისეული მანერა განსაკუთრებულია. მაკრიანისის ნაწარმოებები კედელს გვაგონებს, სადაც ქვები ზუსტად არიან ჩამჯდარი ერთმანეთში: ყოველი სიტყვა ფუნქციონალურია და თავის ადგილასაა გამაგრებული. ზოგჯერ იგი ჰომეროსისეულ ძალას აღწევს. სწორედ მაკრიანისის ქმნილებებმა მაგრძნობინა პროზის გემო.

მაკრიანისის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა. ძველი ჭრილობები აუტანელ ტკივილს აყენებდა. მას დევნიდნენ, დააპატიმრეს კიდეც. შემდეგ იყო სასამართლო და განაჩენი. უიმედობით მოცული, იგი ღმერთს წერდა ეპისტოლეს: "მაგრამ შენ ჩვენი არ გესმის... ვერ გვხედავ..."

ასეთი იყო მისი აღსასრული. მაკრიანისი გასული საუკუნის შუა წლებში გარდაიცვალა. მისი მოგონებები გაიშიფრა და გა-



მარცხნივ: ი. სეფერისი და ლ. დარელი

მოქვეყნდა 1907 წელს. თუმცა გავიდა კიდევ მრავალი წელი, ვიდრე ახალგაზრდები დააფასებდნენ მის ჭეშმარიტ ძალას.

* * *

ამ მწერლის შესახებ იმიტომ მოგიყევით, რომ მისი აჩრდილი შვედეთში გამომგზავრებიდანვე მუდამ თანა მსდევს. მისი წერის მანერა ჩემს სულში შობს იმ ადამიანის ხატს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ხელფეხშეკრული იყო და ბოლოს და ბოლოს, გაარღვია ეს ბორკილები. ტყვეობას მიჩვეული სხეული დიდხანს მოუნდება დავიწყებული ჩვევების გახსენებას.

ჩემი ისტორიული ექსკურსი სრულყოფილი როდია. იძულებული გავხდი, უარი მეთქვა დეტალებზე და ამით სურათი ძალზე გამარტივდა. ალბათ მიკერძოებულიც ვიყავი. არ მიხსენებია დიდი შემოქმედები ადამანდიოს კორაისი ან ალექსანდროს პაპადიამანდისი. სამწუხაროდ, არჩევანის გაკეთება მომიწია, იგი კი ყოველთვის სუბიექტურია ხოლმე.

მართალია, მე მიზნად მქონდა ჩვენი კულტურული განვითარების მხოლოდ რამდენიმე სამანი მომენიშნა, მაგრამ ამ კოლოსების მაღლობლად (ისევე როგორც არაფრით გამორჩეულ ეპოქებში) უცნობი მუშაკების მთელი თაობები იღვწოდნენ, თანდათანობით ითვისებდნენ ბერძნულ მეტყველებას მთელი თავისი სიმდიდრით.

მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო ჩემს ხალხს; არამხოლოდ იმ ბუმბერაზ ადამიანებს, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, არამედ ყველასთვის უცხო ადამიანებსაც, ვისაც ერთადერთი წიგნის კითხვისას ისე ჩაუხრია თავი, თითქოს ხატთან ლოცულობსო; სოფლელ ბალღებს, რომელთაც მრავალი კილომეტრის გავლა უწევთ, სანამ სკოლამდე მიაღწევენ, რათა იქ "კითხვა, ღვთაებრივი მეცნიერება" შეისწავლონ (როგორც ერთ სიმღერაშია). მინდა ჩემი მეგობრის, მაკრიანისის კიდევ ერთი ციტატა მოვიყვანო: "არ თქვა "მე", უნდა თქვა "ჩვენ" - რადგანაც მარტოკაცს არაფრის განხორციელება არ ძალუძს. და ძალიან კარგი, თუკი მაკრიანისი მართალი აღმოჩნდება. მე მჭირდება ეს სოლიდარობა, რადგანაც, უბრალო ბერძენის სულის შეცნობის გარეშე (მთელი თავისი ღირსებებითა და ნაკლით), მე მგონი, მით უმეტეს ვერ შევძლებ დედამიწაზე მცხოვრები სხვა ხალხების გაგებას.

როგორც ჩანს, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა უფრო შორეული წინაპრების შესახებაც. XV საუკუნის განმავლობაში, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, ბერძნებმა თანდათან დაიწყეს კაცობრიობის ზოგადი კულტურული მემკვიდრეობის ათვისება, ინტეგრირდნენ, პირობითად რომ ვთქვათ, ევროპულ კულტურაში. სასიხარულოა, რომ ამდენი ერი ესწრაფვის ჩაწვდეს ჩვენს ყოფას, თუმცა საბერძნეთში ყველაფერი როდი შეიმეცნება სხვა ხალხების მიერ. ჰომეროსი წერდა: "phaos helioio" და ახლაც ეს ფრაზა დაახლოებით ისევე ჟღერს: "phos tou iliou", რაც "მზის სინათლეს" ნიშნავს. ჩემთვის ადვილია ჰომეროსთან დიალოგის გაბმა, უფრო იმიტომ, რომ ეროვნულ სულს ვარ ნაზიარები და არა ნაკითხობის გამო. მე შესანიშნავად ვარჩევ მისი ხმის ყველა ობერტონს, ჩვენ ხომ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, ენას კი არამხოლოდ გონით, არამედ გულითაც წვდები. ათასწლოვანი ევოლუციით დამახინჯებული ჩვენი ენა მაინც საკუთარი თავის ერთგული დარჩა. მასში ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ყოფა აირეკლა; ამიტომაც ძველბერძნული ტექსტები ჩვენთის უფრო ხელმისაწვდომი და გასაგებია, ვიდრე სხვა ხალხებისთვის; საქმე ეთნიკურობაში როდია - მე ვერ ვიტან რასობრივ თეორიებს - არამედ იმაში, რომ ჩვენ იმავე ქვეყანაში ვცხოვრობთ, იმავე ჰაერით ვსუნთქავთ, იმავე მთებს და კლდოვან ნაპირებს გავყურებთ. მე საჭიროდ არ მივიჩნიე დამეზუსტებინა ის თვალსაჩინო ფაქტი, რომ ტრადიცია არ ნიშნავს რუტინულ არსებობას. სწორედ ტრადიციის უნარი, დაარღვიოს ცხოვრების ჩვეული სვლა, მეტყველებს მის ცხოველმყოფელ ძალაზე.

ასევე არაფერი მითქვამს ჩემი თაობის შესახებ, რომელსაც მცირე აზიიდან მილიონნახევარ დევნილთან სულიერი ასიმილაციის უღელის ტარება მოუწია. ჩვენ უნიკალური მოვლენის მომსწრენი გავხდით საბერძნეთის ისტორიაში: წინაპართა მიწას დაუბრუნდნენ დიასპორები, რომლებიც აქამდე გაფანტულები იყვნენ.

ასევე არაფერი მითქვამს შემდგომი თაობის შესახებაც, ვისი ბავშვობა და ყმაწვილობაც უკანასკნელ ომს შეეწირა მსხვერპლად. მას,რა თქმა უნდა, სხვა შეხედულებები და მიზნები აქვს. საბერძნეთი ნელ-ნელა ინდუსტრიალიზდება. სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს ეროვნული კულტურები. მსოფლიო იცვლება. დაჩქარდა ისტორიის მსვლელობაც. ვფიქრობ, თანამედროვე სამყაროს მთავარი მისწრაფებაა უფსკრულში ჩაიხედოს - ადამიანის ბნელ სიღრმეებში თუ სამყაროს მორევში. შეიცვალა დროის შესახებ წარმოდგენაც. ახალგაზრდობა იტანჯება და შფოთავს. ვგრძნობ, რომ მათი საზრუნავი ბევრით არაფრით განსხვავდება ჩვენგან. საბერძნეთის თავისუფლებისთვის მებრძოლი რიგას ფერესი გვასწავლიდა: "ის, ვინც თავისუფლად აზროვნებს, სწორად აზროვნებს". მაგრამ ამავე დროს მინდა ჩვენს ახალგაზრდობას ვუსურვო, არ დაივიწყოს უპსალის უნივერსიტეტის ფრონტონზე მოკვეთილი სიტყვები: "კარგია თავისუფლად აზროვნებდე, მაგრამ უკეთესია სწორად აზროვნებდე".

მე ვამთავრებ. მინდა მადლობა მოგახსენოთ მოთმინებისთვის. ასევე მადლობა მინდა გადაგიხადოთ "შვედური გულუხვობისთვის", რომელმაც საშუალება მომცა თავი ისე მეგრძნო, თითქოს "არავინ" ვარ (იმ გაგებით, რასაც ოდისევსი გულისხმობდა, როცა ციკლოპ პოლიფემეს Outis-ის (არავინ) სახელით გაეცნო) და ამიტომ იდუმალებით მოსილი ცნების, "საბერძნეთის" წიაღში გავთქვეფილიყავი.

ინგლისურიდან თარგმნა **დუდა ხაჩარაძე**



პოეტის კაბინეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იორგოს სეფერისი



### ზამთრის სხივში

1.
ტვინში შრიალებენ
ჟანგიანი თუნუქის ფოთლები.
მბჟუტვარე ტვინში
ტრიალებს ქარბუქი,
მძვინვარე თოლიებს
ფოთლები მისდევენ ფეხდაფეხ.

და გაქვავებულ მოცეკვავეებს
ჰგვანან ხეები.
ტყე განიძარცვა და გაირინდა.

2.
თეთრი წყალმცენარე
ცეცხლში ანთია.
თეთრი როკვით
აივსო მიდამო.
გაქავდნენ ენები ცეცხლის.
თოვლმა დაფარა დედამიწა.

3.
თანამგზავრებმა გზა ამირიეს
სექტანტებით და ტელესკოპებით.
სად მიგვიძღვიან ნეტავ ეს გზები,
მობრდღვიალე დღე
ჯერ არ ჩამქრალა -
გამოქვაბულში ვარდივით ბრწყინავს.
და ზღვა ხმაურობს უმსუბუქესი,
ღმერთის კალთებქვეშ.

4.
შენ აქ წარმოთქვი
ერთი წლის წინათ,
ჩემი არსი სინათლეში ძევსო.
ახლა კი როცა
თვლემა გერევა



და თან შენი გზა
ფსკერზე ემხობა.
ხელებს აცეცებ
კუთხე-კუნჭულში,
რომ მოიძიო შუბი,
რომელმაც
ეგ შენი გული უნდა გაჰკვეთოს
დღის სინათლეზე.



5.
ეს რა მდინარემ გაგვიტაცა.
რა ამღვრეულმა წყალმა წაგვიღო?
ფსკერზე ვართ უკვე,
თავზე თალხი ჩქერი გადაგვდის,
ლერწამი ოდნავ მიმოირხევა.

წაბლის ხის ქვეშ
ჩქამები იქცა მცირე კენჭებად.
და ბავშვები, ეს ონავრები,
ერთმანეთს კენჭებს ესვრიან და
ესიტყვებიან.

6.
ოდნავი ქროლვა, და აღტაცება
მაშინ, როდესაც წიგნს გადაისვრი,
და თან ამოხევ წარსულის ფურცლებს
ან წარმოიდგენ გაშლილ მინდორზე
კენტავრთა ხტომას და შეჩქვიფებას.
ამორძალები ქარივით ქრიან,
აძრულნი ვნებით და სიხარულით.
ნიავი ტოკავს გამთენიისას
და შენ ფიქრობ რომ მზე ამოვიდა.

7.
ცეცხლი ცეცხლისგან განიკურნება.
არა თანდათან და წვეთწვეთობით,
არამედ, უცბად, ანაზდეულად,
თითქოს და ვნება ვნებას შეერწყა
აღინთო მგზნებარე სხივით,
მერე კი გალღვა და მიიძინა.



უმოძრაოა.

ეს ამოოხვრა აღსრულება არ გეგონოთ, -
ჭექაა, გრგვინვა.

### სცენაზე

1.
მზეო, შენც ჩემთან ერთად ტრიალებ,
მაგრამ ეს მაინც არ არის ცეკვა:
ეს სიშიშვლეა,
და სისხლის წვეთვა,
რომელიღაცა ბოროტი ტყისთვის;
და აი -

2.
კვლავაც ჩამოჰკრეს გაბმულად გონგს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად გაჩნდნენ მორბედნი.
მათ არ ველოდი.
მათი ხმები გადამავიწყდა.
ხალასებსა და გულანთებულებს
დიდი კალათა ეჭირათ ხელში,
ნაყოფით სავსე დიდი კალათა.
მე მაკვირვებდა ჩემი ჩურჩული:
მიყვარს, ო, მიყვარს ამფითეატრი!
ნიჟარა კვლავაც გადაივსო და
სცენაზე ჩაქრა კვლავაც სინათლე,
ეს ხომ მზადება არის, ღმერთმანი, -
სახელოვანი მკვლელობისათვის.



3.
შენ რას დაეძებ?
წამომდგარხარ მაგ ნოტიო
ქვეშაგებიდან,
გამოსულხარ აბანოდან,
რომელსაც ავსებს შურისძიება,
და წვეთები დაგცვენია
სუსტი მხრებიდან.
ფეხისგულებქვეშ გიფეთქავს მიწა.
ჰეკატას სამი ძვირფასი სახე
თავისკენ ისევ ისე გიზიდავს.
შენი თვალები
ორად ორი ტრაგიკული ნიჟარაა,
შენი კერტები მუქი ალუბლის კენჭებია, -
თეატრალური რეკვიზიტია,
და ბრწყინავს, ბრწყინავს.
უკვე იქ დგანან.
მონებმა უკვე გამოუტანეს
მჭრელი დანები,
შენ ასვეტილხარ კვიპაროსივით,
ისინი კი ქარქაშიდან
აძრობენ დანებს,
შენსკენ მოდიან,
შენ ყვირიხარ:
"ვისაც უნდა ჩემი განგმირვა
მომიახლოვდეს,
მე ხომ ზღვა ვარ,
ტალღაასხმული.



4.
ზღვა რანაირად გახდა ასეთი,
წლობით ვიცდიდი მე მაღალ მთებში,
ციცინათელებს მოჰქონდათ შუქი,
ახლა კი ველი სანაპიროზე
ადამიანსა და ძე-ხორციელს.

ზღვა ვინ შებღალა?
დელფინმა გაჭრა მძვინვარე ტალღა,
ზვირთებს კვეთავენ თოლიას ფრთები.
აქ ვაგროვებდი
ბრჭყვიალა კენჭებს,
ნიჟარების ხმას
ვაყურადებდი,
დავცურავდი და ვყვინთავდი
წყალში თევზივით.



მე ზღვაოსანმა მოხუცმა მითხრა:
"იქნება მართლაც არაფერი ვარ,
მაგრამ შენ რაც გსურს, ის ვერ გავხდები".

5.
ვის ყურთასმენას მიწვდა ნეტავი
დანის წუილი გასათლელ ქვაზე?
ან ის მხედარი რომელი იყო,
ჩირაღდნით ხელში აქ რომ მოიჭრა?
ხელებს იბანენ, ნელა ცხრებიან,
ვინ მოკლა ბავშვი, ვინ გამოფატრა?
ვინ აღგავა საცხოვრისი მიწისპირისგან?
არავინ არ ჩანს, მხოლოდ კვამლია.
ვინ გარბოდა?
ქვებზე ბორკილთა ჟღერა მომესმა
ამოთხრილია თვალები და
მოწმე კი არ ჩანს.



6.
როდის გაიღებ ხმას,
როდის, როდის?
ჩვენი სიტყვები მრავალ მამათა
პირმშოებს ჰგვანან.
ისინი სისხლით იკვებებიან.
ნაძვები ხომ ინახავენ
ქარის ხატებას,
რომ ჩაიქროლა და მთებს იქით
გადაიკარგა,
ასეთივეა სიტყვათა ხვედრიც, -
ისინი კაცის სახეს მალავენ
ან ინახავენ ულრმეს წიაღში.
კაცი კი გაქრა.
ვარსკვლავები სიტყვებს ეძებენ
შენი სიშიშვლე რომ შემოსეს,
ზოდიაქოებს რომ შეესიტყვნენ,
სად, სად იქნები,
როცა თეატრი გაბრდღვიალდება?



7.
შენ ხარ ნატანჯი
იქ, იმ ნაპირზე
გამოქვაბულის პირქუში მზერა
არ გცილდებოდა.
იქ განიცადე:
სიყვარული,
კვლავაღდგომა,
კვლავამზევება.
იქ, სადაც წუთებს
სტალაგმიტები
ითვლიან უხმოდ.

თარგმნა ბიძინა ანთაძემ

# ცნობიერებაგახლეჩილი ხელისუფლება ანუ რა ცუდია, როცა უფროსებს ზღაპრების არ სჯერათ

ვასილ მაღლაფერიძე

## კორუფციითა შენითა მოიპოვე პური შენი

საქართველოში კორუფცია გასცდა უმწვავეს პრობლემათა კატეგორიას და ყოფნა-არყოფნის საკითხად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც და საქართველოშიც დანაშაულის განსაკუთრებული სახეობის აღსანიშნად ტერმინ "კორუფციას" იყენებენ, რეალურად საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა მოვლენასთან, რომლებიც მასშტაბით და შინაარსით ისევე პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ხვლიკი და ნიანგი.

დასავლეთში კორუფცია მაღალი თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღებას ან "შავი ფულის გათეთრების" მცდელობას ეწოდება. მისი მასშტაბები არ სცილდება გამონაკლისისა და ანომალიის ფარგლებს, მასზე ფაქტობრივად არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა და მოქალაქეთა კეთილდღეობა. იქ კორუფცია, საბოლოოდ, მაინც კრიმინალურ და ზნეობრივ პრობლემად რჩება და მასში მონაწილეობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

პრობლემის გაუბრალოება იქნება, იმასაც კორუფცია ვუწოდოთ, როცა მთელი უწყება გადაქცეულია ფინანსურ პირამიდად, სადაც ქვედა რგოლების მიერ "გაკეთებული" ფული მიემართება ზევით და ზევით, ვიდრე - წვერამდე. ამ პირამიდას ეფუძნება მეორე პირამიდა, რომელიც ხელშეუხებლობის გარანტიას უქმნის პირველს და სანაცვლოდ თავის წილს იღებს. მეორეზე დგას მესამე და ასე შემდეგ...

ასევე არ არის სწორი, კონტრაბანდა ეწოდოს კორუფციული პირამიდების მიერ განხორციელებულ "შავ იმპორტს", რომელიც ყოველდღიურად შემოედინება ეშელონებით, გემებით და ტრაილერებით და მნიშვნელოვნად აღემატება ლეგალურ იმპორტს.

ფაქტობრივად, სახელმწიფოს რეალურ მმართველობით სისტემას და პოლიტიკას სწორედ კორუფციული პირამიდები ქმნიან. ქვეყანა სინამდვილეში ცხოვრობს ამ პირამიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და არა ფორმალურად მიღებული კანონებით, რომელთა უმრავლესობაც არ სრულდება.

არსებულმა ვითარებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ჩვეულებრივი კორუფციის ფარგლებს და, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ეკონომიკური ოკუპაციის სახე მიიღო; სწორედ ოკუპანტის როლში გვევლინება ხელისუფლების წიაღში ჩანერგილი კორუფციული პირამიდა, რომელიც მისთვის მინიჭებულ ძალაუფლებას სახელმწიფოს ეკონომიკური სივრცის საძარცვავად და საკუთარი "შავი" ბიუჯეტის შესავსებად იყენებს.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ყოველგვარი მცდელობა ჰიპერკორუფციის დაძლევის გარეშე საცრით წყლის ზიდვის დაემსგავსება. უძილო ღამეები და დიდი რაოდენობით ენერგიის ხარჯვა შეიძლება ზოგიერთს უქმნის კიდეც საქმის კეთების ილუზიას, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ეს წყლის ნაყვად რჩება, რასაც შედეგად მოჰყვება ერთი და იგივე - დაიგეგმება რეალურად შესაძლებლის ნახევარზე ნაკლები ბიუჯეტი და ისიც არ შესრულდება. არ შესრულდება იმიტომ, რომ მთავრობის ერთი ნახევარი კონტრაბანდის წინააღმდეგ იბრძოლებს, მეორე ნახევარი კი კონტრაბანდის შემოსატანად, ანდა - პირიქით. ასე რომ, არსებული მართველობითი ფორმითა და განლაგებით საერთოდ შეუძლებელია კორუფციასთან ბრძოლა. რომელ ბრძოლაზე შეიძლება საუბარი, როცა, ის, რაც ხელისუფლების ერთ ნაწილს კორუფცია ჰგონია, მეორე ნაწილს ქვეყნის ხსნად მიაჩნია?!

სამაგიეროდ, ხელისუფლებაც და მოსახლეობაც შეთანხმებულია და არავინ დაობს, რომ ქვეყანა უკიდურესად შეავიწროვა კორუფციამ და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, აუცილებელია, მისგან გავთავისუფლდეთ. ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის ესეც დიდი საქმეა.

## იყო და არა იყო რა

ზღაპარში, როცა დევები და ქაჯები სოფელს ძალიან შეავიწროვებენ, გმირები საშველის საძებნელად გზას გაუდგებიან ხოლმე და აუცილებლად მიადგებიან ქვას, რომელსაც აწერია: "მარჯვნივ წახვალ, მოკვდები! მარცხნივ წახვალ, გამდიდრდები!"

მარჯვენა გზა არის ფათერაკებით აღსავსე, იქ ბინადრობენ დევები და ქაჯები, ისინი ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ ადამიანებს. აქეთ წასული პერსონაჟის ამბიცია(!) და მიზანი ისაა, შეებრძოლოს ქაჯებს და ავსულთაგან მიტაცებული ტერიტორიები ადამიანებს დაუბრუნოს. პირად კეთილდღეობას ზღაპრის გმირი მხოლოდ გზის ბოლოს აღწევს, მას შემდეგ, რაც ჯერ სხვებს მოუპოვებს კეთილდღეობას და ქაჯებისგან მოსვენებული ხალხი ბედნიერ ცხოვრებას დაიწყებს.

ზღაპრის მიხედვით სინამდვილეში სწორედ სიკვდილის საფრთხის შემცველი გზა არის ადამიანთა მოდგმის გაგრძელების ერთადერთი მიმართულება.

მარცხნივ წასული კი ქაჯობას ეგუება, რის სანაცვლოდაც ეუფლება ზღაპრულ სასახლეს, აურაცხელ ქონებას და ადამიანის ხორცსაც უსინჯავს გემოს. პირად კეთილდღეობას დახარბებულს ავიწყდება, ვინ არის, საიდან მოვიდა ან სად მიდიოდა და თვითონაც ერთი რიგითი ქაჯი ხდება.

ზღაპრის მიხედვითვე, მარცხენა გზა ადამიანთა მოდგმას აღსასრულს უქადის.

მიმართულების არჩევა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ვინაიდან, სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს, როგორ ხედავს ადამიანი თავის დანიშნულებას ამქვეყნად.

ზღაპრებში, გზაგამყოფ ქვასთან მიმდგარ ღვიძლ ძმებს შორისაც კი უთანხმოება იწყება - ყოყმანობენ, კამათობენ, ზოგჯერ ერთმანეთს სასიკვდილოდაც იმეტებენ (როგორც წესი, უფროსები უმცროსებს), თუმცა, საბოლოოდ მაინც თავთავიანთ გზას ადგებიან; და სწორედ არჩეული მიმართულება წარმოაჩენს პერსონაჟის ჭეშმარიტ ბუნებას.

## კორუფციის კორუფციით დამთრგუნველნი

ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში არ ხდება. საქართველოს ხელისუფლებაც გზაგამყოფ ქვას მიადგა და შესცქერის წარწერას: "მარჯვნივ წახვალ, მოკვდები! მარცხნივ წახვალ, გამდიდრდები!"

ზღაპრის გმირების მსგავსად, აქაც უთანხმოებაა - ერთი ნაწილი ქაჯებთან საბრძოლველად მიიწევს, მეორე ნაწილს ქაჯური ცხოვრება ხიბლავს. ორივე თავისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექაჩება ქვეყანას, მაგრამ ჯერ ვერცერთმა იძალა და ამიტომ მოსახლეობას შუაში მდებარე ქვაზე უწევს თავის ხლა.

განურჩევლად იმისა, კორუფციას დავარქმევთ, ჰიპერკორუფციას თუ ეკონომიკურ ოკუპაციას, მოვლენის გიგანტური მასშტაბიდან გამომდინარე, მის დასამარცხებლად საჭიროა სახელმწიფოში არსებული მთელი ძალაუფლების კონცენტრირება. ამგვარი კონცენტრირების ადგილს კი წარმოადგენს მთავრობა, რომლის ფუნქციაც სწორედ ძალაუფლების გამოყენებაა.

ყოველ ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე იკრიბებიან მინისტრები, დეპარტამენტების თავმჯდომარეები, გუბერნატორები, გენერალური პროკურორი და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირები - ორმოცამდე ადამიანი. პრეზიდენტის და ამ ორმოცი კაცის ხელშია სახელმწიფოში არსებული მთელი უმაღლესი ძალაუფლება და ყველა ბერკეტი.

აქედან გამომდინარე, სწორედ მათ უნდა ხელეწიფებოდეთ კორუფციის დამარცხება. მათაც დაწყებული აქვთ დაუნდობელი ბრძოლა, ოღონდ... ერთმანეთთან.

**ფაქტობრივად, სახელმწიფოს რეალურ მმართველობით სისტემას და პოლიტიკას სწორედ კორუფციული პირამიდები ქმნიან. ქვეყანა სინამდვილეში ცხოვრობს ამ პირამიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და არა ფორმალურად მიღებული კანონებით, რომელთა უმრავლესობაც არ სრულდება.**

თავისთავად, ეს სრულიად ლოგიკური ქმედებაა, რადგან, ყველა ნიშნის მიხედვით, კორუფციული გორდიას კვანძის წვერები სწორედ მთავრობაში უნდა იყოს თავმოყრილი - მაინცდამაინც არც ამაზე დაობს ვინმე. ასე რომ არ იყოს, არც კორუფციასთან ბრძოლა გახდებოდა საჭირო, რადგან კორუფცია გულისხმობს სწორედ უმაღლესი თანამდებობის პირთა მონაწილეობას უკანონო გარიგებებში და არა ჩვეულებრივ მექრთამეობას, რაც, საქართველოში ასევე დიდად პატივსაცემი, მაგრამ მაინც სხვა ტიპის მოვლენაა.

შექმნილია ტრაგიკულად კურიოზული ვითარება - კორუფცია კატასტროფით ემუქრება ქვეყანას, ამიტომ გამოცხადდა მასთან ბრძოლა; თუმცა, სადაც თავმოყრილია ამ ბრძოლისთვის აუცილებელი მთელი ძალაუფლება, კორუფციული პირამიდის მართვაც სწორედ იქიდანვე ხორციელდება.

ამიტომაც, ის სტრუქტურა, რომელიც, წესით, ქვეყანას უნდა მართავდეს, ფაქტობრივად, საკუთარ თავთან ბრძოლის პოლიგონად გადაიქცა... რაც არანაკლები კატასტროფის მომასწავებელია, ვიდრე თავად კორუფცია.

შექმნილი ვითარების ახსნა მთავრობის წევრთა პიროვნული შეუთავსებლობით თავის მოტყუება იქნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გვერდიგვერდ სხედან რადიკალურად აცდენილი მსოფლმხედველობის, ფსიქიკის, ტემპერამენტის და მიზნების მქონე ადამიანები, რომელთაც სრულიად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ადამიანის დანიშნულებაზე, უფლებებზე, თავისუფლებასა და ზნეობაზე; ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, მისი განვითარების გზებზე და იმაზეც კი - რომელია მარჯვენა და რომელი - მარცხენა.

უფრო მეტიც, მთავრობის ერთი ნახევარი სიამოვნებით დაალპობდა ციხეში თავის მეორე ნახევარს.

კაცობრიობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთად თავშეყრილ ადამიანთა ასეთ ჯგუფს არ შეიძლება ეწოდოს ცუდი მთავრობა, მით უმეტეს - კარგი; ამას უბრალოდ არ Hჰქვია მთავრობა. როგორც თხა და მგელი ერთად ვერ იმუშავებენ საკვების დამზადებაზე, ისე ამგვარი კონგლომერატი მთავრობის ფუნქციას ვერ შეასრულებს და ვერ იზრუნებს ქვეყანაზე.

თუმცა, ამ წარმონაქმნსაც აქვს გარკვეული პოლიტიკური ფუნქცია: იგი წარმოადგენს არენას, სადაც ყოველგვარი წესების გარეშე მიმდინარე ბრძოლაში უნდა გაირკვეს, რა გზას დაადგება ქვეყანა - ქაჯობის თუ ქაჯობასთან ბრძოლის.

## მეგობარი მტრები

შეცდომა იქნება მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებისთვის და გამოსავლის დასახვა "ცუდების" "კარგებით" შეცვლაში. მთავრობა მხოლოდ აისბერგის წვერია, რომელიც მიანიშნებს მთლიანად ხელისუფლებაში არსებულ დაპირისპირებებსა და წინააღმდეგობებზე.

პარლამენტშიც ისეთივე დაპირისპირება სუფევს, რაც - მთავრობაში. ერთი ნაწილი მიიწევს მარცხნივ, მეორე - მარჯვნივ და თითოეული არა მხოლოდ მხარს უჭერს აღმასრულებელში წარმოდგენილ კონკრეტულ ჯგუფს, არამედ მასთან ერთად ქმნის რეალურ ერთობას, რომლიც ეფუძნება საერთო მენტალიტეტს, მსოფლმხედველობას, ეკონომიკურ მიზნებს და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ გეგმებს.

თუ დავაკვირდებით, საქართველოში რეალურად ორი პოლიტიკური მიმართულება იკვეთება - ოლიგარქიული და დემოკრატიული.

"ოლიგარქიული" ნიშნავს ავტორიტარულ სახელმწიფო მოწყობას; სისტემას, სადაც ქვეყნის მთელი სიმდიდრე ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელშია, ძალაუფლება კორუფციულ პირამიდებს უპყრიათ და კანონს მხოლოდ მათი ფინანსური ინტერესების დაცვის ფუნქცია ეკისრება.

ოლიგარქებს, მით უმეტეს, ჩვენნაირ პატარა ქვეყანაში, მოსახლეობისგან მითვისებული ქონების მოსახლეობისგანვე დასაცავად აუცილებლად სჭირდებათ გარანტიები და დახმარება გარედან. სწორედ ამიტომაც ამ ჯგუფის საგარეო პოლიტიკა იმთავითვე გულისხმობს საქართველოს გადაქცევას რუსეთის სამხედრო პლაცდარმად და მის პოლიტიკურ სატელიტად გახდომას.

როდესაც საქართველოში მიმდინარეობს დებატები ევროპულ თუ ჩრდილოურ ორიენტაციაზე, სამხედრო ბაზების გაყვანასა და ადამიანის უფლებებზეც კი, ვინ რა მიმართულებას და პოზიციას ირჩევს, ამას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სწორედ მისი უშუალო მიმართება კორუფციასთან.

ხოლო საქართველოში არსებული მეხუთე კოლონის რეალურ ბირთვს და ნამდვილ ძალას წარმოადგენენ სწორედ კორუფციული პირამიდების ნათლიები და არა ათწლეულების მანძილზე მწარედ მოტყუებული, იდეალებდამსხვრეული და შიმშილისაგან გამწარებული მომიტინგე მოხუცი კომუნისტები.

დემოკრატიული მიმართულება გულისხმობს სახელმწიფოში კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, რაც ყოველ მოქალაქეს თანაბრად მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. აქედან გამომდინარე, საგარეო პოლიტიკა და ორიენტაცია მიმართულია ისეთი საერთაშორისო გარანტიების მოპოვებისკენ, რაც არ მისცემს საშუალებას რუსეთს, გადააქციოს საქართველო საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დასაყრდენ დამხმარე ნაგებობად და სამხედრო პლაცდარმად.

ასე რომ, საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას და დამნაშავე ჩინოვნიკთა მხილებას კი არ ნიშნავს, სინამდვილეში კორუფციასთან დამოკიდებულების არჩევა ქართული

სახელმწიფოს წინაშე მდგარი სტრატეგიული საკითხია, რაც დიდი ხნით განსაზღვრავს მდგომარეობას ქვეყნის შიგნით, ფუნქციას დედამიწაზე და, აქედან გამომდინარე, მისი მოსახლეობის პერსპექტივას.

ასეთ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ორი პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენელი ჯგუფი მთავრობაში ერთმანეთს ებრძვის და პარლამენტი გაყოფილია ამ ორი პოლიტიკური მიმართულების მხარდამჭერებად;

მაგრამ, ამავე დროს, არაბუნებრივია, როცა ამ ორი მიმართულების გამმიჯნავი პოლიტიკური ხაზი გადის არა "უმრავლესობას" და "უმცირესობას" ან ფრაქციებს შორის, არამედ უშუალოდ ფრაქციებს კვეთს. სხვადასხვა პროპორციით, მაგრამ თითოეული ფრაქცია ორივე პოლიტიკური მიმართულების მომსახურებას ერთდროულად ეწევა და რამდენადაც ებრძვის, იმდენადვე იცავს კიდეც კორუფციას. ოლიგარქების და დემოკრატების ამგვარი შერწყმა-თანაარსებობა კი ჯერჯერობით უცნობად ტოვებს ძალთა ნამდვილ თანაფარდობას.

## ორხელისუფლებიანობის მსხვერპლი

ფორმალურად პარლამენტი გაყოფილია პრეზიდენტის "უმრავლესობად" და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის "უმცირესობად". "მრეწველთა" ფრაქციის სიმცირის გამო პარლამენტში ძირითად პოლიტიკურ ამინდს სწორედ ეს ორი ჯგუფი ქმნის. მათ შორის არსებული დაპირისპირება გამომდინარეობს არა უმრავლესობისა და ოპოზიციის ტრადიციული ურთიერთობის ლოგიკიდან, არამედ საქართველოში ფაქტობრივად არსებული ორხელისუფლებიანობიდან (რეგიონს აქვს ცენტრისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტირები; აგრეთვე - საკუთარი თავდაცვის დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ერთადერთ შესაძლო აგრესორად მიჩნეულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო სამხედრო მოკავშირედ - რუსეთი; ამასთან, ავტონომიის ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ მოქმედებს ქვეყნის კანონმდებლობა).

აქედან გამომდინარე, პრეზიდენტსა და რეგიონის ხელმძღვანელს შორის არსებობს ჯერჯერობით გადაულახავი წინააღმდეგობები ხელისუფლების როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური დანაწილების საკითხში, რადგან ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობები მნიშვნელოვნად განსხვავდება კონსტიტუციით განსაზღვრულისგან.

გარდა იმისა, რომ პრეზიდენტიც და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენენ ცენტრში და რეგიონში, ამავე დროს, პარლამენტში წარმოდგენილი ორი უმსხვილესი პოლიტიკური გაერთიანების ლიდერებიც არიან, ამიტომაც პარლამენტის უმთავრეს ფუნქციად რჩება დაცვა ამ ორი ლიდერის გადასახედიდან მოაზრებული ქვეყნის ინტერესებისა, რომლებიც, როგორც წესი, ერთმანეთს გამორიცხავენ.

ამგვარი ფაქტობრივი ვითარება კარდინალურად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სულისკვეთებას და მნიშვნელოვნად აფერხებს პარლამენტის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობის განხორციელებას, რაც სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების ზედმიწევნით კონტროლს გულისხმობს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლება ისედაც ძლიერად არის დაცული, პარლამენტს არ შეუძლია მისთვის უნდობლობის გამოცხადება. ერთადერთ ბერკეტად რჩება იმპიჩმენტი და ისიც სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში. თუმცა, იმ ვითარებაში, როცა პარლამენტის ორი უმსხვილესი პოლიტიკური ხელმძღვანელი ამავე დროს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს, ფაქტობრივად გამოდის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თვითონ წარმართავს და თვითონვე აკონტროლებს საკუთარი საქმიანობას.

> არაბუნებრივია, როცა ამ ორი მიმართულების გამმიჯნავი პოლიტიკური ხაზი გადის არა "უმრავლესობას" და "უმცირესობას" ან ფრაქციებს შორის, არამედ უშუალოდ ფრაქციებს კვეთს. სხვადასხვა პროპორციით, მაგრამ თითოეული ფრაქცია ორივე პოლიტიკური მიმართულების მომსახურებას ერთდროულად ეწევა და რამდენადაც ებრძვის, იმდენადვე იცავს კიდეც კორუფციას.

პარლამენტის ამგვარი დაქვემდებარება აღმასრულებლისადმი არ შეესაბამება კონსტიტუციაში ასახულ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, რომლის თანახმადაც პარლამენტმა თავად უნდა განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, სუვერენულად განახორციელოს საკანონმდებლო ფუნქციები და აკონტროლოს აღმასრულებელ ორგანოები.

ამ შეუსაბამობით ირღვევა ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთშეკავებისა და შეწონასწორების პრინციპი, რაც გულისხმობს ერთმანეთის მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, ანტიკონსტიტუციური ქმედებების ან სხვა შეცდომების განეიტრალების შესაძლებლობას.

საბოლოო ჯამში, კონსტიტუციით გათვალისწინებულ სახელმწიფო მოწყობის მოდელსა და ფაქტობრივად არსებულ რეალობას შორის სერიოზული წინააღმდეგობა იქმნება, საიდანაც სათავეს იღებს ყველა პრობლემა; მაგრამ კონსტიტუციით განსაზღვრული მოდელის აუმუშავებლობის მთავარი მიზეზი თავად მოდელშივეა, რადგან იგი არ შეესაბამება ქართულ სინამდვილეს და პოლიტიკურ ტრადიციებს.

საქართველო ფორმალურად არის შეერთებული შტატების მსგავსი საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რაც გულისხმობს საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან აღმასრულებლის მკაცრ კონტროლს. მაგრამ ამის განხორციელებას სჭირდება ამერიკულივე ტრადიცია, რომლის თანახმადაც კანონმდებლები ერთიანნი არიან აღმასრულებლის კონტროლის დროს, განურჩევლად იმისა, ვინ არის კანონდარღვევაში ეჭვმიტანილი. უმრავლესობად და უმცირესობად დაყოფა საკმაოდ პირობითია, თითოეული კანონმდებელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას, ხოლო პარტიულ თუ ფრაქციულ კუთვნილებას თითქმის არ ენიჭება მნიშვნელობა.

იმ პირობებში კი, როცა პარლამენტი გაყოფილია მკვეთრად დაპირისპირებულ უმრავლესობად და უმცირესობად, რომლებიც უშუალოდ მიბმულები არიან თავთავიანთ ლიდერებზე აღმასრულებელი ხელისუფლებიდან და ზუსტად ერთმანეთის საწინააღმდეგო ამოცანების განხორციელებას ცდილობენ, ცხადია, "ამერიკული მოდელი" არ იმუშავებს.

პროცესების განვითარება და გადაწყვეტილებები აქ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სწორედ "აღმასრულებელი" ლიდერების ნებაზე და არა საპარლამენტო ურთიერთობების ლოგიკაზე.

გარკვეულწილად, არსებული ვითარება ქმნის საპარლამენტო მოდელის ილუზიასაც, სადაც ოპოზიცია უპირისპირდება უმრავლესობას და, ამავე დროს, აღმასრულებლის სერიოზულ კონტროლს ახორციელებს, თუმცა მსგავსება მხოლოდ მოჩვენებითია. •

ჯერ ერთი, არსებული მოდელი არ იცნობს მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გუნდური დაკომპლექტების პრინციპს; მეორეც - ჩვენს პარლამენტში ფაქტობრივად რეალური ოპოზიციური ძალა არ არსებობს, ვინაიდან "უმრავლესობა" დაკავშირებულია უმაღლეს ცენტრალურ აღმასრულებელთან, ხოლო "უმცირესობა" ავტონომიის უმაღლეს აღმასრულებელთან ("მრეწველების" ფრაქცია, რომელიც თეორიულად ოპოზიციურობის მოთხოვნას აკმაყოფილებს, მცირერიცხოვნების გამო ჯეროვან ამინდს ვერ ქმნის).

საბოლოოდ იკვეთება საკმაოდ აბსურდული სურათი - ფორმალურად გამოცხადებულია სახელმწიფო მოწყობის ამერიკულის მსგავსი მოდელი, რომელიც მოქმედებს საპარლამენტო მოდელის მსგავსად. ამიტომ არც ერთი ხორციელდება და არც - მეორე, რადგან არ არის დაცული არც ერთი მოდელის ლოგიკა და სულისკვეთება.

## გათიშე და იბატონე

ორი პოლიტიკური ცენტრის არსებობა ანუ ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობა განსაზღვრავს პარლამენტის სახეს და მის ხასიათს. ის მსოფლმხედველობრივი ნიშნით შექმნილ პოლიტიკურ ჯგუფებად კი არ არის დაყოფილი, არამედ გაყოფილია ორ ალტერნატიულ მიკროპარლამენტად, რომლებიც ცალცალკე იმეორებენ ტრადიციული პარლამენტის მოდელს. ორივე გაერთიანებას ჰყავს საკუთარი მემარცხენეები, მემარჯვენეები, ცენტრისტები, ნაციონალისტები და ა.შ.

თუმცა, საქართველოს პარლამენტში თეორიულად ერთ პოლიტიკურ პლატფორმაზე ყოფნა თავისთავად არაფერს ნიშნავს, მთავარია, რომელი პოლიტიკური ცენტრიდან "მოვიდა" პლატფორმა - რეგიონულიდან თუ ცენტრალურიდან.

სწორედ ორი ცენტრის არსებობა განაპირობებს, რომ "უმრავლესობაშიც" და "უმცირესობაშიც" გაერთიანებულნი არიან ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ძალები. დაპირისპირებულ ჯგუფებს ერთად ყოფნას აიძულებთ სწორედ საკუთარი პოლიტიკური სივრცის და მიკროპარლამენტის შენარჩუნების აუცილებლობა.

"უმრავლესობის" მიკროპარლამენტის მიზანი ერთიანი საკანონმდებლო სისტემის გავრცელებაა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, "უმცირესობის" მიკროპარლამენტის ძირითადი ფუნქცია კი ავტონომიის ხელისუფლების დაცვაა ცენტრალური ხელისუფლების გავლენისგან. ამიტომ მათ შორის ტრადიციული საპარლამენტო მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება კი არ მიმდინარეობს, არამედ ეს არის ორი ცენტრის ბრძოლა საკუთარი სივრცის დაცვისა და გაფართოებისთვის.

**ჯერ ერთი, არსებული მოდელი არ იცნობს მთავრობის გუნდური დაკომპლექტების პრინციპს; მეორეც - ჩვენს პარლამენტში ფაქტობრივად რეალური ოპოზიციური ძალა არ არსებობს, ვინაიდან "უმრავლესობა" დაკავშირებულია უმაღლეს ცენტრალურ აღმასრულებელთან, ხოლო "უმცირესობა" ავტონომიის უმაღლეს აღმასრულებელთან.**

მათ წინაშე არსებული ამოცანები განსაზღვრავს მათივე მოქმედების გეგმას. ამოცანიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია "უმცირესობის" მისწრაფება, მიაღწიოს პარლამენტის მუშაობის პარალიზებას ყველა საშუალებით, რადგან ეს ცენტრის დასუსტებას და, შესაბამისად, რეგიონის გაძლიერებას იწვევს. ამიტომ, ცხადია, "უმცირესობა" მუდმივად ამ მიმართებით ილვაწებს, რადგან ეს არის მისი სტრატეგიული ამოცანა. იგივე ამოცანა თავად "უმცირესობის" შიგნით წარმოშობს გარკვეულ წინააღმდეგობებს, რადგან მასში არსებული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესები აშკარად სცდება მხოლოდ რეგიონის დამცველის ფუნქციას.

ტრადიციული საპარლამენტო პოლიტიკური პროცესები კი მიმდინარეობს ცალცალკე მიკროპარლამენტებში - თითოეული დაყოფილია პოლიტიკურ ჯგუფებად, რომელთა შორისაც საკმაოდ მწვავე დაპირისპირება არსებობს.

ეს იწვევს "უმრავლესობის" და "უმცირესობის" შიდა გამაერთიანებელი ფაქტორების სისუსტეს, რაც მუდმივად აქტუალურს ხდის დაშლის საფრთხეს, სამაგიეროდ ძლიერია გარეშე გამაერთიანებელი ფაქტორი, რაც მიკროსივრცის დაკარგვის საფრთხესთან არის დაკავშირებული.

ამიტომ პარლამენტი წარმოადგენს არა ერთიან პოლიტიკურ ასპარეზს, არამედ გვერდიგვერდ მდებარე ორ თითქმის ჩაკეტილ სივრცეს, რომლებსაც ავსებენ ორი ლიდერის ირგვლივ შემოკრებილი და დაბალანსებული განსხვავებული პოლიტიკურ ძალები.

ამგვარი გათიშულობა პარლამენტის და აღმასრულებლის ურთიერთობას რომაული ანდაზის მიხედვით წარმართავს და მნიშვნელოვნად აკნინებს საკანონმდებლო ორგანოს თავისთავად ფუნქციას.

მართალია, ქართულ კონსტიტუციას საფუძვლად დაედო ამერიკული მოდელი (რაც სპეციფიკური ტრადიციების და პირობების გამო, ფაქტობრივად, მხოლოდ შეერთებულ შტატებში მოქმედებს), მაგრამ ადგილობრივი პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, დაირღვა მისი აგებულების ლოგიკა, რომელიც ორასი წლის განმავლობაში გადის გამოცდას და მთელი რიგი უმნიშვნელოვნესი პრინციპების შეცვლით, მნიშვნელოვნად დასუსტდა საკანონმდებლო ხელისუფლება.

ამერიკული კონსტიტუცია პრეზიდენტს არ აძლევს საკანონმდებლო პროცესში პირდაპირი მონაწილეობის უფლებას, კონგრესს შეაქვს ცვლილებები ბიუჯეტის პროექტში და ა.შ.

ქართულ კონსტიტუციას გამოაკლეს ერთი შეხედვით მცირე, მაგრამ ამერიკულისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შტრიხი და დაამატეს რამდენიმე მომენტი. თითქოს არაფერი, მაგრამ მამაკაცის ორგანიზმში პაწაწინა ჩარევაც საკმარისია, რომ ის უნაყოფოდ იქცეს.

შედეგად მივიღეთ ორიგინალური ქართული მოდელი, რომელიც სახელმწიფო ენერგიას ფუჭად ხარჯავს და არსებული კრიზისის ძირითად მიზეზად იქცა. მისი მეშვეობით შექმნილ პოლიტიკურ სივრცეში ძალიან იოლია პასუხისმგებლობათა ასხლეტა და თითქმის არ მუშაობს კონტროლის მექანიზმები.

მხოლოდ ქართული მოდელის თავისებურებით არის გამოწვეული იმგვარი პოლიტიკური უცნაურობა, როცა უმრავლესობის წარმომადგენლები უტევენ, ხოლო უმცირესობის წარმომადგენლები თავგამოდებით იცავენ მთავრობის წევრს. გაურკვეველი რჩება, ვისია ეს მთავრობა და ვინ აგებს მასზე პასუხს.

თუმცა, ეს რეალობა, რაც ხშირად ხდება "უმცირესობის" გაქილიკების საბაბი, სინამდვილეში სულაც არ მეტყველებს მათ უპრინციპობაზე და სრულიად ჩვეულებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე. "უმცირესობის" პოლიტიკური ლიდერი, ცხადია, დაინტერესებულია "აღმასრულებელში" მისთვის ხელსაყრელი განლაგებით, ნებისმიერი საკადრო ცვლილება კი ასუსტებს ერთ მხარეს და შესაბამისად აძლიერებს მეორეს, ამიტომ ვერც "უმცირესობა" იქნება გულგრილი ამ საკითხისადმი.

პარლამენტში საკადრო საკითხებზე დავის ძირითადი საფუძველი, როგორც "უმრავლესობიდან" ისე "უმცირესობიდან", არის მთავრობაში არსებული ბალანსის მათ სასარგებლოდ შეცვლა და არა იმდენად ხარისხობრივი გაუმჯობესება.

## სტაბილური შიზოფრენია

ასეთი მიკროპარლამენტური ბალანსიდან გამომდინარე, პრეზიდენტის გუნდი, პოლიტიკურ გუნდს და მსოფლმხედველობრივ ერთობას კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ კონკრეტულ სივრცეზე მიუთითებს, სადაც წლების განმავლობაში თანაარსებობენ ოლიგარქებიც და დემოკრატებიც, ორივე დარწმუნებულია, რომ ქვეყანას სწორედ მის მიერ არჩეული მიმართულებით წაიყვანს და, რაც მთავარია, ორივეს პრეზიდენტის იმედი აქვს. ამით არის გამოწვეული მთავრობის შემადგენლობაზე მნიშვნელოვნად განსხვავებული წარმოდგენები თვითონ "უმრავლესობის" შიგნითაც, სადაც არანაკლებ მწვავე დაპირისპირება მიმდინარეობს მთავრობაში სასურველი ბალანსის მისაღწევად.

თუ ორ ცენტრს შორის მიმდინარეობს ბრძოლა სივრცის მოსაპოვებლად, პრეზიდენტის გარემოცვაში არანაკლებ დაუნდობელი ბრძოლა მიდის ცენტრალური ხელისუფლების დასაუფლებად. ორივე ჯგუფი შედგება "აღმასრულებლებისა" და "კანონმდებლებისგან", მაგრამ ერთის ლიდერებად იკვეთებიან პარლამენტის წარმომადგენლები, მეორის ლიდერებად კი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ანუ ამ ორი ჯგუფის პირობითად სახელდება "პარლამენტად" და "კანცელარიად" არცთუ შორს იქნება სიმართლისგან. ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი დაპირისპირების (რეფორმები, კორუფციასთან ბრძოლა, იგივე მინისტრთა კაბინეტი და ა.შ.) რეალური ეპიცენტრი სწორედ მათ შორის მდებარეობს. მათ, ფაქტობრივად, ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ და პრეზიდენტის გუნდში მათ ერთად ყოფნას მხოლოდ ის საფუძველი აქვს, რომ ისინი ერთი მიზნისთვის იბრძვიან ... ოღონდ ერთმანეთთან. საბოლოოდ, ცენტრალური და რეგიონული ქართული პოლიტიკური სპექტრი ასე ნაწილდება: სივრცისთვის იბრძვიან "ცენტრი" და "რეგიონი"; თავის მხრივ "ცენტრში" ხელისუფლებისთვის იბრძვიან "კანცელარია" და "პარლამენტი". ამ ბრძოლის შედეგმა უნდა განსაზღვროს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. მათ შორისვე წყდება კორუფციასთან დამოკიდებულების მიმართება.

**კორუფცია მხოლოდ სახელმწიფოს სისუსტის შედეგად გაჩენილი მანკიერი მოვლენა კი არ არის, ქვეყნის მოწყობის არსებული მოდელის სისტემური დაავდებაა და სისტემური ცვლილებების გარეშე, მხოლოდ სასჯელის შიშით, შეუძლებელია მისგან განკურნება.**

თავის მხრივ, ძალთა თანაფარდობის ცვლილება პრეზიდენტის გარემოცვაში სულერთი ვერ იქნება "რეგიონისთვის", ამიტომ იგი ყოველთვის ეცდება, გარედან გააძლიეროს ის ჯგუფი, რომელიც მისთვის მეტად არის მისაღები იდეოლოგიურად, საგარეო ორიენტაციით და ეკონომიკური კავშირებით, რაც მისი სუვერენობის ხარისხს ამაღლებს... და აძლიერებს კიდეც.

თუმცა პრეზიდენტს მისიანებიც და მოწინააღმდეგეებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აკრიტიკებენ ე.წ. ბალანსის პოლიტიკის გამო და განუწყვეტლივ ითხოვენ მისგან სასწაულთმოქმედ საკადრო ცვლილებებს, რაც თითქოს ასე ადვილი ჩანს, სინამდვილეში ამის პერსპექტივა არ არსებობს.

არსებული სახელმწიფო მოწყობის პირობებში მთავრობის წევრთა ნებისმიერი ცვლილება დაფუძნებული იქნება ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე. პრეზიდენტი კი არ ქმნის ბალანსს, იგი მისგან დამოუკიდებლად რეალურად არსებობს სხვადასხვა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის, მათ შორის, "უმრავლესობასა" და "უმცირესობას" შორის, თავად "უმრავლესობის" შიგნითაც და პრეზიდენტიც იძულებულია ასახოს ეს ბალანსი მთავრობაში.

ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ბანაკებიდან პრეზიდენტის მიმართ ერთგულების მუდმივი დეკლარირება სრულიადაც არ არის უანგარო და უპირობო და პასუხად მოელის მინიმუმ ბალანსის შენარჩუნებას მაინც.

კორუფციასთან ბრძოლასა და კორუფციას შორის დამყარებული ბალანსი განაპირობებს, რომ ქვეყანა ერთდროულად იმართება ორი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპით, რასაც შედეგად მოსდევს ხელისუფლების საკუთარ თავთან დაპირისპირება, უპასუხისმგებლობა და, საბოლოო ჯამში, უუნარობა. ამის გამო სახელმწიფოში ჩნდება თეთრი ლაქები ანუ უმართავი სივრცეები, რომელთაც ეუფლება და აკონტროლებს ჰიპერკორუფციული პირამიდა, რომელიც სიმსივნესავით იზრდება და მეთოდურად იკავებს ახალ ტერიტორიებს.

კორუფცია მხოლოდ სახელმწიფოს სისუსტის შედეგად გაჩენილი მანკიერი მოვლენა კი არ არის, ქვეყნის მოწყობის არსებული მოდელის სისტემური დაავდებაა და სისტემური ცვლილებების გარეშე, მხოლოდ სასჯელის შიშით, შეუძლებელია მისგან განკურნება.

დღეს სახელმწიფოს არსებობას რეალურ საფრთხე მოელის არა იმდენად გარედან, რამდენადაც - საკუთარი ხელისუფლებისგან, რადგან ხელისუფლების შინაგანი გაორება და ცნობიერების გახლეჩა, რასაც მედიცინის ენაზე შიზოფრენია ეწოდება, მხოლოდ ქაოსს და ნერვულ ატმოსფეროს ამკვიდრებს; ამიტომაც არის, რომ ჯერჯერობით ერთადერთი, რაც ქვეყანაში სტაბილურად მოგვეწოდება, არის მხოლოდ დესტაბილიზაცია.

და ვხედავთ იმას, რასაც ვქმნით - საყოველთაო ნიჰილიზმს, რისი ძირითადი სათავეც არა მხოლოდ გაჭირვება, არამედ, პირველ რიგში, უპერსპექტივობის განცდა გახლავთ.

## ჭირი იქა...

ხელოვნურად შექმნილი და არათანმიმდევრული სახელმწიფო მოწყობის მოდელი ყოველთვის არამდგრადია. როგორც არ უნდა შეეცადონ სადღეისო პოლიტიკურ კონიუნქტურას აყოლილი ადამიანები მის შენარჩუნებას, სწორედ სისტემის გაუმართაობით გამოწვეული მწვავე კრიზისი დღითიდღე უფრო მწვავდება და დაჟინებით ადასტურებს ჩვენი ხელისუფლების დანაწილების მოდელში არსებულ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის აუცილებლობას - არ შეიძლება ქვეყანას ერთდროულად მართავდეს და სხვადასხვა მიმართულებით ექაჩებოდეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ძალა. მათი ამგვარად დაბალანსება მხოლოდ კრიზისს და ქვაზე თავის ხლას იწვევს, რაც მოსახლეობას ყველა ნიშნის მიხედვით ყელში ამოუვიდა.

ზღაპრადაც არავის გაუგონია ამგვარი შემთხვევა, როცა ქვასთან მისულმა გმირმა ვერც მარჯვნივ წასვლა გადაწყვიტა და ვერც - მარცხნივ, ორივე მიმართულება დააბალანსა და ზედ ქაჯობისა და ქაჯობასთან ბრძოლის გზაგასაყარზე დაიწყო სოფლის შენება.

ცუდია, როცა უფროსებს ზღაპრების არ სჯერათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭიაბერაშვილი

# შევარდნაძის საქართველო: ბალანსირების პოლიტიკიდან უძრაობის ხანამდე

**სტატიის ინგლისური ვარიანტი უკვე დაეგზავნა საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულ უცხოელ მკითხველს. შესაძლოა, ქართველ მკითხველს უადგილოდ მოეჩვენოს გარკვეული დაზუსტებები ტექსტში, რაც სწორედ უცხოელი მკითხველისათვის გაკეთდა, მაგრამ საჭიროდ აღარ მივიჩნიე მათი ქართული ტექსტიდან ამოღება.**

“აპრილში ედუარდ შევარდნაძე კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად მეორე ხუთწლიანი ვადით, თუმცა არჩევნებს თან ახლდა უამრავი სერიოზული დარღვევა. „დარღვევებმა შეზღუდეს მოქალაქეთა უფლება, შეცვალონ თავიანთი მთავრობა”, - ეს სიტყვები ამოღებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2000 წლის წლიური ანგარიშიდან საქართველოს შესახებ. ამგვარი კრიტიკის მიუხედავად, დასავლეთშიც და საქართველოშიც ბევრს ეგონა, რომ თავისი პრეზიდენტობის ბოლო ვადაში მაინც გამოავლენდა ედუარდ შევარდნაძე პოლიტიკურ ნებას მართვის სხვადასხვა რგოლში ძირეული რეფორმების გასატარებლად და ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად.

ანტიკორუფციული საბჭოს 2001 წლის 4 სექტემბერს გამართულმა გაფართოებულმა სხდომამ ნათლად აჩვენა, რომ დაბალანსების პოლიტიკის ოსტატს არ ძალუძს, არჩევანი გააკეთოს საქართველოს მთავრობაში არსებულ ორ ბანაკს შორის. პრეზიდენტმა პირდაპირ უთხრა რეფორმატორებს, რომ მათ ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის მიერ კორუფციაში მხილებულ ძალოვან მინისტრებთან თანამშრომლობა მოუწევთ. “თქვენ ცოტანი ხართ! თქვენ რევოლუციას ვერ მოახდენთ!” - განაცხადა მან.

პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიასა და იუსტიციის მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ შემოკრებილი რეფორმატორები მართლაც არცთუ ბევრნი არიან იმ სახელმწიფო ჩინოვნიკურ აპარატთან შედარებით, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის, კახა თარგამაძისა და ეკონომიკის მინისტრის, ივანე ჩხარტიშვილის ირგვლივაა თავმოყრილი. სამაგიეროდ, რეფორმატორები აშკარად გრძნობენ საზოგადოების მხარდაჭერას, რასაც არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, არამედ საქართველოს რეგიონებში ხალხთან მათი პირდაპირი შეხვედრები ადასტურებს.

საზოგადოებაში აშკარად მომწიფდა რეალური ცვლილებების მოხდენის მოთხოვნილება, რადგან ხელისუფლება უძლურია, ადეკვატურად უპასუხოს სახელმწიფოს წინაშე დასმულ პრობლემებს. გამოსავალი თითქოს მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებშია, მაგრამ ხალხსაც და რეფორმატორებსაც არჩევნებამდე მოცდის მიზანშეწონილობა აეჭვებთ. არავის აქვს გარანტია, რომ “უამრავი სერიოზული დარღვევა კვლავ არ შეზღუდავს მოქალაქეთა უფლებას, შეცვალონ თავიანთი მთავრობა”. ანუ დიდია ეჭვი, რომ გათამაშდება რუსული სცენარი: შევარდნაძე მემკვიდრედ დატოვებს იმას, ვინც მის ოჯახს (რომელსაც ბიზნესის მნიშვნელოვანი სფეროები მონოპოლიზებული აქვს) ყველაზე უკეთეს უსაფრთხოების გარანტიებს მისცემს.

არის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საზოგადოებას უჭირს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოცდა. 26 ივლისს ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობამ ხალხს დაანახა, რომ მთავრობა არა მხოლოდ გადასახადებს ვერ კრეფს ან ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას რუსეთის ხელყოფისაგან, არამედ ვერ უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას. ჩეჩენი ლტოლვილებით სავსე პანკისის ხეობა საუკეთესო პლაცდარმია, რათა, ერთი მხრივ, რუსეთს საქართველო მუდმივად ომის შიშის ქვეშ ჰყავდეს, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანთა გახშირებული გატაცებების მიზეზად კორუმპირებულმა პოლიციამ ჩეჩნები დაასახელოს.

აშკარაა, რომ შიდა სტაბილურობის გარეშე, მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერით რუსეთის აგრესიის შეკავება და ქართული სახელმწიფოს რღვევის შეჩერება შეუძლებელი ხდება. შევარდნაძის კალთას ამოფარებული კორუმპირებული ჩინოვნიკები შევარდნაძის კრიტიკოსებს კონტრარგუმენტად სწორედ რუსეთის ფაქტორს უსახელებენ. ისინი ამბობენ, რომ სწორედ რუსეთი არ აძლევს საშუალებას შევარდნაძეს, დაწყნარებულად მართოს ქვეყანა და რომ შევარდნაძის კრიტიკა დღეს რუსეთის ინტერესების სამსახურს ნიშნავს.

რეფორმატორები, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ შევარდნაძისა და მთელი ქართული პოლიტიკური სისტემის მართვის არაეფექტიანობა სწორედ რუსეთს აძლევს ხელს. უკრაინის ენერგოსისტემის შეერთება რუსეთისათვის მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც კუჩმას კორუმპირებულმა ხელისუფლებამ მოსკოვის მიმართ გაზის 2 მლრდ დოლარზე მეტი დავალიანება დაიგროვა.

ქართველი კორუმპირებული კლანებისათვის რუსეთი მხოლოდ იმიტომ არ არის მიმზიდველი, რომ საქართველოსთვის წამგებიანი ეკონომიკური პროექტების ლობირების სანაცვლოდ ისინი მოსკოვიდან სარგებელს ნახულობენ. საქმე ეხება ცხოვრების წესს, მენტალიტეტს. კორუმპირებულ კლანებს აშინებთ, რომ საქართველოს თანმიმდევრული სვლა დასავლეთისაკენ აუცილებლად მოიყვანს ქვეყნის სათავეში ისეთ ხალხს, რომლებიც მათ ხალხის კუთვნილი ქონების უკანონოდ მითვისებაზე მოსთხოვს პასუხს. რუსეთი გავლენის სფეროში დარჩენა ერთადერთი გამოსავალია კორუმპირებული კლანებისათვის, რომ პირადი უსაფრთხოება უზრუნველყონ.

ის ფაქტი, რომ შევარდნაძე არ თუ ვერ აკეთებს არჩევანს თარგამაძე-ჩხარტიშვილისა და ჟვანია-სააკაშვილის გუნდებს შორის, მეტყველებს მის უძლურებაზე, გააკეთოს სტრატეგიული არჩევანი. რაც უნდა მოულოდნელად ჟღერდეს დასავლეთისათვის, პრეზიდენტისათვის საქართველოში რუსეთის ბაზების ყოფნა ერთადერთი გამოსავალია, დასავლეთი თავის საჭიროებაში დაარწმუნოს.
თუ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები არ იქნება, ნავთობსადენებს და გაზსადენებს ნედლეულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტირება უსაფრთხოდ შეუძლიათ, მაშინ რატომღა აპატიებს დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას იმ უამრავ გადახრას დემოკრატიიდან, რასაც დღეს აქვს ადგილი.

აშკარაა, რომ დასავლური ფულადი დახმარების გარეშე (რომლის დიდი ნაწილის ქართულ ეკონომიკაში გაწოვა ჩინოვნიკების ჯიბეების გავლით მოხდა) საერთოდ ვერ მოხერხდებოდა საქართველოში სუვერენიტეტის ელემენტარული ატრიბუტების (ვთქვათ, სტაბილური ვალუტის) შექმნა. მაგრამ დასავლეთის მხრიდან შევარდნაძისადმი ზოგჯერ უპირობო ნდობამ იმგვარი ვითარებაც შექმნა, როცა მკვეთრმა კრიტიკამ ვაშინგტონიდან დღეს საქართველოს პრეზიდენტს შეიძლება მოსკოვთან დაახლოებისაკენ უბიძგოს.

თუმცა მკვეთრად ნაკლები იყო შევარდნაძის მთავრობის ხელში მოხვედრილ დასავლურ ფულთან შედარებით, მაგრამ დასავლეთის მიერ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და თავისუფალი მედიის განვითარებაზე დახარჯულმა თანხებმაც გამოიღო შედეგი. ჟვანია-სააკაშვილის გუნდის გამოკვეთილ მხარდამჭერებად დღეს NGO-ები და მედია გვევლინება, სწორედ ის მედია, რომლის უფლების გადასინჯვას საკანონმდებლო დონეზე უკვე თითქმის წელიწადია ითხოვს პრეზიდენტი.

სწორედ NGO-ებმა ჩაატარეს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის 95-ე ბრძანებულების მონიტორნგი. ბრძანებულება ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის (შეიქმნა 2000 წელს 7-კაციანი კომისიის მიერ) საფუძველზე მომზადდა და დაერქვა "ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიების შესახებ". ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა, მირიან გოგიაშვილმა მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, 4 სექტემბრის სხდომაზე განაცხადა, რომ არცერთ მინისტრს არ შეუსრულებია პრეზიდენტის 95-ე ბრძანებულება სრულად.

ისეთ ვითარებაში, როცა შევარდნაძე არჩევანს არ აკეთებს, ყველაზე მძიმე არჩევანის წინაშე ჟვანია-სააკაშვილის გუნდი დგას. დასავლეთი მათ პატივს სცემს, მაგრამ უკვე არც დასავლეთს აკმაყოფილებს მხოლოდ ისეთი მდგომარეობა, როცა ჟვანია და სააკაშვილი პოლიტიკურ პროცესებზე ველარ ახდენენ ქმედით გავლენას. ჩარლზ კინგის სტატიაში "პოტიომკინის დემოკრატია: ოთხი მითი საქართველოს შესახებ", რომელიც "ნეშენელ ინთერესთის" 2001 წლის ზაფხულის ნომერში გამოქვეყნდა, მეორე მითად დასახელებულია "მითი ახალგაზრდა რეფორმატორების შესახებ". ამასთან, ქართულ საზოგადოებაშიც იზრდება მოთხოვნა, რომ თუ არაფრის შეცვლა არ ძალუძთ, რეფორმატორები კორუმპირებული ხელისუფლების ფასადის როლს მაინც ნუ შეასრულებენ.

შევარდნაძისაგან გამიჯვნის მოწოდება რეფორმატორთა მისამართით 1998 წლიდან გაისმის, მაგრამ ჟვანიას მიზანი შევარდნაძისაგან განდგომა კი არა, მისი პოლიტიკის ერთგვარი კორექცია იყო. მაგრამ ჟვანიასაგან ასეთი ამბიციის გამომჟღავნებამაც კი (და 1998 წლის თებერვალში განხორციელებულმა მეორე თავდასხმამ) შევარდნაძე სერიოზულად შეაშფოთა. თუმცა ჟვანიას დღემდე არასოდეს უფიქრია შევარდნაძისაგან განდგომა, მას მუდმივად უწევდა მისთვის ერთგულების დამტკიცება. მაგალითად, როცა 1998 წლის ზაფხულში მთავრობა გადადგა, პარლამენტმა იმავე ჟვანიას თავმჯდომარეობით კვლავ დაამტკიცა შინაგან საქმეთა მინისტრად კახა თარგამაძე და სხვა არანაკლებ კორუმპირებული მინისტრები.

ხელისუფლების არაეფექტურობა სწორედ 1998 წლიდან იწყება, როცა შევარდნაძესა და რეფორმატორებს შორის უნდობლობა გაჩნდა. ხელისუფლება საზოგადოების პრობლემებზე რეაგირების ნაცვლად კულუარული ინტრიგებით დაკავდა. ჟვანია კარგად უმკლავდებოდა სიტუაციას, ვიდრე პარლამენტში ოპოზიცია არ გაერთიანდა აჭარის რეგიონის (სადაც ერთ-ერთი რუსული ბაზა დგას) პრორუსული მმართველის, ასლან აბაშიძის "ალორძინების" გარშემო. ოპოზიცია ფორმალურად მმართველი პარტიის ოპონენტია, მაგრამ მისი კრიტიკა რეფორმატორების წინააღმდეგაა მიმართული და არა მმართველი პარტიის თავმჯდომარისა და ქვეყნის პრეზიდენტის - ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ.

2001 წლის გაზაფხულზე ჟვანიამ მიაღწია შევარდნაძისგან დათმობას, როცა პრეზიდენტმა პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი შეიტანა. კანონპროექტი პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებასა და მინისტრთა კაბინეტის გუნდურ პასუხიმგებლობას ითვალისწინებდა (ამჟამინდელი კონსტიტუციით სახელმწიფოს მეთაურიც და მთავრობის მეთაურიც პრეზიდენტია). შევარდნაძემ წინდაწინ გაამხილა, რომ პრემიერ-მინისტრად ზურაბ ჟვანიას ვარაუდობდა, რითაც მთელი ოპოზიცია და მოქალაქეთა კავშირის რეტროგრადული ფრთა კანონპროექტის წინააღმდეგ დარაზმა.

დღევანდელ სიტუაციაში შეუძლებელი გახდა კონკრეტული პრობლემების გადაჭრა, თუ არ გადაიჭრა მთავარი: ვინ მართავს, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს; რა საგარეო და საშინაო. ორიენტირები აქვს მმართველს; არჩევნების ტოტალურად გაყალბების ტრადიციის გათვალისწინებით, როგორ ხდება ხელისუფლების ერთი ხელიდან მეორეში გადაცემა.

ჟვანია საფრთხეს ხედავს იმაშიც, რომ პარლამენტში მოხვედრა პრეზიდენტის კანცელარიის მხარდაჭერით თითქმის გარანტირებული აქვს მოსკოვში ყოფილ ელჩს, ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, პრორუსული ორიენტაციის ვაჟა ლორთქიფანიძეს. რეფორმატორები შიშობენ, რომ მაჟორიტარული ოლქიდან პარლამენტში ოქტომბერში გასული ლორთქიფანიძის ირგვლივ, შესაძლოა, ახალი უმრავლესობა შეიკრას, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარეს ან გადააყენებს, ან ბუტაფორიად აქცევს.

ჟვანიას მოქმედება ჯერ მხოლოდ პრეზიდენტისადმი ღია წერილის მიწერაში გამოიხატა. მისგან განსხვავებით მიხეილ სააკაშვილი უფრო აქტიურია. იგი პრეზიდენტს პაკეტში სამი კანონპროექტის მიღებას სთავაზობს. ეს კანონპროექტებია "უმაღლესი რანგის თანამდებობის პირთა დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციის შესახებ", "დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტის დამკვიდრების შესახებ" და "ნაფიც მსაჯულთა შესახებ". ამ იდეებისათვის ყოფილი კომუნისტურ-კომკავშირული ნომეკლატურისა და ამჟამად კორუმპირებული მინისტრებისაგან კოლუმბიის უნივერსიტეტდამთავრებულმა სააკაშვილმა "ნეობოლშევიკის" იარლიყი დაიმსახურა.

ბუნებრივია, შევარდნაძის მხარდაჭერის გარეშე ამ კანონპროექტებს თვით მმართველი პარტიის - მოქალაქეთა კავშირის დიდი ნაწილიც არ დაუჭერს მხარს. ამიტომ სააკაშვილი რეგიონებში ხალხს, ხოლო თბილისში ინტელიგენციისა თუ სხვა გავლენიანი ჯგუფების წარმომადგენლებს ხვდება კანონპროექტებისათვის საერთო-სახალხო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. იგი აცხადებს, რომ ფართო ნაციონალური მოძრაობის გარეშე კორუმპირებულ კლანებთან ბრძოლა შეუძლებელია.

შეიძლება NGO-ების წარმომადგენლების, ჟურნალისტებისა და რიგითი მოქალაქეების აზრი არად ულირდეს,

მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერობიდან მოყოლებული ინტელიგენციის აზრი შევარდნაძისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მას კარგად ახსოვს, რომ წინა პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დამხობაში ინტელიგენციის უკმაყოფილებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა. დღევანდელი ვითარება 10 წლის წინანდელ სცენარს უახლოვდება.

რა თქმა უნდა, დასავლეთისთვისაც და საქართველოს პროდასავლური ძალებისთვისაც უმჯობესი იქნებოდა, ქვეყანას მოთმინებით მოეცადა 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე და სამოქალაქო შეგნებით აღჭურვილი შეხვედროდა ამ თარიღს. მაგრამ უკვე დღეს შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. ტრადიციული უშუქობა ზამთარში თუ ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია, პანკისის ხეობაში ვითარების გამწვავება ან ახალი პოლიტიკური მკვლელობა შეიძლება ამის საბაბი გახდეს.

ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ ალერნატივა სწორედ ასეთია: ან ბრეჟნევისდროინდელი "უძრაობის ხანა" (როცა პრეზიდენტი გადაწყვეტილებებს ვერ იღებს) ან მოვლენათა სწრაფი, რევოლუციური განვითარება. გარდამავალი მოდელი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, ჯერ არ ჩანს. კიდევ უფრო ტრაგიკული იქნება, თუ დასავლეთსაც სწორედ ახლა, ამ გადამწყვეტ მომენტში გაუწყდება მოთმინების ჯაჭვი.

P.S. სტატიაში გამოთქმული ვარაუდი, რომ თითქოსდა "შევარდნაძის კრიტიკა დღეს რუსეთის ინტერესების სამსახურს ნიშნავს", დამიდასტურა ეკა ბერიძის ტოქშოუს "რას ფიქრობს ხალხი?" მეორე გადაცემამ, რომლის მონაწილეც თავადაც გახლდით. რუსმა პოლიტიკოსმა, ბორის ნემცოვმა (მისი ინტერვიუს ერთი პასაჟი ტოქშოუს მონაწილეებმა და მაყურებელმა იხილეს) საკმაოდ არგუმენტირებულად დაასაბუთა, რატომ იმსახურებს საქართველო დღეს "ტერორისტების მფარველი სახელმწიფოს" იარლიყს. იმის გამო, რუსეთის სიმპათია არ დაგვაბრალონო, ტოქშოუში მონაწილე 70 კაციდან მხოლოდ ორმა გავბედეთ გვეთქვა, რომ ვეთანხმებით ნემცოვს. თუმცა ეს ორი ადამიანი ნამდვილად არ გამოვირჩევით არც ნემცოვისა და არც მისი ქვეყნისადმი სიმპათიით.

საქართველოში ისტორიულად ასე იყო - ვისაც საქართველოში ნორმალური ქვეყნის ჩამოყალიბება სურდა, გამყიდველი ფეოდალები თუ დღევანდელი კორუმპირებული მინისტრები ყოველთვის არაბეთზე, ირანზე, მონღოლეთზე, თურქეთსა თუ რუსეთზე მიუთითებენ: რა დროს შიდა საქმეების გარკვევაა, როცა მეზობლად ასეთი მტრული სახელმწიფო გვყავსო. კი, მაგრამ ეს მეზობელი ხომ არსად წავა? როდემდე არ დავალაგოთ ეს ქვეყანა?

ქართულ საზოგადოებას კი მსურს ვუთხრა: ამ დღეში ვიქნებით მანამ, სანამ შეგვეშინდება სიმართლისათვის თვალის გასწორება იმის შიშით, რომ რამე არ დაგვაბრალონ. ამ სინდრომზე პოლიტოლოგმა გია ნოდიამ უკვე მიუთითა. კორუმპირებულ ხელისუფლებას დავძლევთ მაშინ, როცა აღარ ვიფიქრებთ იმაზე, თუ რას იტყვის ჩვენზე კორუმპირებული ხელისუფლება.

თამარ სუხიშვილი

# იდეა: 27 სექტემბერი - საქართველოს რუკის დღე




ბორხესი ერთ თავის ესეში ასეთ ფილოსოფიურ ვარჯიშს იმოწმებს: "ჯოსაია როისმა თავის შრომაში "მსოფლიო და ინდივიდუუმი" (1899) ასეთი აზრი ჩამოაყალიბა: "წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისის რომელიღაც მხარეში იდეალურად მოასწორეს მიწის გარკვეული ფართობი და კარტოგრაფმა ზედ ინგლისის რუკა დახაზა, ნახაზი სრულქმნილია, - არ არსებობს ინგლისის მიწაზე ისეთი, თუგინდ უმცირესი დეტალი, რომელიც ასახული არ იყოს რუკაზე. იქ ყველაფერი განმეორებულია. თუ ასეა, ამგვარ რუკაზე ასახული უნდა იყოს რუკის რუკა, რომელზეც, თავის მხრივ, ასახული უნდა იყოს რუკის რუკის რუკა და ასე დაუსრულებლად".

ბორხესმა ეს ფაქტი სხვა მიზნით გაიხსენა. ჩვენთვის კი ეს აზრი იმითაა ნიშანდობლივი, რომ სიმბოლო, იდეა (ამ შემთხვევაში რუკა) რეალურის ფუნქციას იძენს (რუკის რუკა და ა.შ.). როისის ეს ფანტასტიკური გადათამაშება რუკის იდეისა სიმბოლოს მარადიულობის ნიშნად გვესახება.

ერთობლივ მოგონებაში "თავგადასავალი ლევან გოთუასი" თამარ და ალექსანდრე გოთუები მწერლის ცხოვრების ასეთ ეპიზოდს იხსენებენ. ციმბირში გადასახლებული ქართველი პოლიტპატიმრები ყურადღებას არ აკლებდნენ პატარა თინიკოს, რომელიც უმამოდ იზრდებოდა. "თინიკოს ფეხი უნდა აედგა. ძალიან არ უნდოდათ ქართველებს, რომ ეს ციმბირის მიწაზე ყოფილიყო - არაფერი რომ არ გამოუვიდათ, სასწრაფოდ სა-

ქართველოდან საქართველოს რუკა მოითხოვეს და გამოაგზავნინეს. ამ რუკამ სწორედ სულზე მოუსწრო ბავშვს, ოთახში დააფინეს ხალიჩის მაგივრად საქართველოს რუკა და ბავშვს ამ რუკაზე ასწავლეს სიარული. ყველა ხარობდა, რომ თინიკომ სიმბოლურად მაინც საქართველოს მიწაზე აიდგა ფეხი".

ამ ამაღელვებელ მონათხრობში სიმბოლო (რუკა) უკვე რეალურის ფუნქციას იძენს.

რუკის თემას ჩვენ 27 სექტემბერს ვუკავშირებთ... ამ დღეს დაეცა სოხუმი და, აქედან მოყოლებული, იგი ლამის ჩვენი ცნობიერების დამთრგუნველ თარიღად იქცეს. აფხაზეთში დატრიალებული საშინელება და მისი ბოლო ტრაგიკული წერტილი ისტორიისთვის მხოლოდ წამია, რომლის გახსენებაც მომავალში ვერავის მოჰგვრის სიხარულსა და სიამაყეს - ვერც სხვისი შემწეობით გამარჯვებულს და, მით უმეტეს, ვერც სხვისი ნებით დამარცხებულს.

მართალია, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 27 სექტემბერი გამოცხადებულია როგორც ხსოვნის დღე, მაგრამ ამისთანა ხსოვნის დღეები ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც ჩვენში ბევრი აღინიშნება. 27 სექტემბერი კი არის დღე, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს და წინ წამოსწევს საქართველოს ერთიანობის იდეას. მოდით, მოვიშოროთ ეს დამთრგუნველი ტვირთი და 27 სექტემბერს ჩვენი სახელმწიფოებრიობის უპირველესი გამოხატულების - "საქართველოს რუკის დღე" ვუწოდოთ, იმიტომ რომ სიმბოლო უფრო რეალურია, ვიდრე რეალობა.

ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში დიმიტრი ყიფიანი ჩიოდა, ჩვენს ბავშვებს მშობლიური ქვეყნის გეოგრაფიას არ ასწავლიანო. ეს ტრადიცია საბჭოურ პერიოდშიც გაგრძელდა. საბჭოთა სკოლის მოსწავლეებს ბეჯითად აზუთხინებდნენ თვალუწვდენელი იმპერიის გეოგრაფია-ისტორიას. მაშინდელმა მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირს მთელი დასახლებული ხმელეთის 1/6 ნაწილი უკავია, იცოდნენ უზარმაზარი ქვეყნის უკიდურესი წერტილები, იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირს ხმელეთზე 12 სახელმწიფო ესაზღვრება და 12 ზღვა აკრავს, რომ მოსახლეობის რაოდენობით ის მესამე ადგილზეა მსოფლიოში და ა.შ. ამ "დიდ სამშობლოში" შეუმჩნევლად იკარგებოდა ნამდვილი სამშობლო. ბავშვებს ზერელედ ასწავლიდნენ თავიანთი პატარა ქვეყნის გეოგრაფიას, ისტორიას... არ იყო შემთხვევითი, რომ გეოგრაფიული რუკები რუსულ ენაზე იბეჭდებოდა, ქართულ ენაზე დაბეჭდილი საქართველოს რუკა იშვიათობა იყო...

ცნობილ ინგლისელ მწერალს, სომერსეტ მოემს უბის წიგნაკში ჩაუწერია: ჩემთვის რუკაზე ინგლისის მოხაზულობაც კი განსაკუთრებულ აზრს იძენს - თუ სომერსეტ მოემისათვის, დიდი და ძლიერი ქვეყნის შვილისათვის, სამშობლოს რუკა ასეთი მნიშვნელოვანია, არც ქართველისათვის უნდა იყოს ის სასხვათაშორისო.

ქართველი კაცისათვის ძვირფასია ის მცირე ტერიტორია, რომელსაც ამიერკავკასიის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი უჭირავს, ტერიტორია - რომლის ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე ფსოუს სათავეებიდან ტინოვროსოს მთამდე გრძელდება, აღმოსავლეთი საზღვარი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ეშვება და ალაზნის ქვემო დინებას გასდევს და ასე შემდეგ.

რუკაზე განფენილი სამშობლო, მწვანე მდელოებითა და ცისფერი მყინვარებით, მოყავისფრო ქედებითა და ლურჯი მდინარეებით მოჩითული, ამ ქვეყნის მკვიდრთათვის ესთეტიკურ სახესაც იძენს. ქართველი პოეტი მას ვეფხის ტყავს ადარებს და ესეც, ალბათ, ბედისწერის ნიშანია:

"ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო" - ანდა:
"იშლებიან ყანები,
როგორც ვეფხის ტყავები".
ან:
"ვეფხის ჭრელი პერანგივით
გაიშალა ქართლის ველი..."

ქართველ კაცს მსოფლიოს დიდ რუკაზე თავისი პატარა ქვეყნის მოხაზულობა საკუთარი ყოფისა და ვინაობის ყველაზე ნამდვილ ჭეშმარიტებად მიაჩნია. ამ რუკაზე ისტორიის დიდი ვნებები ცხოვრობს, რაც ქართველისათვის სულერთი არ არის. რუკაზე ამეტყველებული სახელები მეტნაკლებად ინახავს ერის ისტორიას: მარაბდა - ბრძოლის ჟინითა და სიმხნევით აღგავსებს (გაიხსენეთ: "თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა"), კრწანისი ტკივილით გაგიკაწრავს გულს, ბაზალეთი - ეჭვებია, არაშენდა - გაფრთხილება და ა.შ. ჩვენმა ახალმა ისტორიამ ამ ჩამონათვალს ბევრი სხვაც დაუმატა: ცხინვალი, თამარაშენი, ტამიში, გაგრა, სოხუმი... ამ ნაცნობმა და ჩვეულებრივმა სახელებმა ახლა უკვე სულ სხვა შინაარსი შეიძინეს...

ესპანელ პოეტს, მიგელ დე უნამუნოს ერთ უსათაურო ლექსში სიმღერასავით აუკრეფია და აუკინძავს ესპანეთის ქალაქებისა და სოფლების 19 სახელი და და თავის სიყვარულს უმხელს მათ:

"საუკუნეებიდან ამოზიდულნო,
ჩემო საყვარელო სახელებო,
თქვენ უთარგმნელი ხორცი ხორცთაგანი ხართ
ესპანური ენისა".

ჩვენი გეოგრაფიული სახელებიც უთარგმნელები არიან. მათ ისტორია, აზრი და შინაარსი მხოლოდ საქართველოს რუკაზე აქვთ. ისინი მხოლოდ ამ რუკაზე ცოცხლობენ. ქართველი კაცის გულისყური ახლა საქართველოს რუკისკენ არის მიპყრობილი.

ქართველი კაცის გულისყური ახლა საქართველოს რუკისკენ არის მიპყრობილი (ყოველ შემთხვევაში, გვინდა, რომ იყოს). აქ, ამ რუკაზე ჩვენი ყოფნა-არყოფნის დრამა თამაშდება. ასეთია ისტორია.

სუსტია გული!

"მე დავაჭკნე", - იტყვის კედლიდან პატარა რუკა (ნიკო ლორთქიფანიძის რუკა) და სწორედ ესაა მისი სიცოცხლე.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ სიმბოლო ასეთ შეწირვებს მოითხოვს. სიმბოლოს თავისი შინაარსის დაბრუნება უნდა.

სხვაგვარად... სიმბოლო გაქრება.

სხვაგვარად... ჩვენც გავქრებით.



ეროვნული ბიბლიოთეკა



იურგის სავერისი

**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემი ერთადერთი მიზანი იყო, არის და იქნება ის, რომ ჩემი მკითხველი თვითონვე მიხვდეს და შეიგნოს, მე მას არასოდეს შევთავაზებ მზამზარეულ აზრებს. თავად ნიადაგ შფოთიანი და მღელვარე ცხოვრებით რომ ვცხოვრობ, სხვასაც ამასვე ვკარნახობ და ამისკენ ვუბიძგებ, ჭკუას კი არ ვასწავლი?! და თუ მაინც ვყიდი პურს, ყველამ კარგად იცოდეს, რომ ეს მარტო პური როდია, უფრო მეტად საფუარია ან ფერმენტი.

*მიგელ დე უნამუნო*